

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

მ ა ი ა მ ა ნ ჩ ხ ა შ ვ ი ლ ი

„თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი“
(სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქული მოდელები)

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი

2018

სარჩევი	2
შესავალი	4
თავი 1. პოლიტიკური აქტორები სამხრეთ კავკასიაში.....	30
1.1. რუსეთი და სამხრეთ კავკასია	30
1.2. დასავლეთი და სამხრეთ კავკასია.....	43
1.3. თურქეთი და სამხრეთ კავკასია	53
1.4. ირანი და სამხრეთ კავკასია	57
თავი 2. თურქეთის პირველი სამშვიდობო ინიციატივა სამხრეთ კავკასიისათვის	63
2.1. სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ძიება მე-XX საუკუნის 90-იან წლებში	63
2.2. 2008 წლის აგვისტოს ომის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე	68
2.3. თურქეთის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა	74
2.4. „კავკასიის უსაფრთხოების პლატფორმის“ წამოყენება	82
თავი 3. თურქეთის მეორე სამშვიდობო ინიციატივა სამხრეთ კავკასიისათვის	95
3.1. "საფეხბურთო დიპლომატია“	95
3.2. თურქეთის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე	111
დასკვნები	140
გამოყენებული ლიტერატურა	150

შესავალი

წარმოდგენილი სადოქტორო თემა თურქული დიპლომატიის მიერ სამხრეთ კავკასიის მიმართულებით შემუშავებული პოლიტიკური პროექტების კვლევას ეხება. პოლიტიკურთან ერთად, თურქეთს სამხრეთ კავკასიის რეგიონში აქვს საგანმანათლებლო, ეკონომიკური და კულტურული პროექტები, რომლებსაც წარმატებით იყენებს, როგორც რბილ ძალას რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ რუსულმა დიპლომატიამ კარგად იმუშავა და შეძლო თურქული პოლიტიკური პროექტების რეალიზებისათვის ხელის შეშლა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სამხრეთ კავკასიურ მიმართულებას თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება და თურქული დიპლომატია თავდაუზოგავად მუშაობს ამ მხრივ წარმატებების მისაღწევად. ამიტომ, ვთვლით, რომ თურქული პროექტების შესწავლას (და არა მხოლოდ თურქულის) და საქართველოს საგარეო პოლიტიკური ინტერესების ჭრილიდან მათ გაანალიზებას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

ა) კვლევის აქტუალობა: ჩვენი სადისერტაციო კვლევის აქტუალობა გამომდინარეობს იქედან, რომ საქართველო პატარა სახელმწიფოა შეზღუდული პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური თუ ფინანსური რესურსებით და ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მაღალ დონეზე იქნას შესწავლილი სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები რეკომენდაციების შემუშავებისა და მოზომილი, კარგად გაანალიზებული ნაბიჯების გადასადგმელად.

ბ) კვლევის მიზანები და ამოცანები: ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე და მსოფლიოს პოლიტიკური პროცესების კონტექსტში სამხრეთ კავკასიაში თურქული პოლიტიკის გაანალიზება და შესწავლა. ვეცდებით ვაჩვენოთ, რაში მდგომარეობს თურქეთის ინტერესები, რომელ სხვა პოლიტიკურ აქტორებთან თანამშრომლობით აპირებს ანკარა მისი მიზნების რეალიზებას და სადაა გადაკვეთის წერტილები რუსეთის ინტერესებთან.

გ) კვლევის სიახლე: პოლიტიკური მოდელების თემატიკა სრულიად შეუსწავლელია პოლიტიკის მეცნიერებაში და ჩვენი კვლევა იქნება მოკრძალებული მცდელობა, შეავსოს ეს ვაკუუმი. კვლევის სამეცნიერო სიახლეს სწორედ ისაა, რომ იგი არის ერთ-ერთი პირველი შრომა, რომელიც ამ თემატიკას შეეხება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონით დაინტერესების ტენდენცია მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური აქტორების მხრიდან ამ რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, სპეციალურად სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების პრობლემების დარეგულირებისათვის შემუშავებული მოდელების შესწავლა, ვფიქრობთ, საინტერესო და დროულია.

თურქეთი რეგიონული ძალაა და თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ინტერესები გააჩნია სამხრეთ კავკასიაში. მაგრამ, იგი ერთადერთი რეგიონული ძალა არაა: მასზე ძლიერ პოლიტიკურ აქტორად რეგიონში ამ ეტაპისათვის რუსეთის ფედერაცია გვევლინება, რომლის კარშიც თურქეთმა ჯერ ვერცერთი პოლიტიკური გოლი ვერ გაიტანა; გასათვალისწინებელია ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები; ასევე, დიდი ბუნებრივი რესურსების მქონე, უკვე სანქციების მარყუჟებისაგან გამოთავისუფლებული ირანის ისლამური რესპუბლიკის კავკასიური ინტერესებიც, რომელიც, როგორც იგრძნობა პირველ რიგში ევროპისა და შემდგომ კავკასიის მიმართულებით თავის პოლიტიკას გაააქტიურებს. შესაბამისად, თურქეთის კავკასიურ პოლიტიკას წინ კიდევ უფრო მეტი გამოცდა ელის და მეტი სირთულეების გადალახვა მოუწევს, ვიდრე აქამდე ხვდებოდა.

თურქულმა დიპლომატიურმა უწყებამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სულ რამოდენიმე პოლიტიკური იდეა გააჟღერა სამხრეთ კავკასიაში მის ინტერესებს რომ ასახავდა, რომელთაგან მხოლოდ ორი შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც პროექტი; პირველი იყო – „კავკასიის უსაფრთხოების პლატფორმა“; მეორე – „საფეხბურთო დიპლომატია“. მათ შორის ერთი განსხვავებაა: მხოლოდ „საფეხბურთო დიპლომატიის“ პროექტი იყო

კონკრეტულად ერთ ქვეყანასთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე გათვლილი და თურქეთი სომხეთთან ურთიერთობების დარეგულირებას პირდაპირი დიალოგით გეგმავდა. ყველა დანარჩენი, სამუშაო ვერსიებიც კი, იგივე პრეზიდენტ სულეიმან დემირელის (თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1993-2000 წლებში) იდეაც, დიალოგს სამხრეთ კავკასიის ირგვლივ ერთიან ფორმატში მოიაზრებდა. დროის თვალსაზრისით ორივე პროექტის წამოყენება ერთ წელს მოხდა: პირველი მათგანის წამოყენება მოხდა 2008 წლის 13 აგვისტოს, მეორე კი 2008 წლის შემოდგომიდან იწყება და 2009 წლის შემოდგომისათვის კი უკვე ნათელი იყო, რომ პროცესი შეჩერდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს 2008 წლის აგვისტოს ომმა პროვოცირება გაუკეთა თურქულ დიპლომატიას და იფეთქა მისმა აქტივობამ.

დ) კვლევის პრაქტიკული გამოყენება: ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება ისაა, რომ კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც სამცენიერო, თეორიულ კვლევებში, ასევე, დიპლომატიაში და პრაქტიკულ დონეზე. დაინტერესებულ მკითხველს ექნება ფაქტობრივად ამომწურავი ინფორმაცია თუ რა არის პოლიტიკური მოდელი, როგორ და რა სიტუაციაში ხდება მოდელის ინიცირება და როგორ შეიძლება იმუშაოს მან წარმატებით ან პირიქით.

ე) კვლევითი კითხვები: დისერტაციის თემაზე მუშაობის პროცესში გაჩნდა მთელი რიგი კითხვები, იმის შესახებ თუ რა მიზანი აქვს პოლიტიკური მოდელის შემუშავებას;

მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ვუპასუხოთ კითხვას, არის თუ არა რეგიონული უსაფრთხოების მოდელი რეალური თანამშრომლობის ის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია რეგიონული უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრა?

მეორე რიგის კითხვები იყო: რა ტიპის დივიდენდების მოტანა შეუძლია მას მისი ინიციატორი სახელმწიფოსა თუ მხარისათვის, რომელმაც ის წარმოადგინა? რაში მდგომარეობს მიზეზები, რომლის გამოც ვერ მოხერხდა/ან მოხერხდა მოდელის რეალიზება? უნდა იყოს თუ არა უსაფრთხოების მოდელის

მონაწილე ის სახელმწიფო, რომელიც რეგიონული უსაფრთხოების მთავარი საფრთხეა? იქნებოდა თუ არა 2008 წელი დიდი ცვლილებების დასაწყისი სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის, მოლოდინი რომ გამართლებულიყო და 2009 წლის 15 ოქტომბერს დაგეგმილი ფეხბურთის მატჩის დროს თურქეთსა და სომხეთს შორის ჩაკეტილი საზღვრები გახსნილიყო? რა სავარაუდო შედეგების მომტანი იქნებოდა იგი რეგიონისა და მისი თითოეული ქვეყნისათვის პოლიტიკური თვალსაზრისით? შეიცვლებოდა თუ არა ენერგოპოლიტიკის გეოგრაფია, მისი რეალიზების შემთხვევაში და რა იყო მიზეზები, რის გამოც ჩაუვარდა თურქულ დიპლომატიას პოლიტიკური პროექტები.

ვ) კვლევის ჰიპოთეზა: კვლევის მთავარი ჰიპოთეზა გახლავთ ის, რომ უსაფრთხოების მოდელის ინიცირება არ ზრდის მისი წარმდგენი სახელმწიფოს (გავლენის სუბიექტი) გავლენას იმ რეგიონზე, რომელი რეგიონისთვისაც (გავლენის ობიექტი) მან მოცემული მოდელი შეიმუშავა. ეს არის გარკვეული ტიპის მცდელობა, მითუმეტეს თუ მოდელის ავტორი კონკრეტული სახელმწიფოა (გვაქვს მოდელები, რომელიც ინიცირებულია მკვლევართა ჯგუფის ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ), გავლენა იქონიოს იმ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, რომლისთვისაც ქმნის თანამშრომლობის გარკვეულ ფორმატს.

დისერტაციის მთავარი ჰიპოთეზა რომ გავავრცოთ, აღვნიშნავთ, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია სამხრეთ კავკასიისათვის ისეთი უნივერსალური თანამშრომლობის ფორმატის შექმნა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება რეგიონის სახელმწიფოთა თანამშრომლობა. ამის მიზეზი განსხვავებული პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ორიენტაციები და მიკუთვნებულობაა. ასევე, გავლენიან პოლიტიკურ აქტორთა ინტერესების არსებობა, რომლებიც არ დაუშვებენ, შედგეს წარმატებული თანამშრომლობის მაგალითი. პირველ რიგში კი რუსეთი, როგორც რეგიონის ყველაზე ძლიერი მოთამაშე ამ ეტაპისათვის, არ დაუშვებდა დაეკარგა კონტროლი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. საბჭოთა კავშირის დაშლაც კი, როგორც უკვე არსებული რეალობა, მისთვის კატასტროფის ტოლფასად აღიქმება. ანუ,

სამხრეთკავკასიური თანამშრომლობის იდეის რეალიზება, როგორი ტიპისაც არ უნდა იყოს იგი, ჩვენის აზრით, განხორციელებადი არაა.

ზ) თეორიული ჩარჩო: თეორიული ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც განვიხილავთ სადისერტაციო ნაშრომს – სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქულ მოდელებს, არის ნეორეალიზმის თეორია (Waltz, 1979).

ნეორეალიზმის თეორიის ყველაზე ცნობილი მკვლევარი ამერიკელი მეცნიერი ქენეთ უოლცია (K.N.Waltz) (ამ თეორიის სხვა ცნობილი მკვლევარებია: ენ. ვოლფერსი (A.Wolfers), რ. ეშლი (R.K.Ashley), ჯ. რაგი (J.G.Ruggie), ჩ. ჯონსი (Ch.Jones), რ. ლიტლი (R.Little), რ. გილპინი (R.Gilpin) და სხვები).

ნეორეალიზმის თეორიის არსი სუვერენულ სახელმწიფოთა ზემოთ მდგომი უზენაესი ხელისუფლების, „ცენტრალური მმართველობის“ არარსებობაში მდგომარეობს. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სისტემაში ყოველი მონაწილე სახელმწიფო მოქმედებს ფართო დიაპაზონში „გადარჩენიდან მსოფლიო ბატონობამდე“ თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აღნიშნული თეორია ორ პოსტულატს ეყრდნობა: 1. საერთაშორისო სისტემა ანარქიული უფროა, ვიდრე იერარქიული. 2. სისტემაში ურთიერთქმედებენ ერთი და იმავე ფუნქციების მქონე მსგავსი ერთეულები. მაგრამ, საერთაშორისო სისტემის მესამე ელემენტ-სისტემის შემადგენელ სახელმწიფოთა შორის შესაძლებლობათა და ძლიერების განაწილება-იცვლება ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორემდე, ერთი სისტემიდან მეორემდე. ანუ, სწორედ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განაპირობებს და ბიძგს აძლევს ცვლილებებს საერთაშორისო პოლიტიკაში.

ქენეთ უოლცის აზრით, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის თავისებურებათა გაგება ხელს გვიწყობს სახელმწიფოთა ქმედებების შეფასება/ანალიზის გაკეთებაში, ვინაიდან სახელმწიფოები თავიანთ ეროვნულ ინტერესებსა და სტრატეგიას განსაზღვრავენ საერთაშორისო სისტემაში

საკუთარი პოზიციის შეფასების საფუძველზე.

ნეორეალიზმის თეორიის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა თავისთავად „გამგებელი“ და განმსაზღვრეალია იმ ერთეულების ქმედებისა, რომლებიც ამ სისტემას შეადგენენ. ამ თეორიის პრინციპების თანახმად, ყოველი სახელმწიფო თავის საერთაშორისო პოლიტიკურ ქმედებებში საკუთარ ძალებს უნდა ეყრდნობოდეს. თუმცა, სუსტი და ძლიერი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდება; სუსტი სახელმწიფოები ისე არ მოქმედებენ, როგორც ძლიერები, რადგანაც სუსტების შესაძლებლობები შედარებით შეზღუდულია, როგორც გლობალური, ისე რეგიონული მასშტაბით. ძლიერი ქვეყნები კი არა მარტო გადარჩენაზე ფიქრობენ, არამედ ცდილობენ გლობალურ თუ რეგიონულ დონეზე პოზიციები გაიუმჯობესონ.

ამ თეორიის ფარგლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკური აქტივობის განხილვა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მაგალითზე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც, გააზრებული იქნას თურქეთის ახალი რეგიონული მისია იმ ახალ რეალობაში, რომელშიც მან წამოაყენა რეგიონული პლატფორმები.

თურქეთმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ შექმნილი ახალი რეალობა მიიღო როგორც გამოწვევა და დაიწყო საკუთარი ადგილისა და როლის გადაფასება, როგორც მსოფლიო, ისე რეგიონულ დონეზე მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით და მივიდა ახალი საგარეო პოლიტიკურ კონცეფციის შემუშავებამდე (Davutoglu, 2001), რომლის მიხედვითაც, თურქეთი უნდა იყოს არა უბრალოდ დასავლური პოლიტიკის დანამატი და მისი პოლიტიკის გამტარებელი/დასაყრდენი ქვეყანა, არამედ მას აქვს უნარი, ითამაშოს დამოუკიდებელი თამაში, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ახალი კონცეფციის ავტორი საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი აჰმეთ დავუთოღლუა (Davutoglu, 2001) (იგი არის საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი; არის არაერთი წიგნისა და შრომის ავტორი, რომელიც თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზს ეხება. იყო თურქეთის 50-ე საგარეო საქმეთა მინისტრი და 26-ე პრემიერ-მინისტრი 2014-2016 წლებში).

აღნიშნული კონცეფციიდან გამომდინარე თურქეთი მუდმივად ცდილობს აქტიურად ჩაებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სხვა პროცესებში.

ნეორეალიზმის თეორია საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, სათანადოდ შეაფასა თუ არა თურქეთმა საკუთარი ძალები ახალი მსოფლიო რეალობის კონტექსტში, რამდენად სწორად იქნა გააზრებული თურქეთის ახალი რეგიონული მისია და შეძლო თუ ვერა თურქეთმა ახალი უსაფრთხოების პლატფორმების წამოყენებით თავისი ახალი მისიის რეალიზება, აღმოჩნდა თუ ვერა თურქული დიპლომატიის ხელში წარმატებული იარაღი ეს ფლატფორმები.

როგორც მოგეხსენებათ, ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს. მაგრამ, საერთაშორისო პოლიტიკა სისტემაში ჩართული სუვერენული სახელმწიფოებისა და სხვა მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების საგარეო პოლიტიკის მექანიკური ჯამი კი არაა, არამედ თავად ამ სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით განისაზღვრება იგი.

ნეორეალიზმის თეორიის მიხედვითვე საერთაშორისო სისტემის მესამე ელემენტი – სისტემის შემადგენელ სახელმწიფოთა შესაძლებლობები, სიძლიერისა და გავლენის მაჩვენებლები – იცვლება ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორემდე, ერთი სისტემიდან მეორემდე. ანუ, იგივე საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განაპირობებს და ბიძგს აძლევს ცვლილებებს საერთაშორისო პოლიტიკაში.

არსებული სისტემის ფარგლებშივე, შედარებით სუსტ სახელწიფოებს, ან მეორე რიგის პოლიტიკურ აქტორებს, ეძლევათ შესაძლებლობა გამოვიდნონ მათი პოლიტიკური როლიდან და საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, მოახერხონ სხვა პოზიციებზე გადასვლა და გახდნენ წამყვანი პოლიტიკური მოთამაშეები, თუ ეს მათ პოლიტიკურ ძალებს არ ადემატება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს თურქეთის პოლიტიკური ამბიციების რეალიზების შესაძლებლობები: ის რეგიონული ბალანსი, რომელიც

ამ ეტაპზე არსებობს სამხრეთ კავკასიაში, რუსეთის ფედერაციის მიერ კონტროლდება. იგი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე რუსეთის ადგილისა და როლიდან გამომდინარეა დამკვიდრებული. მისი ინტერესების არეალში შესვლის ნებისმიერ მცდელობას რუსეთი მკაცრი ქმედებებით პასუხობს. მისაღებია ეს თურქეთისათვის თუ არა, ფაქტია, რომ რუსეთი საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია და საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ხასიათს განაპირობებს. ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც მეორე რიგის პოლიტიკურ აქტორებად გვევლინებიან, იძულებულები არიან შეზღუდულ პოლიტიკურ არეალში იმოქმედონ და მათი ქმედებებით არ დაარღვიონ წამყვანი მოთამაშეების ინტერესებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული წესრიგი. საკითხის მეორე მხარეა, შეუძლია თუ არა მეორე რიგის პოლიტიკურ აქტორს, ამ შემთხვევაში თურქეთს, გაძლიერედეს იმ დონემდე, ან ატარებდეს იმდენად მოქნილ პოლიტიკას, რომ დისონანსი შეიტანოს არსებულ სისტემაში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თუ ამავე თეორიიდან გამომდინარე, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა შეცვალოს თავისი პოლიტიკური როლი და რეალობა, რატომ არ უნდა სცადოს თურქეთმა, მითუმეტეს, რომ ამ ქვეყანამ შეძლო და გადააფასა ქვეყნის ფუნდამენტური ინტერესები და ახალი იდეოლოგიური საფუძვლები შეიმუშავა?! რათქმაუნდა, აქვს უფლება, როგორც სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული მუდმივ მცდელობაშია, გახდეს წამყვანი მოთამაშე და ლიდერი სახელწიფო სამხრეთ კავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში. მაგრამ, ფაქტია, რომ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა არათუ გადაწონოს, თუნდაც დააბალანსოს რუსეთის პოლიტიკური წონა აღნიშნული რეგიონების დონეზე.

თურქეთს მცდელობა არ დაუკლია მისი ამბიციების რეალიზებისათვის. როგორც ჩანს, ქვეყნის დიპლომატიური კორპუსი ინტენსიურად მუშაობდა და მუშაობს ამ მიმართულებით. სწორედ ამას ადასტურებს მოდელების წამოყენებაც.

2008 წლის აგვისტოში პროცესების იმდაგვარად განვითარება, როგორცდაც განვითარდა იგი, გვაფიქრებინებს, რომ თურქეთმა რაღაც მომენტში ჩათვალა, შეიძლებოდა სერიოზულად ეფიქრა მისი გეგმების რეალიზებაზე, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსული ძალის დაბალანსებას ეხებოდა და გააქტიურდა. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მისი მისწრაფება, გამოვიდეს მეორე რანგის რეგიონული აქტორის როლიდან, წარუმატებელი აღმოჩნდა.

როგორც პროცესების განვითარებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რუსეთი არის ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც, როგორც ტიპის წინააღმდეგობაც არ უნდა ქონდეს მსოფლიო პოლიტიკურ მოთამაშებთან, მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა მათთვის და შესწევს უნარი გაანეიტრალოს თავისი გავლენების სფეროებში წარმოშობილი წინააღმდეგობები.

ანუ, სწორედ ნეორეალიზმის თეორია გვამლევს საშუალებას ავხსნათ, რამდენად სწორად შეაფასა თურქეთმა საკუთარი ძალები, როცა აქტიურად დაიწყო საერთაშორისო წესრიგში დისონანსის შემტანი ნაბიჯების გადადგმა.

თ) კვლევის მეთოდოლოგია: ჩვენი სადისეტრაციო თემის შინაარსიდან გამომდინარე კვლევის პროცესი ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს. მონაცემთა შეგროვებისას ვიყენებდით ინტერვიუებისა და დოკუმენტების ანალიზის მეთოდს.

ინტერვიუების შერჩევისას გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, ვინაიდან, წინასწარი კვლევების ჩატარებისას იყო შემთხვევები, როცა საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების პროფესორებმა უარი განაცხადეს ინტერვიუებზე იმ მიზეზით, რომ მიუხედავად დიდი დაინტერესებისა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებისადმი (მათ აქვთ ცალკეული კვლევები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების თემატიკას ეხება და/ან მათ მონოგრაფიებსა თუ წიგნებში არის ქვეთავები, რომლებიც უსაფრთხოების საკითხებს ეთმობა), თვლიდნენ, რომ არ იყვნენ ამ სფეროში საკმარისად კომპეტენტურები. შესაბამისად, დავიწყეთ მიზნობრივად მოძიება მკვლევრებისა, რომლებიც უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობდნენ და ე.წ. თოვლის გუნდის მეთოდის მოშველიებით შევარჩიეთ ისინი.

ექსპერტული ინტერვიუები ეყრდნობა კითხვებს, რომლებიც წინასწარ იყო შემუშავებული და რომელთა რაოდენობა ზოგ შემთხვევაში იზრდებოდა რესპოდენტთა პასუხებიდან გამომდინარე.

ექსპერტებთან შეხვედრისათვის დაგეგმილი სპეციალური ვიზიტების შედეგად ინტერვიუები ჩავწერეთ ქართველ, სომეხ, რუს, ბერძენ, ამერიკელ, აზერბაიჯანელ და თურქ მკვლევრებთან;

ქართველ მკვლევრებთან ინტერვიუები ჩაიწერა 2015 წლის გაზაფხულზე, მარტში. მათ შორის: პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძესთან, პროფესორ ზურაბ დავითაშვილთან, პროფესორ ალექსანდრე კუხიანიძესთან, პროფესორ კორნელი კაკაჩიასთან, პროფესორ ჰენრი კუპრაშვილთან, პროფესორ გია ნოდისასთან, პროფესორ დავით დარჩიაშვილთან, კავკასიოლოგ ალექსანდრე კვახაძესთან, საქართველოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან ეკატერინე ტყემელაშვილთან და ექსპერტ პეტრე მამრამესთან.

თურქეთში შეხვედრები ჩაიწერა 2015 წლის ივნისში. ინტერვიუები ჩავწერეთ შემდეგ მკვლევრებთან: პროფესორ კამერ კასიმთან, პროფესორ მითათ ჩელიკპალასთან, პროფესორ აჰმედ ჰანთან, პროფესორ სერდარ დინლერთან, პროფესორ ოკთაი თანრისევერთან, პროფესორ მუსტაფა აიდინთან, პროფესორ ჰაიდარ ჩაქმაქთან.

ინტერვიუ ჩავწერეთ სტამბოლში მოღვაწე, წარმოშობით ბერძენ პროფესორთან დიმიტრის ტრიანტაფილოუსთან. ასევე, სტამბოლში მოღვაწე წარმოშობით აზერბაიჯანელ მკვლევართან პროფესორ ვუგარ იმანბეილთან. ერთ-ერთი ქართველი მკვლევრის დახმარებით 2017 წლის სექტემბერში ინტერვიუ ჩავწერეთ რუს მეცნიერთან სერგეი მარკაროვთან. ასევე, საქართველოში მოღვაწე ამერიკელ მკვლევართან იუჯინ კოგანთან.

ბაქოში აზერბაიჯანელ პროფესორებთან ინტერვიუები ჩავწერეთ 2015 წლის ივლისის თვეში. მათ შორის: პროფესორ ელნურ სოლთანოვთან, პროფესორ ფაიკ ელევბეროვთან, პროფესორ ნერიმან ქარახანთან, პროფესორ ნათიმ მაჰმუდოვთან, პროფესორ მუსფიქ ემროვთან, მკვლევარ ჯავიდ

გადიროვთან, მკვლევარ ფუად ჩირაგოვთან, მკვლევარ ათად ღარიბლისთან, მკვლევარ ილგარ ჰაჯიევიანთან.

სომეხი მკვლევრებიდან 2016 წლის მარტში ინტერვიუები ავიღეთ პროფესორ რიჩარდ გირაგოსიანთან, ჟურნალისტ ბორის ნავასარდიანთან, პროფესორ სერგეი მინასიანთან, მკვლევარ/ქართველოლოგთან ჯონი მელიქიანთან, პროფესორ ალექსანდრე მაკაროვთან, პროფესორ ალექსანდრე ისკანდერიანთან, პროფესორ დავიდ შაჰნაზარიანთან, პროფესორ არმენ მანველიანთან და პროფესორ გევორგ ტერ-გაბრიელიანთან.

დოკუმენტების ანალიზის პროცესში თბილისში, ბაქოში, ერევანში, ანკარასა და სტამბოლში ვიზიტების შედეგად მოვიძიეთ და შევისწავლეთ როგორც ინტერვიურ პროფესორთა სამეცნიერო შრომების შინაარსობრივი მხარე სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხების შესახებ, ასევე, თურქეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე არსებული მასალები, უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის კრებულები, თურქულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები. ბაქოს დიპლომატიურ აკადემიასა და ანკარაში, გაზის უნივერსიტეტში მოგვეცა შესაძლებლობა უნივერსიტეტის შიდა ბაზებში მუშაობის, რამაც საშუალება მოგვცა უამრავ საინტერესო კვლევას გავცნობოდით.

ცვლადები: კვლევაზე მუშაობის პროცესში გამოჩნდა, რომ გავლენის სუბიექტი (პოლიტიკური მოდელის ინიციატორი სახელმწიფო) და გავლენის ობიექტი (რეგიონი, რომლისთვისაც შემუშავდა მოდელი) კორელაციაში არ არიან ერთმანეთთან იმ გაგებით, რომ მოდელის წამოყენება ავტომატურად არ ნიშნავს გავლენის გავრცობას/გაფართოებას კონკრეტულ რეგიონზე. ამ შემთხვევაში უსაფრთხოების მოდელი დამოუკიდებელი ცვლადია, ხოლო გავლენის სუბიექტი ანუ სახელმწიფო/მხარე, რომელმაც ინიცირება გაუკეთა სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მოდელს და გავლენის ობიექტი ანუ სამხრეთ კავკასია, დამოკიდებული ცვლადებია. დამატებით ცვლადად კი გვევლინება ისეთი ცვლადი, როგორცაა ეკონომიკური

გავლენა/ბერკეტები. გაზომვის პროცესში სხვა არაერთი დამატებით ცვლადის მოშველიება შეიძლება, მაგალითად რელიგიური, კულტურული გავლენა, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ არ შეეხებოდა/ან რაიმე კონკრეტულ შემთხვევაში მოვიშველიებთ საჭიროებისამებრ.

ი) ლიტერატურის მიმოხილვა: უნდა ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მოდელების შესახებ კვლევები მინიმალურია. მათ შორის, თურქული მოდელების შესახებ. არიან მკვლევრები, რომლებიც ბევრს წერენ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების შესახებ, სამხრეთ კავკასიაში არსებულ მთელ რიგ პრობლემებზე, დასავლეთისა თუ ნატო-ს უსაფრთხოების პოლიტიკაზე რეგიონში, მაგრამ არა უსაფრთხოების მოდელებზე. ამ ავტორებიდან ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ ავტორებს, რომელთა შრომებიც ახლოსაა ჩვენი კვლევის თემატიკასთან და რომლებიც გამოვიყენებთ დისერტაციის წერისას.

პირველ რიგში გამოვიყოფთ თურქ ავტორებს; სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მოდელებზე, მათ შორის თურქულ მოდელებზე, წერს კადირ ჰას უნივერსიტეტის პროფესორი მითათ ჩელიკპალა (Celikpala, 2010). მისი შრომები ინტენსიურად იბეჭდება თურქულ და საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებსა და კრებულებში, სადაც ხაზგასმულია თურქეთის წამყვანი და უმნიშვნელოვანესი როლი რეგიონული უსაფრთხოების პროცესებში (Celikpala, 2010). იგი წერს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობით დაწყებული, 2008 აგვისტოს ომისა და მის შემდგომი პერიოდის მოვლენების შესახებ. პროფესორი მითათი ცდილობს დაასაბუთოს, რომ თურქული პოლიტიკა მრავალმხრივი სარგებლიანობის პრინციპებზეა აგებული. მას დაწვრილებით აქვს განხილული პირველი თურქული პლატფომის წამოყენების წინაპირობები და პროცესების შემდგომი განვითარება.

უსაფრთხოების საკითხებზე წერს პროფესორი ჯელაკტინ იავუზი (Yavuz, 2010) თავის ერთ-ერთ შრომაში, რომელიც თურქულ გეოპოლიტიკაზე საუბარს ეხება (Avrasya'da Tütk Jeopolitigi). იგი აღნიშნავს, რომ თურქეთს შეუძლია

წამყვანი როლი ითამაშოს მეზობელი რეგიონების გეოპოლიტიკურ თამაშებში, ამიტომ თურქული პოლიტიკა რაც შეიძლება აქტიური უნდა იყო ამ მიმართულებით. პროფესორი ჯ. იავეზი ხაზს უსვამს, რომ თურქეთის პოლიტიკაში დასავლური ორიენტაციის გააქტიურება, ევროკავშირთან დაახლოება ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეგიონებია თურქეთისათვის. ამიტომ, ამ მიმართულებაზე ინტენსიური მუშაობის პარალელურად, ინტენსიური ქმედებების განხორციელებაა საჭირო.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურასა და მის წიგნებში ამ საკითხებს აქტიურად ეხება პროფესორი ფარუკ სონმეზოღლუ (Sonmezoglu, 2006). პროფესორი ფარუკი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში დასავლური ხაზიდან არ გადახვევის პოლიტიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცა, მეზობელი რეგიონები და ამ რეგიონებთან მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება პირველი რიგის ამოცანებად მიაჩნია. ასევე საინტერესო შრომების ავტორია პროფესორი ომერ გოქსელი (Göksel, 2010), პროფესორი ნეჯდეთ პამირი (Pamir, 2009). პროფესორი ესრა ჰატიპოღლუ (Hatipoğlu, 2004) და პროფესორი ელიფ ქილიჩბეილი (Kılıçbeyli, 2008). მათი შრომების გაცნობამ სიღრმისეულად დაგვანახა თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპები და დილემები, რომელიც დგას მის წინაშე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქულ სამეცნიერო წრეებში საკმაოდ ცნობილი მკვლევარი, რომელიც ამ საკითხებზე წერს, გახლავთ ქალაქ სტამბოლის უნივერსიტეტში მოღვაწე აზერბაიჯანელი პროფესორი, ვუგარ იმანბეილი (Imanbely, 2010). მისი სამეცნიერო სტატიები ეძღვნება უსაფრთხოების არა მხოლოდ იმ მოდელს (Kafkasya Istikrar ve İşbirliği Platformu, Central Eurasian Studies: Past, Present and Future), რომელსაც ეხება ჩვენი შრომა, არამედ ყოფილი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის იდეებსა და შეხედულებებსაც.

ვუგარ იმანბეილი საკმაოდ კრიტიკული ავტორია, თუმცა, თავის

შრომებში ხაზს უსვამს იმ მომენტს, რომ თურქეთს შესწევს ძალა ითამაშოს წამყვანი როლ მეზობელი რეგიონების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ თურქეთმა იცის მისი ძალა და ამითაა განპირობებული მისი აქტოვობა. მისი მოსაზრებით, თურქეთს აქვს პოლიტიკური ნება, რომ სამხრეთ კავკასიაში პასუხისმგებლიანი მოთამაშის როლში იყოს და ეს მისი არაერთი აქამდე განხორციელებული ქმედებითაც დასტურდება. ამ ავტორს სჯერა, რომ მჭირდო თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის, მოიტანს მშვიდობას.

ყველაზე ცნობილი თურქი მეცნიერი, რომელიც იკვლევს კავკასიის რეგიონს არის პროფესორი კამერ კასიმი (Kasimi, 2011). იგი თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საერთაშორისო სტრატეგიის კვლევის ცენტრის ერთი-ერთი ხელმძღვანელია. მის ერთ შრომაში „ცივი ომის შემდგომი კავკასია“ (“Soğuk Savaş Sonrası Kafkasya“) დეტალურად არის განხილული სამხრეთ კავკასიის სამივე (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) სახელმწიფოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები და თანამშრომლობის პერსპექტივები. ეს ავტორი გარკვეული ეჭვებით უყურებს რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივებს და ამის არაერთ მიზეზს ასახელებს; იგულისხმება როგორც საგარეო პოლიტიკური არჩევანის განსხვავებულობა, ასევე, საშინაო პოლიტიკაში არსებული პრობლემები. ასევე, ისეთი საკითხების არსებობა, რომელთა გადაჭრა ფაქტობრივად შეუძლებელია, ვინაიდან იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, მაგალითად, ყარაბაღის თემა.

ასევე საინტერესოა თურქი მკვლევრის _ სერდარ დინლერის (Dinler, 2016) მოსაზრებების გაცნობა იმდენად, რამდენადაც, მის მიხედვით არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის, არამედ საერთოდ, უსაფრთხოების საკითხების დარეგულირება ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულებას ემყარება. ანუ, მისი აზრით, თუ ამ რეგიონის ქვეყნებმა მოახერხეს და გამოახეს საერთო ენა, ქონდეთ „კარგად აწყობილი ვაჭრობა“, უპირობოდ წარმატებული იქნება უსაფრთხოების საკითხებში მათ შორის დიალოგიც (ინტერვიუ ჩაიწერა

2014 წლის ივნისში).

სამხრეთ კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე ბევრს წერს თურქი პროფესორი მუსტაფა აიდინი (Aydin, 2012). მისი მრავალრიცხოვანი შრომები და წიგნები სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე რთულ გეოპოლიტიკურ პროცესებს ძალზედ საინტერესოდ და მრავალმხრივ ასახავს (მაგალითად, Kafkasia'da Değişim Dönüşüm). მის შრომებს კარგად იცნობს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება.

თურქეთში მოღვაწე ბერძენი მეცნიერი – პროფესორი დიმიტრის ტრიანტაფილოუ, რომელიც ერთ-ერთი წამყვანია თურქეთში უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმების მოწყობით, გამოირჩევა არაორდინალური მიდგომებით ამ საკითხებისადმი; მან ამის შესახებ ჩვენთან ინტერვიუში ისაუბრა. მისი მოსაზრებები სამხრეთ კავკასიაში წარმატებული დიალოგისთვის ეფუძნება შემდეგ შეხედულებებს: თუ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს სურთ დიალოგი იყოს წარმატებული, ამ დიალოგში უნდა შემოიყვანონ საბერძნეთიც. ანუ შედარებით უნდა გაფართოვდეს წრე სახელმწიფოთა ჩართულობის მხრივ. ეს ხელს შეუწყობს როგორც ევროპასთან დაახლოებას, ასევე, ერთობლივი მოქმედების შემთხვევაში, გაზრდის ზეწოლის ბერკეტებს რუსეთზე. იგი თვლის, რომ ქრისტიანული/მართლმადიდებლური საბერძნეთი საინტერესო მონაწილე იქნება თანამშროლობის ფორმატებში (ინტერვიუ ჩაიწერა 2015 წლის ივნისში). მისი მიდგომების მიხედვით, საქართველოს სრულიად უსამართლოდ შესუსტებული აქვს ურთიერთობები საბერძნეთთან.

ასევე, საინტერესოა თურქეთის საგარეო პოლიტიკის სფეროში მომუშავე სხვა მკვლევრების შრომებიც; განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ პროფესორი ბასკინ ორანი (Oran, 2013) და ჰაიდარ ჩაქმაქი (Cakmak, 2008). ასევე, შუჰნაზ ილმაზისა და პროფესორი ოკთაი თანრისევერის კვლევები. მათი შრომები/წიგნები არ ეძღვნება უშუალოდ უსაფრთხოების მოდელებს, მაგრამ ისინი არიან საკმაოდ საინტერესო კვლევების ავტორები, რომელიც თურქეთის

საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებს, კავკასიაში მიმდინარე პროცესებსა და თურქეთის კავკასიურ პოლიტიკას ეხება.

საინტერესოა ანალიტიკოს ნიგარ გოქსელის კვლევები; იგი ძალიან კარგად იცნობს სამხრეთ კავკასიას და ამ რეგიონში მიმდინარე პროცესებს, ეს იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა სახის პროცესები. მაგალითად, მის ერთ-ერთ კვლევაში, რომელიც საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს ეძღვნება (Goksel, 2013), იგი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ფაქტობრივად ყველა სფეროს ეხება და ღიად ამბობს, რომ ეს ურთიერთობები სულაც არის არის ნულოვანი პრობლემების მქონე; ერთგან ხაზს უსვამს, რომ თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში საქართველოს როლი „კრიტიკულად სტრატეგიული ხაზია“ (critical strategic link) და თვლის, რომ ურთიერთობები უნდა გაღრმავდეს განათლებისა და ეკონომიკის სფეროში. ასევე, არ ავიწყდება და ამბობს, რომ 2012 წლის შემდეგ მოსული ხელისუფლების არაერთმა წევრმა არასწორად დაინახა ეს ურთიერთობები და თურქო-სკეპტიციზმის იდეა გაჩნდა ქართულ საზოგადოებაში, რაც მას არასწორად მიაჩნია და თვლის, რომ თურქეთი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და კერძოდ, ნატო-სთან დაახლოებაში შეუცვლელი პარტნიორია. იგი ხაზს უსვამს, რომ ძალიან სენსიტიურია ეს თემა ისტორიული ნარატივიდან და ამ საზოგადოებების ურთიერთობებიდან გამომდინარე. ავტორს არასწორად მიაჩნია მართლმადიდებლური ეკლესიის დიდი უპირატესობებით სარგებლობა, დისკუსიები ამ თემის გარშემო და მუსლიმური ტამრებისა და სალოცავი ადგილების მოწყობისადმი საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება. და ეს მაშინ, როცა თურქეთი დათანხმდა იუნესკო/UNESCO-ს ფარგლებში ძირძველი ქართული ტამრების აღდგენას მის ტერიტორიაზე. ასევე, ავტორი საუბრობს, რომ ბევრი ქართველის აზრით, აფხაზეთთან თურქეთის ეკონომიკური კავშირების ქონა ხელს შეუწყობს აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას და საქართველოსათვის ერთ-ერთი დიდი პრობლემის მოგვარების დაწყებას.

ქალბატონი ნიგარი იხსენებს, რომ თურქეთის ინციატივას, რომელიც მან

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდგომ წამოაყენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსული გავლენის წინააღმდეგ პლატფორმის გეგმის ასამუშავებლად, უარყოფითად შეხვდა ქართული პოლიტიკური ელიტა. შესაბამისად, პროექტი ჩავარდა. იგი თვლის, რომ თანამშრომლობა უნდა შემდგარიყო რეგიონის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. იგი საქართველოსთან თურქეთის ურთიერთობებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით, საქართველოსთან ურთიერთობების პოზიტიურ ჭრილში განვითარება იქნება თურქეთის სტრატეგიული ურთიერთობების სინერჯის ტესტი ევროკავშირთან მიმართებით.

კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის პროცესების საინტერესო ანალიტიკური მასალებია თავმოყრილი თურქეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ კრებულში (Yeni Dönemin Türk Dış politikası), სადაც პროფესორების: დოქტორი სედატ ლაჩინერის, დოქტორი ინრაჰიმ კაიას, დოქტორი მეჰმეთ დიკაიას, დოქტორი ბულენტ ულუდაღის, დოქტორი შუქრუ ნიშანჯის, დოქტორი გუნერ ოზკანის, როვშან იბრაგიმოვის, პროფესორ ალექსანდრე კუხიანიძის, მუსლუმ ჯაბარზადეს, დოქტორი ჰუნსუ კაპუს მიერ დეტალურადაა განხილული თურქეთის კავკასიური პოლიტიკა: თურქეთის აზერბაიჯანული პოლიტიკა, სომხეთთან ურთიერთობების სპეციფიკა, პრობლემები და პერსპექტივები, საქართველოს 2008 წლის კრიზისი, სამხედრო აგრესიის, საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები და სხვა.

თურქეთის სამხრეთ კავკასიური ენერგო და უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზია მოცემული მკვლევარების _ ერჰან ბუიუკაკინჯის, ალი ფაიკ დემირისა და მერთ ბილგინის სტატიებში, რომელიც გამოიცა შრომათა კრებულად: „21-ე საუკუნის თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი“ (XXI Yüzyılda Türk Dış Politikasının Analizi). ამ შრომებში სამხრეთ კავკასიის რეგიონში თურქეთის აქტივობები სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტადაა შეფასებული ამ ქვეყნისათვის. ავტორები ამ რეგიონს თურქეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონად განიხილავენ ცენტრალურ კავკასიასთან ერთად,

ვინაიდან სწორედ ამ რეგიონების საშუალებით მარაგდება თურქეთი ენერგორესურსებით და სწორედ ამ რეგიონზე გავლით უკავშირდება იგი თურქულენოვან და მოძმე ცენტრალურ აზიას. ამიტომ, თვლიან, რომ თურქეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა სამხრეთ კავკასიის თითოეულ რესპუბლიკასთან დაამყაროს და შეინარჩუნოს ღრმა და საინტერესო ურთიერთობები.

ამერიკელი, ევროპელი, ქართველი და მეზობელი სახელმწიფოების სამეცნიერო წრეებიდან ჩვენი საკვლევითი თემის ირგვლივ საინტერესო შრომები მოვიძიეთ შემდეგ ავტორებთან: ერიკ ისლერს (Eissler, 2013), რომელსაც საინტერესო სამეცნიერო სტატიები აქვს თურქეთის როლზე აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების შესახებ. ავტორი ხაზს უსვამს იმ მომენტს, რომ ვინაიდან თურქეთი არის აფხაზეთის ავტონომიისათვის მეორე სავაჭრო პარტნიორი, რუსეთის შემდეგ, მას შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, დადებითი როლი ითამაშოს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. ამ ურთიერთობების დალაგება კი პოზიტიურად აისახება რეგიონულ დონეზე მშვიდობის დამყარების პროცესზე; როს ვილსონს, რომელიც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების დარეგულირებას (აზერბაიჯანი-სომხეთი), ეკონომიკის განვითარებაზე მიზანმიმართულ მუშაობას და დემოკრატიის ნორმების დამკვიდრებას, რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტად ასახელებს; იზაბელ ლენჯირაკს (Lenjirak, 2009), რომელიც გახსნილად საუბრობს თავის შრომებში იმის შესახებ, რომ თუ აზერბაიჯანი არ შეცვლის პოლიტიკურ სისტემას ქვეყანაში, ის ვერ იქნება მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი რეგიონში, პოლიტიკური სისტემის ავტორიტარული ხასიათიდან გამომდინარე; მარინე მანუჩარიანს (Manucharian, 2016), რომელიც ძირითადად სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაში სომხეთის როლზე და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის თავისებურებებზე ბევრს წერს; არამ ტერძიანს (Terzyan, 2018), რომლის სადოქტორო დისერტაციაც და სამეცნიერო სტატიები სწორედ უსაფრთხოების მოდელს ეხება; მისი დამსახურებაა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების

საკითხების/მოდელების კვლევა შედარებით ინტენსიური გახდა აღმოსავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში. აღსანიშნავია კერბული პაველ ბეივის, ბრუნო კოპიტერსის, სვანტე კორნელის, დავით დარჩიაშვილის, არმან გრიგორიანის, დუვ ლინჩის, ჯონ რობერტის, დომიტლა საგრამოსოს, ბრენდა შეფერის, არიფ იუნუსოვისა და იანის ველინეკის სტატიები, რომლების ევროპის უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტის (ISS) Chaillot Papers-ის სერიაში გამოქვეყნდა. ისინი, როგორც საქართველოს, ისე, მთლიანად სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნება და საინტერესო ანალიზის შემცველია. შეუძლებელია გვერდი ავუაროთ თომას დე ვაალის (Tomas De Vaal) ან სვანტე კორნელის (Svante E. Kornell) საყურადღებო სტატიებს, დენის კორბოს (Denis Corboy), ზაურ შირიევის (Zaur Shiriyev), ბორატ გრიკის (Borat Grek) ანალიტიკურ სტატიებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. ეს ავტორები საკმაოდ სიღრმისეულად იცნობენ სამხრეთ კავკასიის რეგიონის პრობლემატიკას და ხშირად სწორედ მათი სტატიებიდან აქვს უცხოელ მკითხველს წარმოდგენა ამ რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ.

მასალების მოძიების პროცესში ვიყენებდით თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდებს. ასევე, საინფორმაციო პროტალებს: Civil.ge-ს, Regnum-ს, AzerNews-ს, AraratNews-ს და სხვებს.

კვლევის პროცესში გავაცანით არაერთი თურქი ჟურნალისტის სტატიას, რომელიც შემდეგ თურქულ გამოცემებში ქვეყნდებოდა: Today's zaman-ი (ოპოზიციური გაზეთი), Zaman-ი, Hurriyet Daily News-ი, Cumhuriyet-ი, Journal of Turkish Weekly-ი და Turkish Press-ი.

სამეცნიერო სტატიები მოვიძიეთ კვლევითი ცენტრების, მაგალითად, USAK-ის, Chaillot Papers-ის საიტებზე და Jstor-ის, EBSCO-ს, ScienceDirect-ის სამეცნიერო ბაზებიდან.

აღვნიშნავთ, რომ ფაქტობრივად არ დარჩენილა არცერთი ინტერნეტ-გამოცემა მსოფლიო მასშტაბით, პოპულარული თუ ნაკლებ პოპულარული,

მითუმეტეს თურქული და სომხური, ასევე რუსული მასმედია, თურქეთის ერთ-ერთი პოლიტიკური მოდელის, ე.წ. „საფეხბურთო დიპლომატიის“ შესახებ თუნდაც ერთი ინტერვიუ ან სტატია რომ არ გამოექვეყნებინოს. შესაბამისად, უამრავი საგაზეთო და პრესის მასალა მოვიძიეთ ამ თემაზე. მაგრამ, იგივეს თქმა არ შეგვიძლია სამეცნიერო შრომების კუთხით. რა თქმა უნდა, არის სამეცნიერო შრომები ამ თემატიკაზე, მაგრამ ძალიან ცოტა. მიუხედავად ამისა, საგაზეთო პუბლიკაციებიდან ბევრი საინტერესო ამბავი და ფაქტი მოვიძიეთ, რამაც საინტერესოდ შეგვივსო ჩვენი შრომა.

კვლევის პროცესში ვეცნობოდით ისეთი წამყვანი გამოცემების სტატიებსა და შეფასებებს, როგორებიცაა BBCTurkish-ი, CNNTurk-ი, Lemonde-ს, Wall Street Journal-ს, Eurasianet-სა და World Politics Review-ს.

რამოდენიმე სამეცნიერო სტატია მოვიძიეთ სომხეთის კავკასიის ინსტიტუტის ბაზიდან;

კვლევისას გამოიკვეთა, რომ ინტერნეტ-გამოცემების გარკვეული ნაწილი სკეპტიკური შეხედულებებითაა გაჯერებული. მაგრამ, ნაწილი თურქეთის ინიციატივით დაწყებულ მოლაპარაკებებს რეგიონში თანამშრომლობის ახალი ფორმატის შექმნისათვის, მაგალითად, სომხეთთან მიმართებით, აფასებს, როგორც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესს და საუბრობს მის წარმატებით დასრულებაზე.

რაც შეეხება სამეცნიერო კვლევებს ამ მიმართულებით; ანალიტიკური შრომების უდიდეს ნაწილში, საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, გამოთქმულია შეხედულება, რომ დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ მხარეებს _ თურქეთსა და სომხეთს, გადალახონ ის წინააღმდეგობები, რაც არსებობს ორ ქვეყანას შორის და მივიდნენ გარკვეულ შეთანხმებებამდე.

ერთ-ერთი საინტერესო ავტორია შავი ზღვის კვლევების საერთაშორისო ცენტრის მკვლევარი ელენი ფოტუ (Fotu, 2009). ეს ავტორი სწორედ იმ პოლიტიკური პროექტის შესახებ წერს, რომელიც ჩვენი კვლევის თემაა. იგი ამ პროექტს სულეიმან დემირელის იდეის „განახლებულ ვერსიას“ უწოდებს, იმ

იდეის, რომელიც პროექტად ვერ შედგა. იგი იმეორებს ფართოდ დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ თურქეთი ენერგოდამოკიდებულების გამო ცდილობს მჭიდრო ურთიერთობები ქონდეს რუსეთთან და საერთო ენა გამონახოს მასთან სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობისათვის. იგი აღწერს, რაოდენ ინტენსიურია რუსეთ-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და ამით ხსნის (სხვა არაერთი მიზეზითაც) მათი თანამშრომლობის განვითარებისაკენ გადადგმული ნაბიჯების ლოგიკას და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს თურქეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს კი ანკარის ინტერესებიდან გამომდინარე უწოდებს. ელენი ფოტუ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიური მიმართულების გააქტიურებას ევროპული მიმართულების ალტერნატივად მოიხსენიებს.

თურქი მეცნიერებიდან უნდა გამოვყოთ დოქტორი ოზბაი ფატიჰი (Fatizi, 2011); იგი თავის ერთ-ერთი სტატიაში სომხურ-თურქული დიალოგის წარმატებლობას აშშ-ს უკავშირებს. მისი თქმით, იგივე აშშ-ის პრეზიდენტის – ბარაკ ობამას მიერ გაკეთებული განცხადება 1915 წელს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, იყო ამერიკის დამოკიდებულების გამახატულება, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გადაწყვიტა კიდევ ამ მოლაპარაკებების ბედი. ოზბაი ფატიჰის თქმით, პრეზიდენტის კომენტარის წაკითხვას ამერიკის სომხური დიასპორა „ოთხი თვალით“ ელოდა: „დიდი ჟღერა“ კი იყო ის მესიჯი, რაც პრეზიდენტმა მათ გაუგზავნა თავისი დამოკიდებულების საჩვენებლად. მაგრამ, ეს ამავე დროს იყო თურქეთისათვის გაგზავნილი მესიჯიც, თუ რა მოლოდინები უნდა ქონოდა სტრატეგიული მოკავშირისგან. ავტორი იხსენებს, რომ სრულიად ნათელი მას შემდეგ გახდა ყველაფერი, რაც კონგრესში გენოციდის აღიარების საკითხი დაისვა. იგი მიიჩნევს, რომ თუ თურქეთს სურს წარმატებული იყოს მისი პოლიტიკა ევროკავშირთან დაახლოებაში, ქვეყანას დასჭირდება შექმნას სტაბილური გარემო მის ირგვლივ, გახსნას მეტი დიპლომატიური არხები და უსაფრთხოების საიმედო გარანტიები შექმნას ცენტრალური აზიისაკენ მიმავალ სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამ კონტექსტში

კი საჭიროდ თვლის სომხეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას. მაგრამ, თურქეთის კავკასიური პოლიტიკა გადაკვეთს რუსეთის ინტერესებს ამ რეგიონში და ამ ინტერესთა შეჯახება საფრთხეს უქმნის რუსეთის ჩრდილო-სამხრეთის პოლიტიკის რეალიზებას. რუსეთი ცდილობს გაანეიტრალოს თურქეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებების, იგივე გენოციდის საკითხზე კომისიის შექმნის მცდელობა, თურქეთში მცხოვრები მცირერიცხოვანი სომხებისათვის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტიების მიცემით გამოწვეული სიკეთეები და დაბლოკოს თურქეთის გეგმების რეალიზება.

ცნობილი თურქი მეცნიერი კამერ კასიმი (Kasim, 2010) თურქეთის კავკასიურ პოლიტიკას ინტენსიურად იკვლევს და არაერთი სამეცნიერო შრომა აქვს ამ თემაზე. ბუნებრივია, მას აქვს შრომები სომხეთთან ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელობაზე თურქეთისათვის. მის ერთ-ერთ სტატიაში კამერ კასიმი ამბობს (Kasim, 2010), რომ თურქეთი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ცნო სომხეთის დამოუკიდებლობა 90-იან წლებში და სურდა მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება. მაგრამ, სომხეთის მიერ ქელბეჯერის (Kelbecer) ოკუპაციის მერე თურქეთი იძულებული გახდა დაეკეტა საზღვრები. იგი სვამს კითხვას, თუ რა ცვლილებებს შეიტანს საერთაშორისო სისტემაში თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და ამბობს, რომ ეს იმდენად რეზონანსული საკითხია, მისი გადაწყვეტა აშშ-თან ერთად კომპლექსურად უნდა მოხდეს, ვინაიდან, მისივე თქმით, როგორც საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომმა აჩვენა, რუსეთის პოლიტიკა ბევრ ნაბიჯზეა წამსვლელი და „საგზაო რუკა“ კი ამ მხრივ დიდ რისკებს შეიცავს. სომხეთთან ურთიერთობების აღდგენის მცდელობას იგი მხოლოდ თურქულ ინიციატივად არ მოიხსენიებს. კამერ კასიმის თქმით (Kasim, 2010), აშშ-სა და ევროკავშირის ინტერესებშია სომხეთის მათ ორბიტაზე მოქცევა და თურქეთი მხოლოდ რგოლია ამ სისტემაში. საფუძველთა საფუძველი კი მთელი ამ პროცესებისა ევროპას, ამერიკასა და რუსეთს შორის ენერგეტიკული უსაფრთხოების ხაზის შექმნაა.

საზღვრების გახსნა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო თურქეთისთვის. იმდენად, რომ იგი მზად იყო გენოციდის საკითხზეც კი წასულიყო დათმობაზე. ამასთან, თურქეთს არ სურდა ეს თემა ძალიან გამწვავებულიყო და ევროპის ქვეყნების პარლამენტებს მასზე სპეციალური რეზოლუციები მიეღოთ. კამერ კასიმის რწმენით, უნდა მოხერხდეს და საზღვრის გახსნის საკითხს ჩამოაშორონ გენოციდის საკითხი და იგი დამოუკიდებელ სამეცნიერო კომისიას მიანდონ, რომლის დასკვნებსაც უპირობოდ მიიღებს ორივე მხარე. ავტორი მოუწოდებს იგივე აზერბაიჯანულ მხარე, რუსეთს, გაგებით მოეკიდონ ამ საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას, ვინაიდან შედეგები ყველა მხარისათვის იქნება დიდი პოზიტიური შედეგების მომტანი.

ერთი-ერთი რუსი ავტორი რამის იუნუსოვი (Iunusov, 2013) თავის ნაწერებში სომხურ-თურქული დიალოგის დაწყებას ცოტა ბუნდოვანს უწოდებს. იგი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ არაა ამორიცხული ენერგოპოლიტიკა აზერბაიჯანისა შეიცვალოს ანკარის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის განცხადებით, იგი გაგებით ეკიდება თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების აღდგენი საკითხს. ეს ავტორიც აშშ-ისა და ევროპის ენერგოპოლიტიკის კონტექსტში განიხილავს ორ ქვეყანას შორის საზღვრების გახსნის საკითხს და აღნიშნავს, რომ მართალია, ამერიკამ ბიძგი მისცა ამ პროცესების დაწყებას, მაგრამ როცა ანკარას ეგონა, რომ დაცული იყო აზერბაიჯანისაგან სავარაუდო გართულებებისაგან, სწორედ ამ დროს ვაშინგტონისაგანაც უსიამოვნო სიურპრიზი მიიღო, რასაც სომხური ლობის დამსახურებად თვლის. ეს ავტორი იხსენებს სომხური მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთაც სულაც არ სურთ თურქეთთან საზღვრის გახსნა ამ ეტაპზე დადგენილი სავარაუდო სადემარკაციო ხაზის გასწვრივ და მათ ოსმალეთის იმპერიის პერიოდის სომხური დასახლებების არეალებზეც აქვთ პრეტენზია. ასეთი მოთხოვნის კი არათუ დაყენება, იდეის არსებობაც უკვე თავისთავად გამორიცხავს ყოველგვარ შესაძლებლობას დიალოგის დაწყებისას ორ მხარეს შორის. აღნიშნავს, რომ არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას (Barack

Hussein Obama II – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი 2009-2017 წლებში). ამერიკის დანარჩენ პრეზიდენტებსაც იგივე დამოკიდებულება აქვთ თურქეთისა და გენოციდის საკითხის მიმართ, ვინაიდან რუსეთის ფაქტორს ისინი ყოველთვის ითვალისწინებენ.

რუსი პოლიტოლოგი ევგენი კრიშტალევი (Krishtalevi, 2010) ცდილობს ახსნას, თუ რატომ არის ანკარის მიზანი სომხეთთან ურთიერთობების დარეგულირება. მისი თქმით, ანკარის პილიტიკას რამოდენიმე ფაქტორი განაპირობებს: პირველ რიგში ევროკავშირთან ურთიერთობების გაუმჯობესება: როგორც ცნობილია, ბრიუსელიდან ხშირად მიუთითებენ ანკარას, რომ მოაგვაროს ურთიერთობები ერევანთან. ანკარამ ხომ ბაქოსადმი პოლიტიკური მხარდაჭერის მიზნით გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები ერევანთან. თურქეთისთვის ეს არის შესტი, როგორც რეგიონული დონის მედიატორის. თუმცა, პოლიტოლოგის თქმით, ანკარამ არა თუ მოაგვარა ურთიერთობები ერევანთან, არამედ მისმა ქმედებებმა გამოიწვია მოძმე აზერბაიჯანის განაწყენებაც.

კიდევ ერთი რუსი მკვლევარი, მაგალითად, აჟდარ კურტოვი (Kurtov, 2009) საკმაოდ ვრცლად საუბრობს იმ წინააღმდეგობებზე, რაც „საგზაო რუკის“ მიღებამ გამოიწვია, როგორც მხარეებს შორის, ასევე, თავად სომხურ ძალებს შორის. ერევანში „საგზაო რუკის“ მიღებას თურქული დროშების დაწვაც კი მოჰყვა გარკვეული ჯგუფების მიერ, ვინაიდან მასში არ იყო ასახული გენოციდის აღიარების საკითხისადმი მათი პოზიცია. ცხადი იყო, რომ გადაულახავი ხდებოდა წინააღმდეგობა თავად სომხურ ძალებს შორის, ვინაიდან ყველა პოლიტიკურ ჯგუფს საკუთარი მოთხოვნები ქონდა. ერთდოულად კი ყველას ინტერესების ასახვა და გათვალისწინება ვერ მოხდებოდა. თავისი მოთხოვნები ქონდა „დაშნაკცუტუნსაც“ (“Dashnaktsutun“ – პოლიტიკური პარტია „სომხეთის რევოლუციური ფედერაცია, დაფუძნდა 1890 წელს თბილისში) მმართველი კოალიციის მიმართ.

ავტორი ამბობს, რომ სომხები ძალიან დიდ პატივს სცემენ თავიანთ ისტორიას და რომ უნდა დაზუსტდეს თურქეთ-სომხეთის საზღვრის საკითხიც.

სომხეთს აქვს ძალიან საინტერესო გეორგაფიული მდებარეობა და მდიდარი წარსული, რომლის უპატივეცემლობას არ აიტანს მათი ხალხი. საბოლოოდ კი მიდის დასკვნამდე, რომ მთიანი ყარაბაღის საკითხის გვერდის ავლით და სომხეთის ინტერესების გათვალისწინების გარეშე სომეხი ხალხი არ დაუშვებს არანაირი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას თურქეთთან.

რაც შეეხება აზერბაიჯანელი პოლიტოლოგების უმეტესობას, ისინი უკმაყოფილონი ჩანან თურქეთის იმ პოლიტიკური ქესტების გამო, რომელსაც ანკარა აკეთებდა ერევანთან. ისინი უსამართლობად თვლიან სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს აზერბაიჯანული მიწებისადმი. მაგალითად, პოლიტოლოგი ვაფა გულუზადე (Guluzade, 2011) ემხრობოდა იმ პოლიტოლოგთა რიცხვს, რომლებიც ნეიტრალური კომისიის შექმნის მომხრენი იყვნენ ამ საკითხების ისტორიული სინადვილის დადგენის მიზნით. იგი თვლიდა, რომ ვერანაირი „საგზაო რუკა“ ვერ შეცვლის აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის საკითხისადმი მათ ერთგულებას და ამის ხარჯზე სომხურ-თურქული ურთიერთობების დარეგულირება შეუძლებელია. მას ექვი ეპარებოდა, რომ როდესმე იმუშავებდა ეს „საგზაო რუკა“, რომლის მსგავსი დოკუმენტებიც მას უამრავი უნახავს.

პოლიტოლოგ რასიმ მუსაბეკოვისთვის (Musabekov, 2015) მისასალმებელია ის, რომ არის მცდელობა დარეგულირდეს ურთიერთობები რეგიონში. მაგრამ, მას არ სჯერა „საგზაო რუკის“, ვინაიდან, თუ როგორც თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა (Recep Tayyip Erdoğan – თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2014 წლიდან) განაცხადა, არ გაიხსნება საზღვარი, მანამ სანამ არ გადაიჭრება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, მაშინ დიდი ხნის ლოდინი მოუწევს მხარეებს საზღვრის გახსნამდე.

კიდევ ერთი პოლიტოლოგი მუბარიზ აჰმედოღლუ (Ahmedoglu, 2009) იზიარებს იმ აზრს, რომ „საგზაო რუკა“ სხვა პრინციპებზე უნდა აგებულიყო და ამის მერე მიეცემოდათ მხარეებს შესაძლებლობა შედეგიანი დიალოგის დაწყების. ვინაიდან ამ გეგმით არ არის ტერიტორიული

ერთიანობის საკითხი დაცული, მისი განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშაა.

მკვლევარი რუსტამ მამედოვი (Mamedov, 2015) კი „საგზაო რუკას“ უაზრო პროექტს უწოდებს და ამბობს, რომ თუ სომხეთს აქამდე ქონდა ტერიტორიული პრეტენზიები აზერბაიჯანთან, ახლაც არ წაიღებს მის წინადადებას უკან და არ დათანხმდება იმ გეგმას, რომელიც ამ მოთხოვნებს არ შეიცავს. იგი თვლის, რომ სომხეთის ბლოკადიდან გამოსვლის ერთი გზა არსებობს - გაათავისუფლოს მთიანი ყარაბაღი და დაუბრუნოს აზერბაიჯანს ის მიტაცებული ტერიტორიები, რომელთა ოკუპაციაც მოახდინა მისმა ჯარმა.

სომეხი მკვლევარი რიჩარდ გირაგოსიანი ჩვენთან ინტერვიუშიც (*ინტერვიუ ჩაიწერა 2016 წლის მარტში*) აღნიშნავდა, რომ გენოციდის საკითხი არის ის თემა, რომელიც, როგორც არასოდეს, იმდენად აქტუალურია ბოლო პერიოდებში და თურქეთისათვის ევროპის ქვეყნების მიერ ამ ფაქტის აღიარება არის ძლიერი მესიჯი, გადახედოს მის პოზიციას. თუმცა, თვლის, რომ შეიძლება ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა. საინტერესოა, რომ როგორც მან ჩვენთან ინტერვიუშიც დაგვიდასტურა, თავადაც ჩართულია თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში ძალიან აქტიურად. მოლაპარაკებების საწარმოებლად მათი შეხვედრების ადგილი თბილისია. ბატონი რიჩარდი, მიუხედავად „საფეხბურთო დიპლომატიის“ წარუმატებლად დასრულებისა, ოპტიმისტურადაა განწყობილი ორ ქვეყანას შორის შემდგომი რაუნდების შედეგებისადმი. მან დაგვიდასტურა, რომ მართალია არაა დიპლომატიური ურთიერთობები სომხეთსა და თურქეთს შორის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ურთიერთობების არქონას და რომ ორ ქვეყანას შორის ინტენსიურია არასამთავრობოების დონეზე მოლაპარაკებები.

ბატონი რიჩარდი აღნიშნავს, რომ ამერიკამ გასული საუკუნის 90-იან წლებში თავის სტრატეგიულ მოკავშირედ გამოაცხადა: სომხეთი, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი... გარკვეული პერიოდის გასვლამ და შექმნილმა რეალობამ აიძულა აშშ, სომხეთი ამოეღო სტრატეგიული მოკავშირეების სიიდან და იგი საქართველოთი ჩაენაცვლებინა. 1994 წლიდან კი იცვლება

ენერგოპოლიტიკის ვექტორი სამხრეთ კავკასიასა და კასპისპირეთში და აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი (Bill Clinton) – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი 1993-2001 წლებში) არჩევანს საქართველოსა და თურქეთის მნიშვნელობაზე აკეთებს. მან ამ პროცესებს „დიდი თამაში“ უწოდა. ამის მერე, საქართველოს, როგორც ქვეყნის, სტატუსი ფაქტობრივად განისაზღვრა და მან მოიხრგო სატრანზიტო ქვეყნის როლი, თურქეთთან ერთად. მსოფლიო ლიდერები კი სომხეთს ფაქტობრივად განიხილავდნენ, როგორც რუსეთის ენერგო-დომეინს. იმის გამო, რომ რუსეთის პოლიტიკა განაპირობებს დეზინტეგრაციულ პროცესებს სამხრეთ კავკასიაში და რეგიონული უსაფრთხოების ნებისმიერი მოდელი რუსეთის გამო განწირულია მარცხისათვის, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ მათი პრაგმატული ინტერესების გამო.

კავკასიური ინსტიტუტის დირექტორი ალესანდერ ისკანდერიანი თავის შრომებში, ასევე, ინტერვიუშიც (*ინტერვიუ ჩაიწერა 2016 წლის მარტში*) აცხადებს, რომ მიუხედავად თურქეთის სურვილისა, ქონდეს ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან, ჯერ-ჯერობით ეს მიღწევადი არაა. მკვლევარი თვლის, რომ გენოციდის საკითხი უფრო მეტად თურქეთისათვის იქცა პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად და პოლიტიკურ პრობლემად, ვიდრე სომხეთისათვის. მისი ღრმა რწმენით, ამერიკაც და რუსეთიც დაინტერესებულნი არიან ამ საკითხის გადაწყვეტით. აშშ-ს სურს იხილოს თურქეთი ევროკავშირში და ეხმარება მას პრობლემების მოგვარებაში. სომხეთთან ურთიერთობების აღდგენა ხომ ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნაა თურქეთისადმი წაყენებულ პირობებში. ამიტომ, მას სჯერა, რომ თურქეთმა უნდა დათმობებინდეს გააკეთოს ამის სანაცვლოდ.

დისერტაციის თემის ირგვლივ ჩვენ კიდევ არაერთი ავტორის საინტერესო სტატიასა და კვლევას გავეცანით და მათ ქვემოთ შევხებით, უშუალოდ შრომაში.

თავი 1. პოლიტიკური აქტორები სამხრეთ კავკასიაში

1.1. რუსეთი და სამხრეთ კავკასია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონმა გაიაქტიურა მისი სტრატეგიული ფუნქცია, რომელიც მანამდე იმპერიის მიერ კონტროლდებოდა და მის ინტერესებს ემსახურებოდა. „მომგებიანი სტრატეგიული პოზიციის წყალობით სამხრეთ კავკასია ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო პოლიტიკაში“ (Zilpimiani, 2008). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ სტრატეგიული ფუნქციის/მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობის სრულად გამოყენება, ათვისება და ამოქმედება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური მიზანი გახდა ამ რეგიონის ახალგაზრდა სახელმწიფოებისათვის, თუმცა, ამავე დროს ამუშავდა რუსული პოლიტიკური მიზნებიც, რომელიც მწვავე დაპირისპირებაში აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა ინტერესებთან. როგორც რუსეთის პოლიტიკურ ლიდერების გამოსვლებში, ასევე, ამ ქვეყნის პოლიტიკურ დოქტრინებში, მუდმივად ხაზი ესმევა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობას რუსეთისათვის. როგორც შავიზღვისპირეთში, ასევე, კასპისპირეთში და მიმდებარე რეგიონებში გავლენის ქონა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია რუსეთისათვის იმდენად, რომ რუსეთმა მის სტრატეგიულ დოქტრინაში მკვეთრად ხისტი დამოკიდებულებაც კი დააფიქსირა ამ რეგიონთან მიმართებით და საჭიროების შემთხვევაში ლოკალური დაბომბვების შესაძლებლობაც კი დაუშვა. ამის საჭიროება კი მუდმივად დგას რუსეთისათვის სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულად მომგებიანი მდებარეობიდან გამომდინარე. რუსეთს, როგორც ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს მსოფლიოში, თავისი პოლიტიკური თუ სხვა სახის ამბიციები გააჩნია ამ რეგიონში და ახერხებს კიდევ მათ რეალიზებას.

აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ძალიან რთულ მდგომარეობაშია – ერთი მხრივ ამ რეგიონის სახელმწიფოებს სურთ დამოუკიდებლობა და განვითარებისა და პროგრესის გზით სიარული, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთის ამბიციების გამო, მუდმივად უწყვეტ ბრძოლა, როგორც თავი დააღწიონ ამ გავლენებს. პროცესი, შეიძლება ითქვას, ჩაკეტილ წრეზე ბრუნავს და ჯერჯერობით ვერც დასავლეთის თანადგომით, ვერც მითუმეტეს საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, რეგიონის სახელმწიფოები ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად აირჩიონ საგარეო პოლიტიკური ვექტორი და გაყვნიენ ამ მიმართულებას. პატარა სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია ასეთი მდგომარეობა. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია ამ წრიდან გამოსვლა. თუმცა, არც ადვილია. ვთვლით, რომ თუ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში არ მოხდა გარღვევა რუსეთთან დამოკიდებულებაში, მისი მეზობელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მცირე რესპუბლიკები ვერ შეძლებენ შეცვალონ რეალობა მათ გარშემო. მითუმეტეს, რომ რუსეთი არ შეწყვეტს მცდელობას, უფრო გაზარდოს გავლენა ამ რეგიონში და ამ წნეხთან გამკლავება ადვილი არაა. მართალია, არაერთი ავტორი ექვემდებარება რუსეთის ყოვლისშემძლეობას, მაგალითად, ჰანის ადომითი (Adomeit, 1995) და თვლის, რომ რუსული პოლიტიკა არცთუ ისე წარმატებულია არა მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. ვალტერ ლექუიერი (Laqueur, 2015) აღნიშნავს, რომ ახლა აქვს რუსეთს მისი ძლიერების ზენიტი და რომ ხედავს შავ ღრუბლებს რუსეთის ჰორიზონტზე ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური თვალსაზრისით და მოჩვენებით რუსულ სიძლიერეს, რუსული მმართველი ელიტის აგიტაციის შედეგს უწოდებს, ვიდრე რეალობას;

ასევე ფიქრობს ლ. ზილფიმიანი: „სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც კავკასიურ ზონაში უდაო გავლენა აქვთ, რუსეთი ერთადერთია, რომელსაც ფეხქვეშ მიწა ეცლება“ (Zilpimiani, 2015), მაგრამ, ფაქტია, რომ ჯერ-ჯერობით რუსეთი წარმატებით ახერხებს მართოს პროცესები სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით, ოკუპაციის ფაქტორის გამოყენებით, და არა მხოლოდ ამით.

რუსეთი მუდმივად მუშაობს და მომავალშიც არ დააკლებს ამ მიმართულებით ძალისხმევას, რომ გამოასწოროს ის სტრატეგიული დისბალანსი და გარღვევა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისათვის და მომდევნო უახლოეს წლებში მისი გადასახედიდან წარმოიქმნა სამხეთ კავკასიაში. ვგულისხმობთ იმას, რომ დასავლეთმა შემოაღწია ამ რეგიონში ენერგეტიკული პროექტებით და რუსეთისათვის ამ ენერგოპროექტების ფუნქციონირება ძალიან მტკივნეული თემაა. რუსეთი ამ რეალობას ებრძვის მუდმივად: ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე უამრავი რამ დაიწერა რუსეთის გეგმების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში. რუსული სპეც-სამსახურები თუ სამხედრო-ანალიტიკური წრეები მუდმივად ამუშავებენ ამ საკითხს და ეძებენ ახალ გზებსა და მეთოდებს (თუმცა, ხშირად ძველ მეთოდებს იყენებენ), რომ თავის სასარგებლოდ შეცვალონ რეალობა. ერთ-ერთ ბოლო გეგმას და რუსული გენერალიტეტის მიდგომას თუ განვიხილავთ ამ თემაზე, ვნახავთ, რომ მიზანი კვლავ იგივეა, მაგრამ ცდილობენ მეთოდები და სტრატეგია გააუმჯობესონ და გაამრავალფეროვნონ. მაგალითად, ერთ-ერთ რუსულ სამხედრო-ანალიტიკურ გამოცემაში-«Военно-промышленный курьер»-ავტორი ღიად ამბობს, რომ რუსეთისათვის სამხეთ კავკასიის რეგიონი სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და არ აპირებს მასზე კონტროლის დაკარგვას. ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს რეგიონში მიმდინარე პროცესებს: „რაც შეეხება ამიერკავკასიას: რუსეთი ამ რეგიონში თავის პოზიციებს ენერგიულად თმობს; თავდაპირველად საქართველოს ნება მისცა, რომ აშშ-ს საყრდენად გადაქცეულიყო. არადა, ამიერკავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საუკუნეთა მანძილზე,

სწორედ საქართველო იყო ჯერ რუსეთის იმპერიასთან ყველაზე მეტად ინტეგრირებული, შემდეგ კი საბჭოთა კავშირთან... მოკლედ, თუ რუსეთი დაუშვებს იმას, რომ საქართველო აშშ-ს სრულ კონტროლქვეშ მოექცევა, ეს იქნება ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძალიან დიდი მარცხი“ (Дипломатия большого дубины, 2007). მოყვანილი კომენტარიდან ნათლად და ლაკონურად ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიისათვის მუდმივად იქნება საფრთხე, მოექცეს რუსული ორბიტის ქვეშ.

ამ პროცესებს აქვს მეორე მხარეც: პოსტსაბჭოთა პერიოდის გამოწვევების გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოები ერთდროულად ორი საგარეო პოლიტიკური მიმართულებით იყურებიან და ეს თითქოს ბუნებრივია მათთვის. საბჭოთა კავშირის დროს ამ სახელმწიფოებს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა არ ქონდათ და თითქოს მიეჩვივნ გარე ძალის მიერ ნაკარნახევი საგარეო კურსის გატარებას. ამიტომ, ამ რეგიონის სახელმწიფოები ჯერ კიდევ იკვებებიან საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური ცხოვრების წესით და მეთოდებით; ჯერ კიდევ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მიდგომები გვახასიათებს და სანამ არ მოხდება მენტალური ცვლა და ტრანსფორმირება, ვერ შეიცვლება პოლიტიკური გამოწვევებისადმი მიდგომა. შესაბამისად, არა მხოლოდ ის, რომ რუსეთის ინტერესებშია, გავლენის ქვეშ ყავდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონი, თავად ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ საბჭოური მენტალიტეტი და მართვის საბჭოური ფორმები და მიდგომებია შემორჩენილი და ეს ხელს უწყობს რუსეთს, წარმატებით განახორციელოს თავისი ინტერესები რეგიონში. ანუ საბჭოთა მეთოდებითა და მენტალიტეტით დასავლეთისაკენ სვლა შეუძლებელია. ეს შიდა წინააღმდეგობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლებაა განვითარების გზაზე. ამ შიდა წინააღმდეგობის დაძლევის შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები წარმატებით გაართმევენ თავს ძლიერი პოლიტიკური აქტორების _ ამ შემთხვევაში რუსეთისა და თურქეთის _ მიერ თავსმოხვეული პროექტების გავლენიდან თავის აცილებას.

რაც შეეხება რუსეთის ინტერესთა დაპირისპირებას სამხრეთ კავკასიის

რეგიონის სხვა პოლიტიკურ აქტორებთან; ბუნებრივია, რეგიონში სტრატეგიული ინტერესები გააჩნია თურქეთსა და დასავლეთს (ვგულისხმობთ, მის კლასიკურ გაგებას: როგორც ევროპას, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებს); ირანის ისლამური რესპუბლიკის აქტივობა ამ მიმართულებით ამ ეტაპისათვის სუსტია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ირანმა უარი თქვა თავის ინტერესებზე კავკასიაში. სანქციების დაწესება და თითქმის დაუძლეველი პოლიტიკური დაპირისპირება აშშ-თან ირანს არ აძლევს საშუალებას გაააქტიუროს კავკასიური პოლიტიკა. ეს კი ეხმარება რუსეთს უფრო თამამი იყოს თავის ქმედებებში. რუსეთი ცდილობს არ დაუშვას სხვა ძალების უფრო მყარად დამკვირება რეგიონში და ამისათვის ყველა მეთოდს მიმართავს. მაგალითად, აშშ-ის მიერ რუსეთისათვის დაწესებულ სანქციებს რუსეთის დუმამ უპასუხა კანონით, რომელიც მიმდინარე 2018 წლის 22 მაისს მიიღო (Wiśniewska, 2018). ამ კანონის მიხედვით რუსეთი მისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების ქმედებებს შესაბამისი ზომების მიღებით უპასუხებს. შესაბამის ზომებში იგულისხმება ურთიერთობების შეწყვეტაც, კონკრეტული ქვეყნიდან პროდუქციისა და ნედლეულის შემოტანაზე შეზღუდვების დაწესება, რუსეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მტრულად განწყობილი ქვეყნის საკუთრებაზე კონტროლი და საქმიანობის შეზღუდვა, იურიდიული პირებისათვის საქმიანობის შეზღუდვა და სხვა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობები მაინც დინამიურია. ეს ორი დიდი ძალა მაინც ახერხებს მორიგებას ერთმანეთთან, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა. სამხრეთ კავკასიაში მათი დაპირისპირებაც დინამიურია: ორივე მხარე იბრძვის თავისი სტრატეგიული ინტერესების რეალიზებისათვის. მაგრამ, მათი ბრძოლის მეთოდებია რადიკალურად განსხვავებული. ტრაფარეტულად, რუსული საგარეო უწყება ყოველთვის გამოთქვამს დიდ იმედს, რომ მოხდება კონფლიქტების დარეგულირება და რუსეთი ყველაფერს გააკეთებს ამისათვის, მაგრამ, რეალურად, რუსეთს განსხვავებულად ესმის უსაფრთხოება, ვიდრე აშშ-ს: რუსეთი ყოველთვის ცდილობს არ დაუშვას სხვა ძალის გავლენის გაზრდა

მისი ე.წ. სტრატეგიული ინტერესების არეალში. რუსეთმა საქართველოში გაერო/UN-სა და ეუთო/OSCE-ს (საქართველოში გაერო-ს დამკვირვებლების მანდატის გააფართოების პროექტს რუსეთმა 200 წლის ივნისში ვეტო დაადო; ეუთო-ს მისია კი დაიხურა 2009 წლის 30 ივნისს). საერთაშორისო სადამკვირებლო მისიების მუშაობაც დაბლოკა და საერთოდ, რუსეთს არ სჭირდება დამკვირვებლები თავისი საქმიანობის განხორციელებისას. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული უსაფრთხოების მთავარ საფრთხეს სწორედ რუსეთი წარმოადგენს და განსაკუთრებით ისეთი პატარა სახელმწიფოს სუვერენიტეტისათვის, როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებია. რუსეთისათვის უხეში ძალის გამოყენებას ჯერ კიდევ გამართლება აქვს, რაც გამოჩნდა კიდევ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მაგალითზე. მაგრამ, რუსეთი ასევე არანაკლებ წარმატებით მიმართავს რბილი ძალის მეთოდებსაც. ამას საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარიშიც კი ადასტურებს, სადაც მკაფიოდაა აღნიშნული, რომ: „ქვეყანაში საგრძნობლად გაძლიერდა რუსეთის სპეც-სამსახურების გავლენა მათ შორის რბილი ძალის გამოყენების გზით...“ (სუს-ის უფროსმა პარლამენტს უწყების 2017 წლის ანგარიში წაუდგინა, 2017).

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში რუსეთი „რბილი ძალის“ კარგად ადაპტირებული მეთოდებით იბრძვის. რეგიონის პოლიტიკურ ველზე რუსეთის „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებია:

– რელიგია; რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ქრისტიანობა, რომელსაც ყოველთვის მოხერხებულად იყენებდა რუსეთი კოლონიური პოლიტიკის შესანიღბად.

– საინფორმაციო ომი; რუსულმა საინფორმაციო მანქანამ მოახერხა დასაყრდენი მოეძებნა ადგილობრივ, როგორც სომხურ, ასევე, ქართულ ბეჭდურ მედიაში, რომლებიც აწარმოებენ აგრესიულ, ანტიდასავლურ და ანტიამერიკულ საინფორმაციო კამპანიას (ანტიდასავლური კამპანია, მედია მონიტორინგის ანგარიში, 2017). ჩამოყალიბდა მსხვილი ბეჭდური მედია

საშუალებები, რომელთა ანტიდასავლური რიტორიკა გააზრებული სარედაქციო პოლიტიკის ნაწილია. მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხილვისას მათი გზავნილები ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების სფეროში ხაზს უსვამდა დასავლეთის მიერ ჰომოსექსუალობის, ინცესტის, პედოფილიის და გარყვნილი ცხოვრების წესის „დაკანონებას“. ისინი დასავლეთს წარმოაჩენენ მართლმადიდებლობასთან მებრძოლ ძალად და ხშირ შემთხვევებში, ამ საკითხს ქრისტიანულ რუსეთთან ბრძოლის კონტექსტში განიხილავენ (ანტიდასავლური პროპაგანდა, მედიამონიტორინგის ანგარიში 2014-2015; მედიის განვითარების ფონდი 2015, გვ., 18, კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, პოლიტიკის დოკუმენტი, 2016 წლის 22 აგვისტო, Institute of Development of Freedom of Information, pp. 8-9); ამ პროცესსი აქტიურადაა ჩართული რუსეთის სატელევიზიო არხები.

საინფორმაციო ომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი ანალიტიკური სტატიების გამოქვეყნებას, რომელშიც მძიმე ფორმებშია ასახული საქართველოსა და სომხეთის მომავალი, რომ მათ ემუქრებათ ისლამური სახელმწიფო და ა.შ. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციები. ანალიტიკოსების აზრით, საინფორმაციო ომში ფართოდ გამოიყენება Spin Doctor-ისმეთოდი. როგორც ავტორები ტატიანა ზონოვა და რომან რეინჰარდი აღნიშნავენ (ZONOVA&REINHARDT, 2014), ანტი-დასავლური კრიტიკა, უკვე 2004 წლიდან გახდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ნაწილი და იგი საინფორმაციო ომის ნაწილიცაა.

– პრორუსული პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები; სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის დიდ ნაწილში პრორუსული იდეები დიდად პოპულარული არ არის, ამიტომ რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი პარტიები თავიანთ იდეოლოგიურ საქმიანობაში უპირატესობას არ ანიჭებენ ღია ანტიდასავლურ პროპაგანდას და აპელირებენ იმაზე, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია მიუღწეველია, რომ დასავლეთი სამხრეთ

კავკასიის პატარა სახელმწიფოების გამო არ დაუპირისპირდება რუსეთს, რომ რუსეთთან ალიანსი ან ნეიტრალიტეტის გამოცხადება მათი იდენტობის შენარჩუნებისათვის უკეთესი არჩევანია. ეს არის ის მთავარი იდეოლოგიური ხაზი, რომელიც ახასიათებს პრორუსულ ძალებს.

– რუსული ინვესტიციები და ენერგომატარებლები; სამხრეთ კავკასიაში რუსული კაპიტალი (Armenian PM: 2016) ძირითადად წარმოდგენილია ენერგეტიკის, ნავთობპროდუქტების რეალიზაციის, მადნეულის წარმოების, მინერალური წყლების წარმოების სფეროში, საბანკო სექტორში, კვების ინდუსტრიაში (ძველიშვილი ნ., კუპრეიშვილი თ., 2015). რეგიონში შეუფერხებლად საქმიანობენ ის რუსული კომპანიები, რომლებსაც აშშ-მა და ევროკავშირმა სანქციები დაუწესა ყირიმის ანექსიის გამო, მათ შორისაა “ლუკოილი”, “როსნეფტი” და სხვა.

საქართველოს მაგალითს თუ მოვიშველიებთ და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ 2014 წელს საქართველოში რუსეთიდან 66\$ მილიონი პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა, რითაც საქართველოში შემოსულ პირდაპირ ინვესტიციებს შორის რუსეთის კაპიტალმა მერვე ადგილი დაიკავა. ეს მონაცემები მომდევნო წლებში შეიცვალა: 2015 წელს ეს მაჩვენებელი 50\$ მილიონს, 2016 წელს დაახლოებით 42\$ მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს კი საგრძნობლად შემცირდა რუსეთი ტოპ-ათეულის ქვეყნებს გარეთ აღმოჩნდა. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მონაცემებით, საქართველოში ინვესტიციებით პირველ ადგილს ნიდერლანდები იკავებს 331\$ მილიონით. თუმცა, ანალიტიკოსების აზრით, ვინაიდან ნიდერლანდები ოფშორული ზონაა, შესაძლებელია ამ კომპანიების უკან რეალურად იდგეს რუსული კაპიტალი (ძველიშვილი, კუპრეიშვილი, 2015) .

ამავე ორგანიზაციამ შეისწავლა საქართველოში რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე; საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური

მონაცემებით, რუსეთიდან საქართველოში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა 2014 წელს შეადგინა 709,2\$ მილიონი, 2015 წელს 432\$ მილიონი, 2016 წელს-394\$ მილიონი, 2017 წელს-455\$ მილიონი. როგორც ვხედავთ, რუსეთის გავლენა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე საკმაოდ მაღალია.

დაახლოებით იგივე მეთოდებს იყენებს რუსეთი და საკმაოდ წარმატებითაც სომხეთში; რუსულმა პოლიტიკამ მოახერხა, რომ სომხეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორი რუსეთისკენაა მიმართული. მაგრამ, რაც შეეხება საგანმანათლებლო და ეკონომიკურ კავშირებს, სომხეთმა მოახერხა გარღვევა მოეხდინა ამ კუთხით (სამველ არუთუნიანმა (Sambel Arutunyan), სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, 2017 წელს ერთ-ერთ კონფერენციაზე ერევანში (I international academic conference "Modern Problems of Management", Public Administration Academy of the Republic of Armenia, 10-11 October, Yerevan, Armenia) წარმოადგინა კვლევა „რეფორმის პროცესი მეცნიერების სფეროში სომხეთში: პროექტები, სამომავლო მიზნები“, სადაც დასაბუთებულად ისაუბრა აღნიშნულ თემებზე). თუ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით ვიმსჯელებთ, სომხეთი პირველ ადგილზეა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან აშშ-სა და დასავლურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით და ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების თვალსაზრისით კი ევროკავშირი ნომერ პირველი პარტნიორია სომხეთისათვის (იხ.: სომხეთის საგარეო და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები). ამ მონაცემებით სომხეთი ძალიან ამაყობს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ, სწორედ ევროკავშირის ეკონომიკურ და სხვა ტიპის პროექტების მუშაობის შედეგი იყო 2018 წლის გაზაფხულზე ერევანში განვითარებული მოვლენები. ევროკავშირის „რბილმა ძალამ“ რადიკალური ნაბიჯებისაკენ უბიძგა მოსახლეობას და ცვლილებების დაჟინებული სურვილი აღმოჩნდა ის ძალა, რომელსაც საკმოდ დიდი გავლენების მქონე სომხეთის პოლიტიკური ელიტა ვერ შეეწინააღმდეგა. ამ ურთიერთკავშირზე არაერთი

მკვლევარი მიანიშნებს. მაგლითად, ქართველი მკვლევარი კახა გოგოლაშვილიც წერდა: „როდესაც 2013 წლის 3 სექტემბერს მაშინდელმა სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ოფიციალურად განაცხადა უარი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ქვეყანამ თავისი გეოპოლიტიკური არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ საბოლოოდ გააკეთა. ლოგიკურად აქვე უნდა დასრულებულიყო სომხეთის შიდა ტრანსფორმაციაც და მისი ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერსპექტივაც, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ არც თავად სომხეთსა და არც ევროკავშირს უარი არ უთქვამთ თანამშრომლობის გაგრძელებაზე და გაღრმავებაზეც კი, (გოგოლაშვილი, 2018). ასევე, მისმა წინამორბედმა ხელისუფლებამ) გათვლა გააკეთა გრძელვადიან მიზნებზე და ევროკავშირის დახმარებით მიზანმიმართულად ზრუნავდა ქვეყანაში ინსტიტუტების განვითარებაზე, მოსახლეობაში თვითშეგნებისა და დემოკრატიული ნორმების გავრცელება/დამკვიდრებაზე. წლების განმავლობაში ამ პროექტებმა იმუშავა ძალიან წარმატებით: ქვეყნის შიგნიდან მოხდა განვითარებისაკენ დიდი ნაბიჯის გადადგმა, საზოგადოება გაიზარდა. უწყინარმა, მშვიდობიანმა, განვითარებასა და პროგრესზე ორიენტირებულმა დასავლურმა ძალამ უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის განვითარების გზაზე.

ბარიჩინ ინანჩი ამ პროცესებს შემდეგი მიზეზებით ხსნის: „კავკასიაში პოლიტიკური წონასწორობის კუთხით გაჩენილი ცვლილებების ნიშნები სომხეთში საგანგაშო სიგნალად იქცა. ქვეყანაში გაძლიერდა იზოლაციის განცდა იმ ახალი ნაბიჯების გამო, რომელსაც საკვანძო რეგიონული მოთამაშეები - რუსეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი დგამდნენ: რუსეთმა ახლახანს მთელი რიგი ნაბიჯებისა გადადგა აზერბაიჯანთან ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის, ხოლო თურქეთი ბაქოს და თერინას შორის სომხურ-ირანული ურთიერთობების საკითხებში კავშირების გაბმას შეეცადა, რაც აზერბაიჯანში გაღიზიანებას იწვევს“ (BARÇIN, 2011). ამ დროის განმავლობაში სომხეთი ორ ფრონტზე მოქმედებდა: არც რუსეთს ეწინააღმდეგებოდა და მას მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად აღიარებდა და არც ევროკავშირისაგან

წამოსულ სიკეთეებზე ამბობდა უარს. ეს პროცესი, რათქმაუნდა, მიუღებელია რუსეთისათვის და ყველა ბერკეტს აამუშავებს, რომ შედეგების ანულირება მოახდინოს. რუსეთს არ აწყობს მეზობლად განვითარებული, პროგრესული, დემოკრატიული და დასავლური ტიპის სახელმწიფოები ორი მიზეზის გამო: ერთი იმიტომ, რომ ასეთი სახელმწიფოებისა და საზოგადოების მართვა და რუსეთისაკენ მათი მიბრუნება ადვილი არაა და მეორეც – თავად რუსეთში ბიძგს მისცემს პროგრესული ძალების ამოძრავებას. რუსეთი კი ამისათვის ჯერ მზად არაა. ევროკავშირის თანმიმდევრული რეგიონული პოლიტიკა კი დროთა განმავლობაში გამოიღებს შედეგებს სამხრეთ კავკასიაში და უკვე შეუქცევად პროცესებს დაუდებს სათავეს, თუ ეს პროცესები უკვე დაწყებული არაა.

აზერბაიჯანის მაგალითი განსხვავებულია: ვგულისხმობთ იმას, რომ რელიგიური განსხვავება და ენერგორესურსების დიდი მარაგის კონტროლი აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს შედარებით დამოუკიდებელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა გაატაროს. რელიგიური სხვაობა რუსეთს დიდ ბერკეტს აცლის აზერბაიჯანთან მიმართებით. მუსლიმური რელიგია განსხვავებული მენტალიტეტის მატარებელი საზოგადოების რელიგიაა, ვიდრე მართლმადიდებლობა. თუმცა, სამხრეთ კავკასია არის რეგიონი, სადაც ეს ორი რელიგია მშვიდობიანად თანაცხოვრობს, თუ პოლიტიკური მიზნებისთვის არ ხდება მათი შეგნებული გამოყენება. რელიგიის გამო აზერბაიჯანისათვის არა რუსეთი, არამედ თურქეთია ის სახელმწიფო, რომლის მოდელი მისთვის მისაბამია და „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“ დევიზი მათ შორის ძალიან მჭიდრო კავშირს წარმოშობს. აზერბაიჯანისათვის სახელმწიფოს ევროპული მოდელიც არაა მაინცადამაინც მისაბამი. ამიტომაც, ევროკავშირთან (ისევე, როგორც რუსეთთან) მისი ურთიერთობა (EU policy in the South Caucasus, 2007) უფრო განსხვავებულ ჭრილში მიმდინარეობს, ვიდრე საქართველოსა და სომხეთისათვის; ამ შემთხვევაში აზერბაიჯანი უფრო მეტად საჭირო პარტნიორია დასავლეთისთვისაც და რუსეთისთვისაც ენერგორესურსების გამო და ძირითადად ამ ჭრილში თანამშრომლობაზეა აქცენტი გადატანილი. თუმცა, რუსეთმა არაერთი შეთავაზება და წინადადება გაუკეთა აზერბაიჯანს,

მისი ტერიტორიის გავლით გასულიყო აზერბაიჯანული რესურსები ევროპისაკენ, მაგრამ, მაინც აზერბაიჯანი რჩება თურქეთის გავლით ენერგომატარებლების გადამზიდავი და გამტარი სახელმწიფო და უფრო ფართო კონტექსტში რომ ვნახოთ, აშშ-ის ენერგო პოლიტიკის გეგმების ნაწილად მოიაზრება; ლ.ზილფიმიანი ერთგან წერს: „აშშ-ის საქმიანობა ძალიან სწორხაზოვანი და პრაგმატულია: ვაშინგტონი რეგიონის სამივე ქვეყანასთან კარგ ურთიერთობებს ინარჩუნებს, მაგრამ სხვადასხვა დონეზე: აშშ-ს სომხეთის მთავრობასთან კარგი ურთიერთობა აქვს. ვაშინგტონი განსაკუთრებით აზერბაიჯანის სტაბილურობითაა დაინტერესებული, რადგან ის გაზის და ნავთობის მსხვილი ექსპორტიორია. ეს ურთიერთობები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება, როდესაც ოფიციალურად გამოცხადდება „ნაბუქოს“ გაზსადენის მშენებლობა... ეს ძალიან დელიკატური თემაა, რადგან პროექტის მიზანი ევროპის ენერგომომარაგების დივერსიფიკაცია და რუსული მონოპოლიისაგან ნაწილობრივ მაინც გათავისუფლებაა“ (Zilpimiani, 2010).

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა აშშ-ის მიერ სამხრეთ კავკასიაში ლობირებულმა ენერგომარშრუტებმა რეალიზება დაიწყო, თითქოს განისაზღვრა აზერბაიჯანის როლი, რომელსაც დღემდე ასრულებს. აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის მიერ მხარდაჭერილი აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით ენერგორესურსების გადაზიდვის მარშრუტი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ხელი შეუწყო სამხრეთ კავკასიის რეგიონით მსოფლიოს დაინტერესებას. ენერგორესურსების საკითხია ის თემა, სადაც აშშ-ის, რუსეთის, თურქეთისა და ევროპის ინტერესები გადაკვეთს ერთმანეთს. რუსეთი ამ პროცესს მტკიცუნულად აღიქვამდა იმთავითვე და რადიკალურ ნაბიჯებს მიმართავა მის საწინააღმდეგოდ.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა სამხრეთ კავკასიაში დაამძიმა მდგომარეობა იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთმა აღიარა ცხინვალისა (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) და აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ახლა რუსული პოლიტიკური ელიტისათვის ადვილია ისაუბროს „ამიერკავკასიაში შექმნილი

ახალი რეალობის“ (“Россия заинтересована в нормализации отношений с Грузией в тех сферах, в которых к этому готова Грузинская Сторона, при учете политических реалий, сложившихся в Закавказье. Концепция внешней политики Российской Федерации”, 2016) შესახებ. ამ ე.წ. „ახალი რეალობიდან“ გამომდინარე სამხრეთ კავკასიაში ექვსი სახელმწიფოა. მათგან სამი (სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და ყარაბაღის რესპუბლიკა: რუსეთის ფედერაციას მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა არ უღიარებია) ახლადწარმოქმნილია და რუსეთი არის მათი დამოუკიდებლობის გარანტორი.

ანუ, რომ შევაჯამოთ, რუსეთის საბრძოლო არსენალი საკმაოდ მრავალფეროვანია და მისი ერთადერთი მიზანი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე კონტროლია. ამ პროცესში კი ყოველგარი წინაღობა და სხვა პოლიტიკური მოთამაშის შემოსვლის მცდელობა რუსეთის მხრიდან აღიქმება, როგორც მის ინტერესებზე თავდასხმა და ავტომატურ რეჟიმში იწყებს ამუშავებას რუსული გამოცდილი ბრძოლის მეთოდები უკვე სხვა/საჭირო მიმართულებითაც.

1.2. დასავლეთი და სამხრეთ კავკასია

სამხრეთ კავკასიაში აშშ-ისა და რუსეთის ინტერესების გადაკვეთას კიდევ უფრო მეტად რომ შევხვით, უნდა განვიხილოთ რამოდენიმე საკითხი; აშშ-სა და რუსეთის სტრატეგიული ინტერესების თანხვედრა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და აშშ-ს ურთიერთობების დინამიკა თურქეთთან. ასევე, ევროკავშირის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდანვე სამხრეთ კავკასია (ცენტრალურ აზიასთან ერთად) მოექცა აშშ-ს ინტერესების სფეროში. ვაშინგტონისათვის ეს იყო რეგიონი, სადაც მას სურდა შეზღუდულიყო რუსეთის გავლენა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი ამერიკულ გეოპოლიტიკურ ხედვებში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს; ამ რეგიონში დამკვიდრებით აშშ-ს საშუალება ეძლევა უკეთ გააკონტროლოს მისი მოწინააღმდეგე ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლება, რაც შეიძლება ახლოს მივიდეს რუსეთთან და ახლოდან დააკვირდეს მზარდ და დიდ ძალას, მის ერთ-ერთ მომავალ (თუ უკვე ამჟამინდელ) მეტოქეს – ჩინეთს. სწორედ ამიტომ, საქართველოც და აზერბაიჯანიც (სომხეთი ასევე იყო დასახელებული აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორად გასული საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ მოგვიანებით აშშ-მა სომხეთი გამორიცხა სტრატეგიული პარტნიორების სიიდან). აშშ-მა მის სტრატეგიულ პარტნიორებად დაასახელა. სხვათაშორის, აშშ-ის 2017 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია რუსეთსა და ჩინეთს „რევიზიონისტულ სახელმწიფოებად“ მოიხსენიებს და ხაზს უსვამს, რომ ის პოლიტიკური რეალობა, რომელიც რუსეთსა და ჩინეთს სურთ შექმნან მის გარშემო, ამერიკის ინტერესებისათვის სახიფათოა. შესაბამისად, ამერიკას სჭირდება ყავდეს საიმედო პარტნიორები სამხრეთ კავკასიაში. მათი დახმარებით კი სურს პირველ რიგში უზრუნველყოს უსაფრთხო ენერგოტრანზიტი დასავლეთის მიმართულებით.

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს ეს ორი დიდი ძალა განსხვავებულად აღიქვამს. ამიტომ, განსხვავებულია მათი ამ რეგიონში შეღწევის მეთოდებიც. რუსეთისაგან განსხვავებით, აშშ-ის ინტერესებშია მისი პარტნიორი სახელმწიფოები დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფოები იყვნენ. ამიტომ, მათი მხრიდან არაერთი პროექტი ფინანსდება რეგიონში, რომელიც დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამ პროექტების დიდი წილი საქართველოზე მოდის, ბევრად ნაკლები აზერბაიჯანზე.

აშშ-ის 2017 წლის უსაფრთხოების სტრატეგიაში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთი მიისწრაფვის აღიდგინოს ძლიერი სახელმწიფოს სტატუსი და შექმნას გავლენის სფეროები მის საზღვრებთან. ამ პოლიტიკას აშშ უპირისპირებს პროექტებს, რომელიც მიმართულია რეგიონში გრძელვადიანი სტაბილურობისა და დემოკრატიული კონსოლიდაციის შექმნისაკენ. ასევე, აშშ დაინტერესებულია ხელი შეუწყოს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას რეგიონში: „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული სისტემების განვითარებას, რომელსაც შეუძლია პოლიტიკური ლეგიტიმურობის, სოციალური მონაწილეობისა და თანამშრომლობის გადაწყვეტილების მიღება“ (COHEN, 2000), აღნიშნავს არიელ კოენი.

აშშ ინტენსიურადაა ჩართული აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის საკითხის მოგვარებაშიც; იგი მხარს უჭერს დავის მშვიდობიან გადაწყვეტას. ვაშინგტონიდან ხშირად ისმის მკაცრი კრიტიკა რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო. არაერთი რეზოლუცია და წერილი მათი მხრიდან, სადაც დაგმობილია რუსული ოკუპაციური პოლიტიკა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ და მათივე ინიციატივით სანქციების არაერთი პაკეტი ამოქმედდა რუსეთის წინააღმდეგ (New US Sanctions on Russia Come Into Effect, 2017). მაგრამ, აშშ-მა ამავე დროს მოახერხა რუსეთთან კავშირში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაშლა და ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა. ეს არის პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც ამერიკა და რუსეთის ინტერესები ემთხვევა

ერთმანეთს და ორივე მხარე მზადაა თანამშრომლობისათვის.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე აშშ-ის დიდი ძალისხმევით ამუშავებულმა უდიდესი მნიშვნელობის ენერგოპროექტებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა/BTC და ბაქო-თბილისი-ერზრუმის/BTE სახით (შაჰდენიზის გაზსადენი), დასავლეთის პოლიტიკის გამარჯვებას გაუსვა ხაზი სამხრეთ კავკასიაში. ამ პროექტების არსებობა ფაქტობრივად რეგიონის სახელმწიფოების, უფრო ზუსტად საქართველოსა და აზერბაიჯანის, დამოუკიდებლობის გარანტიას ნიშნავს პირველ რიგში. 2017 წლიდან ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზისა და 2018 წელს ტრანს-ანატოლიური (TANAP) პროექტის გახსნამ (TANAP-ი 4 ქვეყნის პრეზიდენტის თანდასწრებით გაიხსნა) კი კიდევ უფრო განამტკიცა ეს გარანტიები. ამ პროექტების მშენებლობაში ძალზედ დიდია თურქეთის წვლილი, აზერბაიჯანთან ერთად, რაც მრავალმხრივი თანამშრომლობის სარგებლიანობას კარგად წარმოაჩენს. რომ არა თურქეთის დასაბუთებული რეკომენდაციები, რომ ამ მარშრუტებს ყველაზე უკეთ შეეძლოთ ენერგორესურსების დივერსიფიკაცია, შესაძლოა დღეს სხვა რეალობა გვექონოდა.

აშშ-თურქეთის ურთიერთობების სპეციფიკა: თურქეთი მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდამდე აშშ-ის პლაცდარმი და მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო სამხრეთ კავკასიაში. ვინაიდან, თურქეთი აშშ-თვის წლების განმავლობაში სანდო მოკავშირის როლს გულმოდგინედ ასრულებდა, ის ნატო-ში გააწევრიანეს (თურქეთის რესპუბლიკა ნატო-ს წევრი გახდა 1952 წლის 18 თებერვალს). ეს იყო დიდი პოლიტიკური/სამხედრო მნიშვნელობის მოვლენა თურქეთისათვის. თურქეთი უკვე ოფიციალურად გახდა აშშ-ის ქოლგის ქვეშ მყოფი ქვეყანა და ერთ-ერთი დიდი ბაზა – ინჯირლიყი (ნატო-ს ინჯირლიყის სამხედრო/საჰაერო ბაზა თურქეთში (ადანაში) – Incirlik Air Base (Incirlik Hava Üssü) – მისი მშენებლობა დაიწყო 1951 წლიდან, როცა თურქეთი არ იყო ოფიციალურად ნატო-ს წევრი. ექსპლუატაციაში შევიდა 1955 წლიდან) – ანატოლიაში განთავსდა ნატო-ს ეგიდით. წლების განმავლობაში მხარეებს შორის თანამშრომლობა წარმატებით

ვითარდებოდა. შედარებით მოგვიანებით, თურქეთმა სცადა გაეტარებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში.

თურქეთში თვლიდნენ, რომ საერთაშორისო სისტემაში ქვეყნისთვის არსებული პერიფერიის როლი არ შეესაბამებოდა მათ სურვილებსა და ამბიციებს. მათი ხედვით, თურქული საზოგადოების რეალობა, მისი ისტორიული გამოცდილება და მომავალთან დაკავშირებული იდეალები და მოლოდინები ჰარმონიაში უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან. ამიტომ, თურქეთში ადგილი ქონდა მათი ეროვნული იდენტობის ხელახალი განსაზღვრის მცდელობას, რაც გადაიზარდა იმ პროცესში, რომელმაც გამოკვეთა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების აუცილებლობა. ამიტომ, თურქეთის ხელისუფლების მესვეურები უკვე ვაშინგტონთან არ ათანხმებენ თავიანთ გეგმებს. ეს სახელმწიფოები უკვე საუბრობენ, როგორც პარტნიორები და თანამშრომლობენ უსაფრთხოების საკითხებში. მართალია, ხშირად მათი მიზნები არ ემთხვევა ერთმანეთს და ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ ორივე მხარეს აწყობს ეს თანამშრომლობა: თურქეთს იმ თვალსაზრისით, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ამ ორი მხარის ინტერესები თითქმის ერთმანეთს ემთხვევა სამხრეთ კავკასიაში (თუმცა, ჩვენ ვიცით შემთხვევა, როცა თურქეთი საჭიროდ არ თვლის აშშ-თან თანამშრომლობას და დამოუკიდებლად აკეთებს ახალი პოლიტიკური მოდელის ინიცირებას) და მოკავშირეების რანგით მეტ წარმატებას აღწევენ; მეორე - ნატო-ს ქოლგის ქვეშ ყოფნა, რაც თურქეთს მეტ პოლიტიკურ წონას მენს სხვა სახელმწიფოების თვალში. მართალია, თურქეთმა არაერთხელ იგრძნო, რომ ნატო არ აპირებდა მხოლოდ მისი ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთთან დაპირისპირებას, მაგრამ, საერთო ჯამში, ნატო-ში წევრობამ განუსაზღვრელად დიდი სარგებელი მოუტანა თურქეთს, როგორც პოლიტიკური, ასევე, სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით.

თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის მიერ 2018 წლის მარტის დასაწყისში გაკეთებული განცხადება ნატო-ს მისამართით ბევრმა არასწორად გაიგო და არაერთი ექსპერტი წერდა, რომ თურქეთმა შესაძლოა დატოვოს ნატო. მაშინ პრეზიდენტმა ნატო-ს ქვეყნებს სირიაში თურქეთის

თანადგომისაკენ მოუწოდა: „ნატო, სად ხარ? ჩვენ მძიმე ბრძოლას ვაწარმოებთ. ნუთუ თურქეთი ნატო-ს წევრი არაა? როდესაც საუბარი ავღანეთს ეხებოდა, ალიანსმა მაშინვე დაუძახა წევრ ქვეყნებს და ყველა ჩავიდა. ახლა სად ხართ, როდესაც საქმე სირიას ეხება? ახლა მე მოუწოდებ მათ. მოდით, გელოდებით სირიაში, სად ხართ? („რეჟებ ერდოღანი: ეი, ნატო, სად ხარ? ნუთუ თურქეთი ნატო-ს წევრი არაა? 2016). ვფიქრობთ, ეს მხოლოდ რიტორიკული განცხადებაა, რომელიც არ შეიცავს გზავნილს თურქეთის მხრიდან, რომ იგი ალიანსის დატოვებას აპირებს. ეს იყო სურვილი პრეზიდენტის, რომლის ქვეყანამაც ბევრი გაიღო იმ რუსული ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც აშშ-ს უპირისპირდებოდა მთელი ცივი ომის განმავლობაში და ახლა, როცა იგივე რუსეთის წინააღმდეგ პირისპირ აღმოჩნდა, თურქეთი მოლოდინის რეჟიმში იყო, რომ სამაგიერო თანადგომას მიიღებდა. მაგრამ, პოლიტიკაში ასე არ ხდება და კონიუნქტურაც შეცვლილია. ასე, რომ არასწორად მიგვაჩნია თურქეთის მიერ ალიანსის დატოვებაზე საუბარი. პირიქით, გამოვრიცხავთ რაიმე მსგავსს, ვინაიდან, თუ თურქეთი რაიმე ფორმით ანგარიშგასაწევი ძალაა, ამას სწორედ ნატო-ს წევრობა განაპირობებს დღეისათვის და იმასაც, რომ თურქეთს ერთ-ერთი საუკეთესო არმია და შეიარაღება აქვს მსოფლიოში. ყველაფრის მიუხედავად, აშშ-ს ამ თანამშრომლობით თურქეთის სახით მაინც საიმედო პარტნიორი ეგულება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯოშუა კუცერა ერთგან წერს: „ყველა ამ პრობლემისა და ზოგიერთი ექსპერტის პესიმისტური პროგნოზის მიუხედავად, თურქი და ამერიკელი ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ ორი ქვეყნის ძირითადი სტრატეგიული ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა და დღევანდელი პრობლემები მხოლოდ დროებითია. აშშ-მა ურთიერთობების გაუმჯობესება ანკარასა და ახლო-აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის უნდა განიხილოს, როგორც შესაძლებლობა, გამოიყენოს თურქეთი ამ ქვეყნებთან ხიდის როლში“ (Kucera, 2001).

ვაშინგტონში კარგად აცნობიერებენ, რომ რუსეთისა და თურქეთის თანამშრომლობა ყოველთვის პირობითია და ნებისმიერ დროს შეიძლება დაპირისპირებაში გადაიზარდოს ერთი მარტივი მიზეზით: რუსეთისა და თურქეთის ამბიციები ერთმანეთს კვეთს როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ასევე, ცენტრალურ აზიაში და ახლო აღმოსავლეთში. შესაბამისად, როგორი რყევებიც არ უნდა ახასიათებდეს თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებს, ეს თანამშრომლობა სჭირდება ორივე მხარეს პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, მათი ინტერესები ნაკლებად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ვიდრე რუსეთი-თურქეთის ინტერესები აღნიშნულ რეგიონებში. თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობის ისტორია სტრატეგიული თანამშრომლობის ბევრად მეტ პროექტს ითვლის, ვიდრე დაპირისპირების მაგალითებს. მათ შორისაა სამხრეთ კავკასიაზე ენერგომატარებლების ტრანზიტი.

აშშ-თურქეთის ურთიერთობები და ცენტრალური აზიის ფაქტორი: ვითარების უფრო ფართო კონტექსტის საჩვენებლად, შევხებით ცენტრალური აზიის ფაქტორსაც ორმხრივი ურთიერთობების ჭრილში; საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული თურქეთიცა და აშშ-იც ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობენ ცენტრალურ აზიაში შეღწევას. აშშ-მა თურქეთი კარგად გამოიყენა ამ კუთხით. მოძმე ერის სახელი თურქეთს ძალიან დაეხმარა ნდობის მოპოვებაში, რამაც განაპირობა კიდევ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობების აწყობა (როცა შედგა თურქეთის ყოფილი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის ერთ-ერთი პირველი ვიზიტი ცენტრალურ აზიაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მასპინძელმა ყაზახეთის პრეზიდენტმა მას უთხრა: ვიწროთვალებიანი წახვედით და მრგვალთვალებიანი დაგვიბრუნდითო. მენტეშაშვილი ალ., 2000). თურქეთმა მილიარდობით დოლარის ღირებულების ინვესტიცია ჩადო ცენტრალური აზიის რეგიონში მშენებლობის, ეკონომიკის და საბანკო სექტორში.

თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი სულეიმან დემირელი ამ რეგიონის მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნავდა: „ეს ის რეგიონია, რომელზეც

თურქეთი ვერ იტყვის „სულერთია იქ რა მოხდება... ამ რეგიონში არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენთან ერთად იზიარებენ იგივე ისტორიას, იგივე კულტურას, იგივე ენას, იგივე რელიგიას, იგივე ტრადიციებს. თუ ჩვენ ვამბობთ – ისინი ჩვენი ძმები არიან, ამით არავინ არ უნდა გაღიზიანდეს. დიახ, ისინი ჩვენი ძმები არიან, ერთი დიდი ხის ტოტებია, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მათ შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა... როგორც კი ისინი დამოუკიდებლები გახდნენ, ჩვენსკენ გამოიქცნენ, ჩვენ კი ისინი გულში ჩავიკარით“ (მენტეშაშვილი, 2000. გვ. 81.).

ცენტრალური აზიის რეგიონში დიდი ინტერესები და გავლენები აქვს რუსეთს. ამ რეგიონში დამკვიდრებას ცდილობს ჩინეთიც. მაგალითად, თურქმენეთთან ჩინეთს ჯერ კიდევ 2005 წლიდან აქვს ხელმოწერილი გაზის მიწოდებაზე სტრატეგიული ხელშეკრულება.

აშშ-ის ყოველი ადმინისტრაცია ცდილობს თურქეთის ფაქტორის გამოყენებას ცენტრალურ აზიასთან დაახლოებისათვის. პრეზიდენტ დონალდ ტრამპის (ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი 2017 წლიდან). ოფისმაც გააგრძელება ეს აქტივობა და 2018 წლის გაზაფხულზე მიაღწია შეთანხმებას ყაზახეთთან, რომ აშშ-ს თავის ტერიტორიაზე 2 საზღვაო ნავსადგურის გამოყენების უფლებას მისცემს (ყაზახეთში აშშ-ს სამხედრო ბაზა განთავსდება, 2017). რუსეთმა აშშ-ის ეს ნაბიჯიც საფრთხედ აღიქვა და მოსკოვში განაცხადეს, რომ ნატო ყოველმხრივ ცდილობს ახლოს მივიდეს რუსეთთან და რომ ადგილი აქვს მის საზღვრებთან ამერიკული სამხედრო ბაზის შექმნის მცდელობას. ამ ნავსადგურებს აშშ მართლაც თავისი სამხედრო ტვირთებისთვის გამოიყენებს; საქართველოდან და აზერბაიჯანიდან სპეციალური ტვირთი კასპის ზღვით ყაზახეთში ჩავა, სადაც მატარებლებზე დაიტვირთება და ავღანეთში გაიგზავნება. ანუ პოსტ-საბჭოთა სივრცეში აშშ-ის ინტერესები მხოლოდ სამხრეთ კავკასიით არ შემოიფარგლება. ეს რეგიონი არის ამერიკული ინტერესების ერთიანი ჯაჭვის ნაწილი, რომელიც ჩინეთიდან და ცენტრალური აზიიდან იწყება და სამხრეთ კავკასიის გავლით გადის თურქეთზე და შემდეგ ევროპაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,

ცენტრალური აზიის რეგიონი მხოლოდ ენერგორესურებით მდიდარი რეგიონი როდია. ნავთობსა და გაზთან ერთად ეს რეგიონი სხვა ბუნებრივი რესურსებითაც მდიდარია. მაგალითად, ბამბით, სპილენძის მარაგით, ურანით და სხვა მძიმე ლითონებით. მინერალური ნედლეულის ცენტრალურაზიური მარაგი შეფასებულია 3,3 ტრილიონ დოლარად უზბეკეთში მიაკვლიეს 99,99 % სუფთა ოქროს შემცველ საბადოს და სხვა. ანუ აშშ-ისა და თურქეთის ინტერესებში სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონები ურთიერთდაკავშირებულია და კომპლექსურადაც უნდა განვიხილოთ.

სამხრეთ კავკასიასა და შესაბამისად, ცენტრალურ აზიასთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება თურქეთისა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ორმხრივი თანამშრომლობა აჩვენებს, რომ ეკონომიკური კავშირები მხარეებს შორის ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზეა აგებული. ცენტრალური აზიის რეგიონთან თანამედროვე ეტაპზე თურქეთს მრავალმხრივი ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირები აქვს ჩამოყალიბებული, რომლის კიდევ უფრო გამყარებასაც ხელს უწყობს ამ ერების ნათესაური კავშირები თურქეთთან.

რაც შეეხება ევროკავშირის ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თანამშრომლობა ძალიან ნელი ტემპით ვითარდებოდა. ევროკავშირი ჯერ ცდილობდა გარკვეულიყო, თუ რა სარგებლის მომტანი იქნებოდა მისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონი. დროთა განმავლობაში გამოჩნდა ის, რომ ეს იყო საკმაოდ მრავალფეროვანი, საინტერესო, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე, მაგრამ, ამავე დროს, მრავალმხრივი პრობლემებით სავსე რეგიონი, რომელსაც თუ დახმარებას და მეგობრობის ხელს არ გაუწვდიდა ევროკავშირი, ეს პრობლემები ევროპის მიმართულებით დაიწყებდა გავრცელებას.

სამხრეთ კავკასიას თავის მხრივ სჭირდებოდა პროგრესული ძალის

თანადგომა. ევროკავშირს კი სჭირდებოდა, როგორც ნაკლები პრობლემები აღმოსავლეთიდან, ასევე, ენერგორესურსების ალტერნატიულ წყაროებზე წვდომა, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეცვლილიყო ის ვითარება, როცა ევროპას შეზღუდული არჩევანი ქონდა ენერგორესურსებზე. სტაბილური სამხრეთ კავკასია უკვე მიზანი გახდა ევროკავშირისათვის, რამაც განაპირობა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ („აღმოსავლეთ პარტნიორობა“ (Eastern Partnership, EaP) – ევროკავშირის პროექტი, რომელიც მომზადდა პოლონეთისა და შვედეთის მიერ. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინაუგურაცია შედგა ქ. პრელაში, 2009 წლის 7 მაისს. უმნიშვნელოვანესი პროგრამის შემუშავება და რეალიზება, რომელმაც დიდი სარგებელი მოიტანა ამ რეგიონისათვის. სამაგიეროდ, კი ევროკავშირს გაუჩინა შესაძლებლობა, მჭიდრო პარტნიორობის ფარგლებში ისარგებლოს ენერგომატარებლების სხვა წყაროებით და მცირედით მაინც შეამციროს დამოკიდებულება რუსეთზე. ევროპას თავის თავზე აქვს გამოცდილი, რას ნიშნავს რუსულ ულტიმატუმებზე დაყოლა და მათ მიერ წამოყენებული პირობების იძულების წესით გათვალისწინება. სხვათაშორის, ეს თურქეთისთვისაც ნაცნობი მდგომარეობაა, ვინაიდან ჯერ კიდევ დიდია რუსულ გაზზე დამოკიდებულება ამ ქვეყანაში. ამიტომაც, თურქეთსა და ევროკავშირს ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით სჭირდებათ ერთმანეთი და ამ მხრივ ინტენსიური დიალოგი მიმდინარეობს მხარეებს შორის, განსხვავებით სხვა თემებისა და საკითხებისაგან. ლ.ზილფიმიანის თქმით: „ევროპის პოლიტიკა კავკასიის ქვეყნების მიმართ ძალიან მრავალფეროვანია და მრავალი მიმართულება აქვს. ის იმ უამრავ ფაქტორს ეფუძნება, რომელთა შორისაა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, თანამშრომლობის ხარისხი ევროკავშირის სტრუქტურებთან და აუცილებელი რეფორმების განხორციელებისათვის მათი პოლიტიკური ნება და უნარი. შესაბამისად, კავკასიის ქვეყნებთან ევროპული თანამშრომლობის ინტენსივობა და ხარისხი პირდაპირპროპორციულია მათი შიდა პოლიტიკური სტრუქტურისა, მათი დემოკრატიის დონისა და ხარისხისა, იმ შემთხვევაშიც, თუკი დღეს ამ უკანასკნელი პარამეტრების გამოყენება მხოლოდ საქართველოს და

ნაწილობრივ სომხეთის მისამართით შეიძლება, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში რეალური დემოკრატიული გარდაქმნები ჯერ არ დაწყებულა“ (Zilpimiani, 2006). ამდენად, ევროკავშირი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და დემოკრატიის მშენებლობით. ამიტომ, ჯერ კიდევ 2011 წლის შავი ზღვის რეგიონისათვის შემუშავებულ სპეციალურ რეზოლუციაში (European Parliament resolution of 20 January 2011) წერია (თუმცა, მომდევნო წლებშიც მიიღეს არაერთი საინტერესო პროექტი), რომ შავი ზღვის რეგიონი სტრატეგიული ხიდია ევროკავშირისათვის, რომელიც მას კასპის ზღვის აუზთან და ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. ევროკავშირი აიგივებს ამ რეგიონების უსაფრთხოების გამოწვევებს თავის გამოწვევებთან და თვლის, რომ მის ინტერესებშია უზრუნველყოს რეგიონში მშვიდობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარება.

1.3. თურქეთი და სამხრეთ კავკასია

რუსეთისადაც განსხვავებით, რეგიონში თურქეთი ყოველთვის მის არსენალში არსებულ „რბილი ძალის“ მეთოდებს/ინსტრუმენტებს მიმართავს, განსხვავებით ახლო აღმოსავლეთისა, სადაც თურქეთს სამხედრო ოპერაციების წარმოება უწევს.

ეს ინსტრუმენტებია:

- _ თურქული და თურქულენოვანი მოსახლეობა;
- _ მუსლიმური თემი;
- _ საერთაშორისო ენერგოპროექტები;
- _ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- _ საგანმანათლებლო ცენტრები და დაწესებულებები;
- _ TIKA-ს ფაქტორი¹

ეს ინსტრუმენტები თურქეთის პოტენციური რესურსებია სამხრეთ კავკასიაში (სომხეთში ეს ძალა არ მოქმედებს) „რბილი ძალის“ პოლიტიკის გასატარებლად. აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ინსტიტუციებთან კავშირში მყოფი ყველა ადამიანი ავტომატურად არ შეიძლება ჩაითვალოს „რბილი ძალის“ იარაღად. მაგალითად, იგივე მუსლიმი თემის შემადგენლობიდან, ან თუნდაც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური თურქები. იგივე უნდა ითქვას სხვა ინსტრუმენტებთან მიმართებითაც.

ეკონომიკა და უსაფრთხოება: თუ საქართველოს მაგალითს განვიხილავთ, ვნახვთ, რომ ეკონომიკური გავლენა/დამოკიდებულება ძალიან დიდია. უკვე წლებია თურქეთი არ თმობს პირველობას და იგი საქართველოს ნომერი პირველი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია (საქართველოს საგარეო ვაჭრობის მთავარი სამეული კვლავ რუსეთი, თურქეთი და ჩინეთია, 22.08.2017)

¹ The Turkish Cooperation and Coordination Agency _ თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო _ Türk işbirliği ve koordinasyon ajansı başkanlığı).

საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს თურქეთთან ენერგეტიკულ (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი/BTC, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი/BTE) და სატრანსპორტო (ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა/BTK) პროექტებში; საკმაოდ ინტენსიურია თანამშრომლობა სამხედრო წვრთნისა და შეიარაღების სფეროში (ორმხრივი ხელშეკრულებები საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, რაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნატო-ს სტანდარტების კიდევ უფრო ფართო მასშტაბით დანერგვას ემსახურება (Turkish Military Cooperation, 2015).

გაცილებით მაღალია აზერბაიჯანის დამოკიდებულება თურქეთზე, ვინაიდან ამ ორ სახელმწიფოს რელიგია, ეთნიკური მიკუთვნება ერთი აქვს და პოლიტიკურ არენაზეც თურქეთი ყოველთვის გამოხატავს პოზიციას, რომ აზერბაიჯანი მისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია სამხრეთ კავკასიაში. სამხედრო თვალსაზრისით კი აზერბაიჯანი ყიდულობს იარაღს, როგორც თურქეთის, ასევე, რუსეთისაგან.

რაც შეეხება სომხეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეს სფერო დიპლომატიური ურთიერთობების არქონის გამო, ძირიდან ჩავარდნილად ითვლება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არაერთი სომეხი ბიზნესმენი წარმატებით მოღვაწეობს თურქეთში და მათ საქმიანობას დღემდე პრობლემები არ შექმნია.

რელიგია/განათლება/არასამთავრობო სექტორი: არაოფიციალური მონაცემებით საქართველოში დაახლოებით 460 000-მდე მუსლიმი მიცხოვრობს. ამ რაოდენობის მოსახლეობისათვის ფუნქციონირებს 311-ზე მეტი ჯამე (Jama-mechet) და მეჩეთი (Mosque) (ილია მეორე – საქართველოში 311 მეჩეთი მოქმედებს, თურქეთში კი არც ერთი ქართული ტაძარი მოქმედი არ არის, 2009) მათგან 150 მეჩეთი და 50 მედრესე აჭარის ტერიტორიაზეა. მხოლოდ ხულოს რაიონში (აჭარა) 77 მუსლიმური სასწავლო ცენტრია, ხოლო ბათუმის შემოგარენში 10 რელიგიური პანსიონი, სხვა საგნებთან ერთად, ყურანსაც ასწავლიან. აღდგენილია ჰაფიზობის ინსტიტუტი, რომელიც ითვალისწინებს ყურანის ზეპირად გადაცემის ტრადიციას. ამ რელიგიურ საქმიანობას

აფინანსებენ საქველმოქმედო ფონდი «მადლი-2005» და ორგანიზაცია „მიზანი“. ფონდის თანხების წარმომავლობა არ არის საჯარო და პრესაში მათ არაბულ სამყაროსთან კავშირზეც მიუთითებენ. რაც შეეხება ორგანიზაცია „მიზანს“, ის ფინანსდება თურქეთში მოქმედი ერთ-ერთი რელიგიური ორგანიზაცია – „ადამიანთა დახმარების ცენტრის“ (HH İnsani Yardım Vakf) მიერ.

იუნუს ემრეს თურქული კულტურის ცენტრი (YUNUS EMRE INSTITUTE) ერთ-ერთი დიდი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ცენტრით ანკარაში, რომელსაც არა მხოლოდ თბილისსა და ბაქოში, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხესა და ქალაქში აქვს ფილიალი გახსნილი. ეს ცენტრი მრავალფეროვან კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს, მათგან ბევრი უფასო კურსებია და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. იუნუს ემრეს თურქული კულტურის ცენტრი თურქეთის პრემიერ-მინისტრის აპარატს ექვემდებარება. ცალკე უნდა იქნეს განხილული ფეთჰულაჰ გულენის/Fethullah Gülen მოძრაობა „ჰიზმეთის“/The Service საქმიანობა საგანმანათლებლო სფეროში; „ჩაღლარის საგანმანათლებლო ქსელის“/Chaglar educational network ქოლგის ქვეშ 1994 წლიდან ქვეყანაში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების რამდენიმე კერძო სკოლა და უნივერსიტეტი; ფეთჰულაჰ გულენის მიმდევარი თურქი ბიზნესმენები ხელმძღვანელობენ 20-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი დონის სკოლასა და ლიცეუმს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მაგალითად, სულეიმან დემირელის კერძო კოლეჯი ქ. თბილისში, „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ და სხვა.

2014 წლიდან, მას შემდეგ, რაც თურქეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა FETÖ-სთან („ფეთჰულაჰ გულენის ტერორისტული ორგანიზაცია“) ბრძოლა, ანკარის მოთხოვნით ფეთჰულაჰ გულენის სკოლები ბევრ ქვეყანაში დაიხურა. საქართველოს ხელისუფლებას ამკრძალავი დონისძიებები ამ მიმართულებით ჯერჯერობით არ განუხორციელებია. სამაგიეროდ, ეს აკრძალვები გავრცელდა ბაქოში არსებულ სკოლებზე.

მაგალითად, დაიხურა ერთ-ერთი წარმატებული „კავკასიის უნივერსიტეტი“. სომხეთში მსგავსი სასწავლებლები თურქეთს არ გააჩნია.

საგანმანათლებლო/სამეცნიერო სფეროს კონტექსტში თურქეთი ამუშავებს უდიდეს გაცვლით პროგრამებს (ძირითადად Mevlana) რეგიონის ქვეყნებისათვის. ყოველწლიურად ათასობით სტუდენტი თუ მკვლევარი სტუმრობს თურქეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და იღებს შესაბამის კვალიფიკაციას.

TIKA-ს ფაქტორი: TIKA-ს წარმომადგენლობა საქართველოსა და აზერბაიჯანში 1994 წლიდან მუშაობს და ამ პერიოდის განმავლობაში სააგენტოს განხორციელებული აქვს არაერთი საქველმოქმედო პროექტი – საგანმანათლებლო, კულტურის, ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის მიმართულებით. ეს ორგანიზაცია თურქეთის პრემიერ-მინისტრის აპარატს უშუალოდ ექვემდებარება და მის მიერ ფინანსდება.

ამრიგად, თურქეთის ხელისუფლებას აქვს საკმარისი სამხედრო-პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული მექანიზმები სამხრეთ კავკასიის რეგიონში „რბილი ძალის“ სტრატეგიის წარმატებით გასატარებლად, რაც მოწყვლადს ხდის რეგიონის სახელმწიფოთა უსაფრთხოებას, სომხეთის რესპუბლიკის გარდა.

უნდა ითქვას, რომ „რბილი ძალის“ მეთოდების გამოყენებას თურქეთიცა და რუსეთიც წარმატებით ახერხებენ; თურქეთისათვის გამონაკლისი სომხეთის რესპუბლიკაა, რომელთანაც მხოლოდ და მხოლოდ არასამთავრობოების დონეზე თუ ახერხებს ურთიერთობების შენარჩუნებას, ისიც ძალიან შეზღუდულად. საქართველოსა და აზერბაიჯანის მაგალითზე კი უნდა ითქვას, რომ ეს გავლენა საგრძნობია და თურქეთის კავკასიური პოლიტიკა ამ მხრივ წარმატებით მუშაობს.

1.4. ირანი და სამხრეთ კავკასია

ირანის ისლამურ რესპუბლიკას სამხრეთ კავკასიაში დიდი გეგმები გააჩნია. ეს რეგიონი მისთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ირანის უსაფრთხოების საკითხებთანაა კავშირში. აშშ-ის მიერ ირანის ე.წ. „ბოროტების ღერძის“ სახელმწიფოთა სიაში შეტანამ და სანქციების ამოქმედებამ, დიდი ზარალი მიაყენა მას, როგორც მატერიალური თვალსაზრისით, ასევე, სტრატეგიულადაც. ირანს უკვე დიდი ხანია ხელ-ფეხი აქვს შეკრული მოქმედებისათვის. არადა, ამ პირობებშიც კი იგი ერთ-ერთი გავლენიანი და ანგარიშგასაწევი მოთამაშეა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ არენაზე.

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ირანმა საბჭოთა კავშირის დაშლის პირველივე დღეებიდან დაიწყო ურთიერთობა და ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა აღიარა. ვინაიდან საბჭოთა კავშირის პერიოდში ძალზედ ლიმიტირებული და მკაცრად კონტროლირებადი ურთიერთობები არსებობდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლებიდან ირანს სუფთა ფურცლიდან მოუწია ურთიერთობების დაწყება სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან და თანამშრომლობის სფეროების განსაზღვრა.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებიდან ირანს გაცილებით მეტი ურთიერთობა სომხეთის რესპუბლიკასთან აქვს, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური (ნაღდი ფულით ვაჭრობა, ვინაიდან საბანკო გადარიცხვები შეზღუდულია), სამეცნიერო, ასევე, ენერგო რესურსების მოწოდების თვალსაზრისით: ბარტერის პირობებში ირანი დღემდე აწვდის გარკვეული მოცულობის გაზს სომხეთს. ეს კავშირები რუსეთი-სომხეთი-ირანის ღერძის ფარგლებში ვითარდება და ამ ქვეყნებს შორის სტრატეგიული პარტნიორობითაა განპირობებული. „ირანი მნიშვნელოვანი ეკონომიკური საყრდენია სომხეთისათვის, რომელიც თურქეთის და აზერბაიჯანის ბლოკადის

მსხვერპლია. ირანის ისლამური რესპუბლიკა მხარს უჭერს მის ქრისტიან მეზობელს პოლიტიკურად, რადგან გრძნობს, რომ მისი მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანული უმცირესობა აძლიერებს ბაქოსთვის თეირანის მოწყვლადობას“ (YİNANÇ, 2015). აზერბაიჯანთან ირანის ურთიერთობები ძალიან ფრთხილი და მოზომილია ე.წ. „სამხრეთ აზერბაიჯანის“ გამო: ირანის ჩრდილოეთ რაიონებში დაახლოებით 20-25 მილიონი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს (ირანი მოსახლეობის 40% ეთნიკურად აზერბაიჯანელია). ირანი ამ მოსახლეობაში სეპარატისტური ტენდენციების გაღვივებას უფრთხის. აზერბაიჯანთან მისი ურთიერთობები თურქეთის ფაქტორის გამოცაა შენელებული.

თურქეთისა და ირანის ინტერესები ძალიან ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე, სამხრეთ კავკასიაში. ეს ორი სახელმწიფო ისტორიულად დაპირისპირებული არიან და თითქმის ყოველთვის საწინააღმდეგო მხარეს იმყოფებიან. აზერბაიჯანისა და თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობა ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობებს გარკვეულწილად აფერხებს. აზერბაიჯანისათვის თურქეთი სტრატეგიულ პარტნიორზე მეტს ნიშნავს, იგი თურქეთში ხედავს მოძმეს და მისაბაძი სახელმწიფოებრივი მოდელის მქონე სახელმწიფოს.

თურქეთის პოზიციიდან ირანი მისი მეტოქე და კონკურენცია სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რის გამოც თურქეთი ხშირად თავს არიდებს ირანთან საერთო ფორმატებში თანამშრომლობას. თურქეთისათვის არასასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ არ გააჩნია იმ რაოდენობის ბუნებრივი რესურსები, გადაწონოს ან დააბალანსოს ირანის ისლამური რესპუბლიკის შესაძლებლობები. ამიტომ, მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებით შემოიფარგლება ირანთან ურთიერთობებში. ეს ორმხრივი ურთიერთობები კი უნდა ითქვას, რომ ძალიან ინტენსიურია და მის გაღრმავებაზეა ორიენტირებული. თუ ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკას ვნახავთ, ჩანს, რომ ირანი ნედლი ნავთობის ყველაზე დიდი მიმწოდებელია თურქეთისათვის უკვე ბოლო რამდენიმე წელია. ასევე, ბუნებრივი გაზის უმსხვილესი იმპორტიორია ამ ქვეყანაში, რუსეთსა და ერაყთან ერთად (Habibi, 2012). ამიტომ, როცა აშშ-მა

თურქეთს ირანთან სავაჭრო ურთიერთობების შეზღუდვებისაკენ მოუწოდა, თურქეთის მთავრობის ერთ-ერთმა მინისტრმა განაცხადა, რომ თურქეთი გააგრძელებს და გააღრმავებს ამ ურთიერთობებს ირანთან: „აშშ-ს გადაწყვეტილება ირანთან მიმართებაში სანქციების დაწესებაზე თურქეთისთვის შესაძლებლობას წარმოადგენს. ჩვენ განვაგრძობთ ირანთან ვაჭრობას გაერო-ს რეზოლუციების დაცვით“ – განაცხადა თურქეთის ეკონომიკის მინისტრმა ნიჰათ ზიბბეჩიმ (Nihath Ziebbech) (თურქეთის ეკონომიკის მინისტრი – აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციების მიუხედავად, თურქეთი ირანთან სავაჭრო ურთიერთობებს განაგრძობს. თურქეთმა არათუ მხარი არ დაუჭირა აშშ-ს წინადადებას გაერო-ში ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღებაზე, არამედ ბრაზილიასთან ერთად ირანის ბირთვული პროგრამის პრობლემის მოგვარების გეგმაც შეიმუშავა (Kucera, 2009).

საქართველოსთან ირანის ურთიერთობები ძირითადად კულტურის, ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროებით შემოიფარგლება. თუმცა, ამ სფეროებში ურთიერთობებიც ჯერ არაა განვითარებული სათანადო დონზე. სტატისტიკის მონაცემებს თუ ჩავხედავთ (ექსპორტ-იმპორტის მიხედვით), საქართველოს ყველაზე სუსტი და ნელი ტემპებით განვითარებადი სავაჭრო ურთიერთობები სწორედ ირანთან აქვს. ამ ფაქტს თავისი ახსნა აქვს და მიზეზებიდან მნიშვნელოვანი აშშ-ის ფაქტორია, უფრო სწორად მისი პოლიტიკა ირანის წინააღმდეგ, რაც გავლენას ახდენს საქართველო-ირანის ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. აშშ-ის ფაქტორის გამო საქართველოს თავის დროზე უვიზო რეჟიმის პირობების გადახედვაც კი მოუწია ცალმხრივად. საქართველოს უწევს გაითვალისწინოს მის სტრატეგიული პარტნიორის მოთხოვნები.

მაგრამ, უნდა ითქვას ისიც, რომ აშშ-ისა და დასავლეთის მიერ სანქციების დაწესების მიუხედავად, არაერთი ირანელი ცდილობს შემოვიდეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის უმეტესად საქართველოში (ზოგიერთი ირანელისთვის საქართველო სამოთხეა) ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ირანული კაპიტალით უკვე 150 მცირე და საშუალო კომპანიაა დარეგისტრირებული და წარმატებით ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას

(საქართველო-ირანი: 2010).

როგორც აღვნიშნეთ, ირანის ისლამურ რესპუბლიკას სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ურთიერთობების განვითარებაში ძირითადად მაინც ხელს უშლის ის გეოპოლიტიკურ ვითარება და პოლიტიკურ კონიუნქტურა, რას მის ირგვლივ შექმნილი. ვგულისხმობთ ბლოკადის პირობების შექმნას აშშ-ის მიერ ირანის მხრიდან ურანის გამდიდრების პროგრამის გამო. ასეთი შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში კი ძალიან ძნელია ნებისმიერი ურთიერთობების ნაყოფიერი განვითარება. ასეთ დროს ხდება პრიორიტეტების გამოკვეთა, აწყობს თუ არა ირანის გამო საქართველოს, ან ახერხაიჯანს ან სომხეთს გაიფუჭოს კავშირები მის სტრატეგიულ პარტნიორებთან. არადა, უდიდესი პოტენციალის მქონე ირანს უზარმაზარი ენერგორესურსების მოწოდება შეუძლია არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის. ენერგორესურსებზე დივერსიფიკაციის შესუსტებისათვის კი ეს უმნიშვნელოვანესია, მაგრამ, ჯერ-ჯერობით ეს პოტენციალი აუთვისებელია (სხვათაშორის, 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი გაზის ბლოკადის დროს, სწორედ თეირანმა უზრუნველყო საქართველოს მოსახლეობა საჭირო გაზის მარაგით). აუთვისებელია ასევე წყლის რესურსების გაცვლის უდიდესი პროექტების რეალიზების შესაძლებლობებიც; ცნობილია, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი უმრავლესობა წყლის რესურსების დეფიციტს განიცდის. 1990-იანი წლებიდან დღემდე არაერთი შემოთავაზება გაკეთდა ირანის მხრიდან საქართველოს მთავრობისათვის წყლის რესურსების მიყიდვის თაობაზე. სანაცვლოდ კი ირანი საქართველოს გაზის მოწოდებას სთავაზობდა. ბოლოს მსგავსი წინადადებით 2015 წლის აგვისტოში ეწვია თბილისს უმაღლესი დონის დელეგაცია თეირანიდან (ირანი ქართულ წყალს ნავთობსა და გაზში გაგვიცვლის? 2015). სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ირანის ურთიერთობების დინამიკა რომ შევაფასოთ, იგი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვისაუბროთ ურთიერთობების თუნდაც საშუალო დონეზე, რაც იმის მანიშნებელია, რომ ირანის კავკასიური პოლიტიკა ძალიან მოისუსტებს. ირანი ვერ ახერხებს თავისი

ინტერესების რეალიზებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების შემდგომ, რაც ირანისათვის სანქციების ეტაპობრივად მოხსნას გულისხმობს, იგი სავარაუდოდ ეცდება გაააქტიუროს კავკასიური პოლიტიკა. ეს ვერ მოხდება სწრაფად და დაჩქარებული ტემპით, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა უახლოესი წლების განმავლობაში, ვფიქრობთ, რომ დროთა განმავლობაში ირანი უკვე აქტიური პოლიტიკური გეგმებით შემოსვლას დაიწყებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ სცენაზე. მაგალითად, სომხეთის ნაციონალური და საერთაშორისო კვლევების ცენტრის დირექტორი მანველ სარგსიანი აცხადებს, რომ „სანქციების დასრულებით მოხდება ირანის როლის გადაფასება, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების, ისე რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში. რეგიონში მიმდინარეობს ახალი სტატუს-კვოს ფორმირების პროცესი. სანქციების მოხსნის შემდეგ, თეირანს შესაძლოა ერგოს ძლიერი რეგიონური მოთამაშის ან სულაც, პრობლემების მომგვარებლის როლი“ (Sargsyan, 2018).

ირანის წინააღმდეგ სანქციების შეჩერებას დადებითად აფასებს არაერთი სხვა სომეხი ექსპერტი; მათი პროგრნოზით, ეს ფაქტი სომხეთის ეკონომიკის ზრდას შეუწყობს ხელს, ვინაიდან ყარაბაღის კონფლიქტის გამო სომხეთი იზოლირებული აღმოჩნდა აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ და შეზღუდული ქონდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები. ამჯერად კი მას სამხრეთელ მეზობელთან ინტენსიური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა მიეცემა. ამ ტენდენციაზე ისაუბრა სომხეთის მეწარმეთა და მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე არსენ გაზარიანმაც და აღნიშნა, რომ: „სომხეთი მოწყვეტილი იყო ირანის პორტ ბანდარ-აბასს, სპარსეთის ყურეში, რადგან გადამზიდი კომპანიები უარს ამბობდნენ ირანულ პორტში ტვირტის ჩატანაზე. ამიტომ, სომხეთი სარგებლობდა ბათუმისა და ფოთის პორტებით. სანქციების მოხსნით კი სომხეთი ვარაუდობს საექსპორტო მარშრუტების დივერსიფიცირებას და ტვირტბრუნვის ადრინდელი მოცულობის დაბრუნებას“ (Mghdesyan, 2018).

თუ ირანის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა გააქტიურებას დაიწყებს,

ძნელი იქნება პროგნოზების გაკეთება თუ რა სახეს მიიღებს ამ ქვეყნის ურთიერთობა თურქეთთან და რუსეთთან;

თავი 2. თურქეთის პირველი სამშვიდობო ინიციატივა სამხრეთ კავკასიისათვის

2.1. სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ძიება მე-XX საუკუნის 90-იან წლებში

უსაფრთხოების მოდელების თემატიკა ერთი-ერთი ყველაზე შეუსწავლელი და საინტერესო საკვლევი თემაა პოლიტიკის მეცნიერებაში. მოდელი, როგორც ასეთი, პოლიტიკური დიალოგის ფორმატია, რომლის ავტორიც შეიძლება იყოს სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია ან ინდივიდი, პოლიტიკოსი ან სხვა და ასახავს მისი წარმდგენის/ავტორის მიდგომებს, რამდენი სუბიექტის ჩართვით, რომელ სფეროებში თანამშრომლობით, ბრძოლის რა მეთოდებით, რა ვადებშია შესაძლებელი იმ საკითხების დარეგულირება, რომლისთვისაც შემუშავდა კონკრეტული მოდელი.

მსოფლიო რეალობას თუ გადავხედავთ, სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს (განსაკუთრებით სამხედრო/პოლიტიკურ ორგანიზაციებს) საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკა აქვთ შემუშავებული. უსაფრთხოების პოლიტიკა ის სფეროა, რომელიც შემდგარ სუბიექტს (სახელმწიფოს თუ სხვას) აუცილებლად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული უნდა ქონდეს. და არა მხოლოდ ხანმოკლე ვადებზე გათვლილი და ხისტი, კარგ შემთხვევაში, გრძელვადიანი და რამოდენიმე სათადარიგო ვარიანტი. რაც შეეხება რეგიონისათვის შემუშავებულ უსაფრთხოების მოდელებს, სამხრეთ კავკასიისათვის უსაფრთხოების მოდელის შექმნა არაა პირველი პრეცედენტი, როცა გარკვეული ფორმატის ფარგლებში სურთ რეგიონული პრობლემების დარეგულირება. სამხრეთ კავკასიისათვის უსაფრთხოების მოდელების შემოთავაზებამდე, ბოლო მსგავს პრეცედენტს ადგილი ქონდა ბალკანეთის ქვეყნებისათვის, როცა სპეციალური ფორმატი იქნა შემუშავებული (ბალკანეთის მე-2 სტაბილურობის პაქტი, 1999 წელი. ბალკანეთის (ბალადურის) 1 პაქტი –

1995 წელი). აქ არ დავიწყებთ განხილვას იმუშავა თუ არა ამ მოდელმა, რატომ და რა პირობებში იყო იგი წარმოდგენილი. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ჩვენი დისერტაციის საკვლევ თემატიკაზე და თუ საჭიროება მოითხოვს შედარებისათვის, მხოლოდ ამ კონტექსტში შევხებით მას.

ცივი ომის შემდგომ მსოფლოში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ უზიბგა სახელმწიფოებსა და კონკრეტულ პოლიტიკოსებს შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამოსავალის ძიების პროცესში შეემუშავებინათ და შემოეთავაზებინათ კონკრეტული თანამშრომლობის მოდელი სამხრეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის დასარეგულირებლად.

სამხრეთ კავკასიის ირგვლივ მიმდინარე დიალოგში სხვადასხვა დროს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატები შეიქმნა: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ერთ-ერთი პირველი იყო ე.წ. გამსახურდიას იდეა, რომელიც ჩეჩნეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან თანამშრომლობით საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული პრობლემების მოგვარებას ისახავდა მიზნად. ეს იდეა იდეადვე დარჩა და ვერ მოხდა მისი რაიმე ტიპის სამუშაო ფორმატად მიწოდება საზოგადოებისათვის.

1990-იანი წლების ერთ-ერთი საინტერესო იდეა გახლდათ „კავკასიური სახლის“ იდეა. „კავკასიური სახლის“ დაფუძნება უფრო კულტურული ხასიათის პროექტი იყო და რაიმე პოლიტიკური ფორმატის ფარგლებში მუშაობას გამორიცხავდა. ასევე, „კავკასიური სახლი“ ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობით იყო დაკავებული.

1990-იან წლებშივე სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ქართული მოდელი იქნა შემუშავებული საქართველოს რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტის – ედუარდ შევარდნაძის მიერ; „მშვიდობიანი კავკასიის“ მოდელი პოლიტიკური ხასიათის იდეა იყო და სამხრეთ კავკასიის სამივე კონფლიქტის ირგვლივ დიალოგს გულისხმობდა.

მორიგი მოდელი, რომელიც სამხრეთ კავკასიისათვის შემუშავდა, იყო

„კავკასიის სტაბილურობის პაქტი“, რომელიც მკვლევართა ჯგუფის მიერ შემუშავდა/Sergiu Celac, Michael Emerson, Narhalie Tocci და გაჟღერდა ბრიუსელში 2000). იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და მრავალმხრივი ხასიათის მოდელია, რომელიც შექმნილა სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის. ამ პაქტის გამოქვეყნებას სულ რამდენიმე დღით (2/16 იანვარი, 2000 წელი) წინ უსწრებდა თურქეთის ყოფილი პრეზიდენტის – სულეიმან დემირელის იდეა, რომ შემუშავებულიყო „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“, როგორც ეს გაკეთდა ბალკანეთისათვის. მაგრამ, მსგავსი პაქტი მისი ინიციატივით აღარ შემუშავებულა. ეს წინადადება იდეის დონეზე დარჩა. სულეიმან დემირელის მოწოდებას გამოეხმაურა სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი (სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1998-2008 წლებში) და საინტერესო იყო მისი გამოხმაურება იმ კუთხით, რომ მან სულეიმან დემირელის მხოლოდ და მხოლოდ იდეას კავკასიის სტაბილურობის პაქტის შემუშავებაზე ფორმულირება გაუკეთა. როგორც მან თავის დროზე გააჟღერა პაქტი უნდა ყოფილიყო 3+3+2“ ფორმატზე დაფუძნებული: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი + რუსეთი, თურქეთი + გაერო, ევროკავშირი. ინგუშეთის ყოფილმა პრეზიდენტმა რაულ აუშევა (ინგუშეთის პრეზიდენტი 1993-2002 წლებში) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენს ვლადიმერ პუტინს მოუწოდა, მცდელობა არ დაეკლო, რათა პოლიტიკური შედეგები მოყოლოდა კავკასიის ლიდერთა დიალოგს. სულეიმან დემირელის ამ წამოწყებას მეტი მსვლელობა აღარ მისცემია.

საქართველოში არსებული უსაფრთხოების პრობლემებისა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის 90-იანი წლებიდან დღემდე დიალოგი შემდეგ ფორმატებში მიმდინარეობს: „ჟენევის ფორმატი“, „აბაშიძე-კარასინის შეხვედრები“. ასევე, ვიცნობთ ე.წ. „ბოდენის გეგმას“ ე.წ. „შტაინმაიერის გეგმას“ ეს უკანასკნელი გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის – ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის (Frank-Walter Steinmeier). მიერ 2008 წელს (რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომამდე) შემოთავაზებული ხედვებია საქართველოში არსებული ორი კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს (საქართველოს პრეზიდენტი 2004-2013 წლებში) ეკუთვნის ორი იდეა:

1) ორი კავკასიური სახელმწიფოს – საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ.

2) „ერთიანი კავკასიის იდეა“, რომელიც მან 2010 წლის 23 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე შეხვედრაზე გააჟღერა და აღნიშნა, რომ არ არსებობს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია. არის მხოლოდ ერთიანი კავკასია, რომელიც ეკუთვნის მსოფლიო ცივილიზაციას და ეკუთვნის ევროპას.

ერთ-ერთი მოდელი, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს ეხება, გახლავთ თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის (მაშინდელი პრემიერ-მინისტრის) – რეჯეფ ტაიფ ერდოღანის იდეა „კავკასიური სტაბილურობის პლატფორმის“ შესახებ, რომელიც მან 2008 წლის აგვისტოში გააჟღერა მოსკოვში, რუსეთის პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე. მომდევნო წელს კი თურქეთის იგივე პრეზიდენტის მიერ გაჟღერდა ახალი ინიციატივა, რომელიც სომხეთთან თურქეთის გართულებული ურთიერთობების მოწესრიგებას ეხებოდა. ეს უკანასნელი გეგმა „საფეხბურთო დიპლომატიის“ სახელითაა ცნობილი.

ერთიანი კავკასიური თანაცხოვრების იდეის აღორძინებას ემსახურებოდა 2009 წელს, კავკასიის საკითხებში ექსპრეტის, მამუკა არეშიძის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის – „ახალგაზრდა კავკასიელთა საერთაშორისო კავშირის“ დაფუძნება. მათი მიზანია თავი მოუყარონ საქართველოში მცხოვრებ კავკასიური ეთნოსის წარმომადგენლებს – ქისტებს, ხუნძებს, აზერბაიჯანელებს და სხვებს და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებით ხელი შეუწყონ კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტას.

2013 წლიდან, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მონაწილეობით, საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „თეკალინის პროცესს“. ესაა ე.წ. „შეხვედრები მშვიდობისთვის“, რომელიც ყოველი წლის გაზაფხულზე იმართება საქართველოში, მარნეულის რაიონში, სოფელ თეკალში, სადაც არასამთავრობო უწყების წარმომადგენლები ერთიანი სამხრეთ კავკასიური

კავშირის ფარგლებში მშვიდობიანი თანაცხოვრების შესაძლებლობებზე საუბრობენ.

ვინაიდან ჩვენი საკვლევი თემა თურქეთის და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მოდელებია, ზემოთ წარმოდგენილი ფორმატებიდან დისერტაციის ფარგლებში შევვებით/ვიკვლევთ მხოლოდ და მხოლოდ იმ ფორმატებს, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის მიერაა ინიცირებული და სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობას ეხება. ანუ:

- 1) „კავკასიის სტაბილურობის პლატფორმა“ (თურქული მოდელი) და
- 2) "საფეხბურთო დიპლომატია" (თურქული მოდელი).

აღნიშნული მოდელების ინიცირება მიზნად ისახავდა რეგიონული უსაფრთხოების ბალანსში თურქეთის როლის გაძლიერებას.

2.2. 2008 წლის აგვისტოს ომის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ ბიპოლარული მსოფლიო წესრიგი დაინგრა და მულტიპოლარულის ჩამოყალიბების ნიშნები გამოჩნდა. ახალ მსოფლიო წესრიგში საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთს არ აღმოაჩნდა იმ ტიპის რესურსები და გავლენა, რომ ძველი დიდების გადასახედიდან შეეხედა მსოფლიოსათვის (რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა (Vladimir Putin) მე-XX საუკუნის უდიდესი ტრაგედია კი უწოდა საბჭოთა კავშირის დანგრევას). მაგრამ, არ ეგუებოდა ამ დიდების დაკარგვის ფაქტს და დაიწყო ახალი ბრძოლა „დერჟავას“ აღდგენისათვის.

ამ პროცესში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსეთისათვის „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებთან ერთად, აქტუალობა არ დაუკარგავს უხეში/სამხედრო ძალის გამოყენების საკითხსაც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი არაერთხელ და სხვადასხვა გზებით ეცადა იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილებას, მაგრამ ეს უკვე არც ისე ადვილი აღმოჩნდა. 1991 წლის 21 დეკემბერსვე „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ საქართველომ დატოვა მხოლოდ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდგომ) შექმნით რუსეთმა რეაბილიტაცია სცდა და სურდა ძველი დიდების თუნდაც ნაწილობრივ დაბრუნება, მაგრამ მისი შექმნიდან უკვე თითქმის ორი ათეული წელი გავიდა და ჩანს, რომ დსთ-მ ვერ შეასრულა ის ფუნქცია, რისი გაკეთებაც რუსეთს ჩაფიქრებული ქონდა ამ ორგანიზაციის საშუალებით. თუმცა, ეს იმას არ ნიშავს, რომ რუსეთმა უარი თქვა თავის გეგმებზე. რუსეთმა მომდევნო წლების განმავლობაში ახალი გზები გამონახა ამ მიზნების მისაღწევად.

რუსეთისათვის სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო მისი სტრატეგიული მდებარეობის, სატრანზიტო დერეფნის ხაზის მასზე გავლით, ზღვებზე გასასვლელელების მხრივ, რომ რუსულმა სამხედრო ელიტამ დაიწყო

მზადება უკვე სამხედრო ინტერვენციისათვის (მანამდე რუსეთის ხელისუფლება ძირითადად საპასპორტო პოლიტიკისა და მცოცავი ოკუპაციის მეთოდებით მოქმედებდა). სამხედრო ინტერვენციით რუსეთს არა მხოლოდ რეგიონზე კონტროლის გაძლიერება სურდა, მას უნდოდა ეპასუხა აშშ-ისა და ნატოს-ს გაფართოების პოლიტიკისათვის, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა რუსეთის საზღვრებს.

რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა ამ ომისათვის, რასაც თავად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის განცხადებებიც ადასტურებს, რომელიც მან გააკეთა: „საიდუმლო არაა, რომ ჩვენ გვქონდა გეგმა. რუსეთი ამ გეგმის ფარგლებში მოქმედებდა. ჩვენ ამ გეგმის ფარგლებში მოვამზადეთ სამხრეთ ოსეთის არმია“ (Russia was prepared for Georgian aggression _ Putin, 2008).

„2008 წლის აგვისტოს ომმა გავლენა იქონია არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, არამედ მისმა შედეგებმა გავლენა იქონია მსოფლიო მასშტაბით. ეს ომი გლობალურ პრობლემებს ღრმად შეხო. მან გავლენა იქონია თურქეთზე, გაეტარებინა აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსი, ხელი შეუშალა ახალი პერსპექტივებისა და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას სამხრეთ კავკასიაში,“ წერს რუსეთ-საქართველოს იმის შედეგების შეფასებისას თურქი მკვლევარი მითათ ჩელიკპალა (Çelikpala, 2010).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომს წინ უძღოდა ნატო-ს ბუქარესტის სამიტი აპრილის თვეში, სადაც გამოითქვა დაპირება, რომ საქართველო მიიღებდა ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას (MAP); საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ამ თემზე საუბარი დაპირებად მიიღო და სისტემატურად აპელირებდა მასზე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ ეს წინადადება საქართველოსათვის უფრო დამაჯერებლად ჟღერდა, ვიდრე ეს დღევანდელი გადასახედიდან ჩანს. რუსეთისათვის კი მსგავსი განცხადებების გაკეთება საპასუხო ნაბიჯისათვის მზადების სიგნალი

აღმოჩნდა. შესაბამისად, ვინაიდან მსგავსი დისკუსიები და გამალებული მსჯელობა ამ თემაზე კიდევ უფრო რეალურს ხდიდა ნატო-ს შემდგომი გაფართოების საკითხს, რუსეთს უნდა ეპასუხა გამოწვევისათვის და უპასუხა კიდევ 5 დღიანი სამხედრო ინტერვენციით.

ომის შედეგები მძიმე პოლიტიკური რეალობის მომტანი აღმოჩნდა არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის; აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის ეს იყო მუქარის შემცველი სიგნალი; ევროპისა და ამერიკისათვის მინიშნება, რომ უფრო დამთმობი და კონსტრუქციულები ყოფილიყვნენ, როცა საქმე რუსეთის ინტერესების არეალს ეხება; სამხრეთ კავკასიაში გარკვეული ინტერესების მქონე სხვა რეგიონული აქტორებისათვის კი, ისეთებისათვის, როგორცაა თურქეთი და ირანი, ჩვენება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის კონტროლიდან ვერ გავა.

ძალაუფლების გადანაწილებისათვის ბრძოლა ახალ ეტაპზე გადავიდა და სამხრეთ კავკასიისათვის იგი მეტი გამოწვევების მომტანი აღმოჩნდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომით რუსეთის მიზანი, რომ შეეჩერებინა ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებაზე ფიქრი და შავი ზღვის რეგიონით დაინტერესება, ვერ რეალიზდა. პირიქით, სამხედრო ინტერვენციამ გაზარდა არა მხოლოდ ნატო-ს აქტივობა სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის მისამართით, არამედ, გაააქტიურა ევროკავშირიც.

რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნებს აგვისტოს ომამდეც არაერთი განაცხადი ქონდათ გააკეთებული, რომ ნატო-ს ყოველ მოახლოებას მათ საზღვრებთან, შესაბამისი ზომებით უპასუხებდნენ და უკვე რუსეთ-საქართველოს ომიდან რამდენიმე წლის შემდეგაც საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა (Sergey Lavrov) იგივე შინაარსის პოლიტიკური გზავნილი გაუკეთა ნატო-ს ბლოკს: „ჩვენ მუდამ გვეუბნებოდნენ: ნატო-ს არ აქვს რუსეთის ფედერაციის უშიშროების საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმის ნება-სურვილი. მაგრამ, თუ ასეთი განზრახვა არ არსებობს, მაშინ რატომ ხდება ასე,

რომ ნატო-ს ინფრასტრუქტურა რუსეთის საზღვარს პერმანენტულად უახლოვდება? ამდენად, ჩვენ მივიღებთ საპასუხო ზომებს“ (ლავროვი: ნატოს მოახლოებას რუსეთის საზღვრებთან პასუხს გავცემთ, 2009).

2008 წლის აგვისტოს ომიდან მომდევნო წლების ნატო-ს ქმედებების დინამიკას თუ გადავხედავთ, ადვილად დავრწმუნებით, რომ მისი აქტივობა გაზრდილია: შავ ზღვაში ნატო-ს ინტერესების არსებობა ჯერ კიდევ 1952 წლიდან იწყება, მასში თურქეთის გაწევრიანებით. მეტი დოზით ამ სივრცეში ნატო 2004 წლიდან შემოდის, როცა კავშირის წევრი რუმინეთი და ბულგარეთი გახდა. ნატო-ს შემოსვლას ამ სივრცეში ევროკავშირის უსაფრთხოებისთვისაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. უკვე ყირიმის აგრესიამ კი ნატო-ს დღის წესრიგში აქტიურად დააყენა შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის და ამ რეგიონში მისი უდიდესი მოკავშირის თურქეთის საკითხი. ეს ტენდენცია აისახა ნატო-ს სამოქმედო გეგმებსა და გადაწყვეტილებებში. მაგალითად, 2014 წელს უელსის სამიტზე მიიღეს „მზაობის სამოქმედო გეგმა“, 2016 წელს კი ვარშავის სამიტმა გაიმეორა უელსის სამიტის პრინციპული მიდგომები. უკვე 2017 წელს კი ნატო-მ მიიღო კომუნიკე „სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“. გამოდის, რომ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში რუსეთის ქმედებები უპირისპირდება არა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხებს, იგი წინააღმდეგობაში მოდის ნატო-სა და აშშ-ის, შესაბამისად, თურქეთის ინტერესებთან. ამ დაპირისპირებაში რუსეთისათვის პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ასეთი შედეგი დადგა: მან ვერ შეძლო უკან დაეხვეწინებინა მასთან დაპირისპირებული ძალებისათვის ამ რეგიონში, პირველ რიგში ამერიკისა და ნატო-სათვის და ვერ შეაჩერა მათი აქტივობა. თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით ეს შეძლო თურქეთთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, თურქეთმა ამ პროცესებს იმთავითვე შეხედა საერთაშორისო ტენდენციების ჭრილში და არ ჩათვალა, რომ რუსეთმა შეძლო მისი შეჩერება და სწორედ ამიტომაც უკვე დამოუკიდებლად დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა, რაც გამოიხატა „კავკასიის უსაფრთხოების პლატფორმის“ წამოყენებაში.

2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ ნატო-მ ორჯერ მეტი სამხედრო წვრთის პროგრამა განახორციელა შავი ზღვის რეგიონში (Preparing for the Worst: 2014). 2015 წელს კი კვლავ გაზარდა სამხედრო კონტიგენტის მოცულობა. 2014 წელს რუსეთმა სწორედ ნატო-ს ყოველწლიური წვრთნების პერიოდისათვის დაგეგმა საზღვაო სამხედრო წვრთნებიც, რამაც მაშინ საკმაოდ დამაბა ვითარება შავის ზღვის რეგიონში. მაგრამ, მალევე მოხდა დამაბულობის განეიტრალება.

2016 წლის ვარშავის ნატო-ს კომუნიკეში შავით თეთრზე ჩაიწერა, რომ ამ რეგიონს ნატო-ს უსაფრთხოების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და რუსეთის სამხედრო ზეწოლის გაგრძელება რეგიონზე უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევად აღიქმება (Warsaw Summit Communiqué, 2016). უკვე 2017 წლის ნატო-ს ბუქარესტის შეხვედრაზე მიღებულ რეზოლუციაში - „სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“ (2017 _ RESOLUTION 437 - BLACK SEA - 219 CDS 17 E, 2017) _ ღიადაა საუბარი რუსეთის შეკავებაზე და შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერებაზე.

ნატო-ს არცერთ ქმედებას რუსეთი უპასუხოდ არ ტოვებს და აგრძელებს შავი ზღვის მილიტარიზაციას. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ 2015 წლისათვის თურქული სამხედრო ძალები უკვე საგრძნობლად (თითქმის ორჯერ) აღემატებოდა რუსულ სამხედრო საზღვაო ძალებს (თურქეთის ფლობდა 44 სანაპირო ხომალდს და 13 წყალქვეშა ნავს; რუსეთის ფლოტი: 22 სანაპირო გემსა და 3 წყალქვეშა ნავს). თუმცა, ეს უპირატესობა საკმარისი არაა თურქეთისათვის დააბალანსოს რუსეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად თურქეთი ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკის პარალელურად, ითანამშრომლოს ნატო-სა და ევროკავშირთან.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა ძალთა კონსოლიდირებას შეუწყო ხელი, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ვერც ძალის ჩვენებამ, ვერც მის საზღვრებთან მიახლოებამ, ვერც უსაფრთხოების მოდელების ინიცირებამ რუსეთს უარი ვერ ათქმევინა ოკუპაციაზე.

დიპლომატიურ, სამხედრო თუ პოლიტიკურ არენაზე გაკეთებულმა ჟესტებმა რუსეთის მისამართით ხელშესახები შედეგები ვერ მოიტანა, თუმცა, საკმაოდ დიდი ზიანიც მიაყენა მას.

ვფიქრობთ, რომ საქმე რუსეთის უძლევლობაში არაა. ამ შემთხვევაში საქმე ისაა, რომ აშშ-ს არ სურს ძალიან შეავიწროვოს რუსეთი და მთელი მისი ბერკეტები გამოიყენოს ამ ქვეყნის წინააღმდეგ, ვინაიდან რუსეთი აბალანსებს ჩინეთს, ქვეყანას რომელსაც აშშ უკვე აღიქვამს მეტოქედ. აშშ-ჩინეთს შორის ურთიერთობებს უკვე არაერთი ექსპერტი ახასიათებს, როგორც „სტრატეგიულ უნდობლობას“ და სავარაუდოდ, უახლოეს წლებში აშშ-საც და რუსეთსაც ძლიერი ახალი კონკურენტი ეყოლება მისი სახით. აშშ-სა და ჩინეთს შორის უკვე 2018 წლის მარტიდან ძალაში შევიდა ახალი სავაჭრო ტარიფები, რაც ანალიტიკოსების ნათქვამს თუ გავიმეორებთ, გარკვეულ ზიანს მიაყენებს ორივე მხარეს. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები (მაგალითად, Morgan Stanley) ამ პროცესებს აფასებენ ეკონომიკის ისტორიაში ყველაზე დიდ სავაჭრო ომად (ეკონომიკის ისტორიაში ყველაზე მსხვილი სავაჭრო ომი დაიწყო, 2018).

ნეორეალიზმის კონცეფციის ჭრილში რომ ვნახოთ მსოფლიოში და შემდეგ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები, ცხადი გახდება, რომ მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში ეს რეგიონი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ვინაიდან იგი ჩინეთიდან და ცენტრალური აზიიდან მომავალი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო გზის ნაწილია; რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი ამ პროცესებში რუსეთის ინტერესების გაძლიერებას ემსახურებოდა; თურქეთის მიერ უსაფრთხოების მოდელებით გამოსვლა თურქეთის, როგორც რეგიონული აქტორის, გაძლიერებასა და რუსეთის დაბალანსებას; ევროკავშირისა და აშშ-ის სამშვიდობო პოლიტიკა და ეკონომიკური, ენერგეტიკული, სამხედრო თუ სხვა ტიპის პროექტების რეალიზება მიზნად ისახავს, როგორც რუსეთის დაბალანსებას, ასევე, მათი პოზიციების გამყარებას სამხრეთ კავკასიაში. ასევე, დასავლეთის მიზანია, მეტი დოზით შემოიტანოს რეგიონში დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი პატივისცემა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.

2.3. თურქეთის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა

სრული სურათის შესაქმნელად და იმისათვის, რომ ნათელი გახდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქული მოდელების არსი, უნდა განვიხილოთ თურქეთის რესპუბლიკის ახალი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა.

უკვე ათ წელზე მეტია ამ დოქტრინაზე დაყრდნობით იმართება თურქეთის საგარეო პოლიტიკა. ეს დოქტრინა მრავალი წლის განმავლობაში მუშავდებოდა და შედარებით დასრულებული სახით 1990-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისი ავტორია თურქი მეცნიერი, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი აჰმეთ დავუთოღლუ² (Davudoglu, 2001). მან ამ დოქტრინის ფარგლებში ისტორიული სიღრმეებიდან – ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის პერიოდიდან დაწყებული – თანამედროვე ეტაპამდე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები გააანალიზა და საინტერესო დასკვნებამდე მივიდა.

რატომ განვიხილავთ მაინცადამაინც ამ დოქტრინას? მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზს არაერთი თურქი მეცნიერი აკეთებს, პროფესორ აჰმეთ დავუთოღლუს თეორია სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში იქნა აყვანილი და ამიტომაცაა იგი ყველაზე მეტად საინტერესო და ამიტომ კეთდება ამ ავტორზე მეტი აქცენტი. სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე კი მისი შეხედულებები აიყვანა იმ პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომლის გამოკვეთილი ლიდერიც რეჟეფ ტაიფ ერდოღანია და რომელმა ჯგუფმაც ეს ავტორი პოლიტიკაში დაპატიჯა მისივე ხედვების განხორციელებისათვის. ამიტომ, სწორედ ამ ავტორის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თურქეთის საგარეო პოლიტიკის სწორი ანალიზისათვის.

² მისი კონცეფცია განხილული შრომაში – სტრატეგიული სიღრმე (Stratejik Derinlik).

ახალი დოქტრინის მიხედვით, ჯერ კიდევ ქემალ ათათურქის მიერ თურქეთის რესპუბლიკის დაფუძნებისას ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა იმ საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე მოხდა, რომელიც შექნილი იყო მაშინდელ მსოფლიოში: ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, თურქეთი იძულებული იყო გადარჩენაზე ეზრუნა და ხელი აეღო იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე. ეს მიზანი კარგადაც შესრულდა. საჭირო იყო გაგრძელებულიყო პროცესები და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ახალ საშინაო თუ საგარეო მიზნებზე ეზრუნათ ახალ პოლიტიკურ რეალობაში.

ახლადწარმოქმნილი რესპუბლიკა ჯერ კიდევ შიდა რეფორმებით იყო დაკავებული, როცა სამყარო ახალ გეოპოლიტიკურ წესრიგში – ცივი ომის ეპოქაში – შევიდა და თურქეთმა ვერ მოასწრო კარგად გაენალიზებინა და ფეხი აეწყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისათვის. ცივი ომის პერიოდში, ავტორის მიხედვით, ორპოლუსიანი სისტემის შექმნით განპირობებულმა წესრიგმა უარყოფითად იმოქმედა თურქეთზე, ეზრუნა ალტერნატიული სტრატეგიებისა და მასთან დაკავშირებული ტაქტიკური მანევრების განვითარება/განხორციელებაზე. შესაბამისად, მთელი ცივი ომის განმავლობაში თურქეთი დამოკიდებული აღმოჩნდა ორ მთავარ პარამეტრზე, რომელიც არ ამღევდა მას დამოუკიდებელი პოლიტიკის დაგეგმვის საშუალებას: 1) საბჭოთა მუქარის წინააღმდეგ დასავლეთის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ ყოფნა (ამ ქოლგის ქვეშ ყოფნა არ იყო თურქეთის მიზანი. მან, როგორც ახალ დამოუკიდებლობამიღებულმა ქვეყანამ, დროულად ვერ გააცნობიერა მის ირგვლივ მიმდინარე პროცესები) და 2) „დიპლომატიური არეალის ინდექსირება“ ევროკავშირში მყოფ საბერძნეთთან. ანუ, თუ თურქეთს სურდა მიეღო ადგილი ევროკავშირის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ, მისი პოლიტიკა საბერძნეთთან მიმართებაში ევროკავშირის პოლიტიკის მსგავსი ან მასთან მიახლოებული უნდა ყოფილიყო.

ამ ქოლგის ქვეშ ყოფნა კი თურქეთს საკუთარი გავლენის სფეროების შექმნისა და სხვა ალტერნატიული ძალის ცენტრების უგულვებელყოფის ფასად

დაუჯდა. ავტორი ერთგან ხაზს უსვამს, რომ თურქეთის „ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნაც იმის შიშით იყო განპირობებული, რომ არ ჩამორჩენოდნენ ბლოკის შიგნის პროცესებს საბერძნეთის გამო“ (Davudoğlu, 2001).

თურქულ იდეოლოგიაში ამ მომენტის ახსნას წარმოადგენდა არაერთი თურქი პოლიტიკოსის განაცხადი, რომ ყველაფრის ფასად არ სურს ევროკავშირში იხილოს თავისი ქვეყანა. თავად ქვეყნის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის გამოსვლებშიც გაიჟღერა ამ მიდგომამ. ეს მიდგომა კავშირში არაა ევროსკეპტიკოსთა მოსაზრებებთან. ევროსკეპტიკოსთა მოსაზრებები ხშირ შემთხვევაში შედარებით ვიწრო ხედვებიდან გამომდინარეა ჩამოყალიბებული. თუმცა, მათ დასაბუთებულ ახსნებშიც არის საგულისხმო ლოგიკა. მაგრამ, ზემოთაღნიშნული მიდგომა არის იდეოლოგიური ხედვა, პრინციპი, რომელსაც იცავს ქვეყანა თავის საგარეო პოლიტიკურ აქტივობაში. მაშინ ჩნდება კითხვა, თუ რას ემსახურება მაღალჩინოსანთა განაცხადები ევროკავშირში გაწევრიანების დაჩქარების შესახებ და ღიად გამოთქმული წყენები ევროკავშირის დასკვნების/რეპორტების მისამართით? რესპუბლიკის დაფუძნების ეტაპზეც და ამჟერადაც, მთავარი მიზეზია ის, რომ ქვეყანა არაა მზად გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა. ამას თავად აჰმეთ დავუთოღლუც აღიარებს, როცა საუბრობს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები საერთაშორისო წესრიგიდან გამომდინარე იქნა განსაზღვრული. ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ შედგა საერთაშორისო წესრიგის სრულფასოვან წევრად. ამიტომ, ცდილობს ფეხი აუწყოს საერთაშორისო სისტემის ტენდენციებს და ისარგებლოს უსაფრთხოების იმ სიკეთეებით, რომელსაც თუნდაც ევროკავშირთან დაახლოება მოიტანს. ანუ როცა ვსაუბრობთ ნეორეალიზმის თეორიის ფარგლებში თურქეთის მიერ მისთვის უკვე არსებული როლისა და ადგილის ცვლილებაზე თავად თურქეთის რესპუბლიკის მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ის ჯერ კიდევ არაა მზად გაარღვიოს საერთაშორისო წესრიგში უკვე დამკვიდრებული ბალანსი მის სასარგებლოდ. ანუ, კიდევ ერთხელ რომ ხაზი

გავუსვათ, სიტუაციური ანალიზი ცხადყოფს, რომ თურქეთი საგარეო პოლიტიკური მიმართულებების ჩამოყალიბებისას და პრიორიტეტების განსაზღვრისას გამოდის საერთაშორისო წესრიგის თამაშის წესებიდან და ჯერ კიდევ ვერ ახერხებს თავისი თამაშის წესები დაამკვიდროს თუნდაც მეზობელ რეგიონებში.

აჰმეთ დავუთოღლუს მოსაზრებით, ცივი ომის განმავლობაში თურქეთი ატარებდა პოლიტიკას, რომელიც საერთაშორისო არენაზე პოზიციების გამყარებისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარების ნაცვლად, საზღვრის გასწვრის უსაფრთხოების ხაზების შექმნას ემყარებოდა, რაც დიდი შეცდომა იყო და ამ ხარვეზის დაძლევა თურქული დიპლომატიის მიზანი 1980-იან წლების ბოლოს გახდა. აქ ავტორი თავად უსვამ ხაზს იმას, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით: იგი იხსენებს „ბოსნიის კრიზის“ დროს შექმნილ ვითარებას, როცა ქვეყანაში გააცნობიერეს, რომ საავიაციო ფლოტის მომარაგების კუთხით ბალკანეთის რეგიონშიც კი არ შეეძლოთ ოპერაციების ჩატარების უზრუნველყოფა. მისი აზრით, ეს საკუთარი ძალების ვერ შეფასება და ქვეყნის პოტენციალის არასწორად დანახვა იყო და არა რესურსების არქონით გამოწვეული. ეს იყო დეზორგანიზება თუ დემორალიზება მათი ძალების და შინაგანი მზაობის არქონა.

მეორე უდიდესი პრობლემა თურქეთისათვის, რამაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იჩინა თავი, იყო ურთიერთობების აწყობა მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონებთან. თურქეთმა დაინახა რა მეზობელ რეგიონებთან მჭირდო ურთიერთობის განვითარების აუცილებლობა, დაიწყო იმ მიდგომების გადაფასება, რომლითაც ის მანამდე ხელმძღვანელობდა. უნდა ითქვას ისიც, რომ თურქეთს ნულოვანი გამოცდილება ქონდა მის ახლანდელ მეზობლებთან ურთიერთობების, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკას.

თურქეთში ამ პრობლემის მოწესრიგების სხვადასხვა ხედვები გააჩნდათ მკვლევრებსა და პოლიტიკოსებს. 1990-იანი წლების განმავლობაში ამ მიმართულებით თურქეთის პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, ინერციით მიდიოდა. მაგრამ, ვინაიდან ამ საკითხების დარეგულირება მოგვიანებით აჰმეთ

დავუთოღლღუს მიანდეს, რეალიზება დაიწყო მისმა პოლიტიკამ, რომელიც გულისხმობდა „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ პოლიტიკას. ეს პოლიტიკური ხაზი რათქმაუნდა ნიშნავდა არა იმას, რომ თურქეთს პრობლემები არ გააჩნდა მეზობლებთან, არამედ იმას, რომ ურთიერთობები დაწყებულიყო სუფთა ფურცლიდან. მაგრამ, ვინაიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე ათეული წელი იყო გასული და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მსოფლიო თუ რეგიონულ პოლიტიკურ აქტორთა ინტერესები არათუ გამოკვეთილი, არამედ, ამ ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკაც უკვე ამუშავებული იყო, სუფთა ფურცლიდან ურთიერთობების დაწყებაზე აპელირება პოლიტიკურ უმწიფრობას გავდა. თურქეთი თავად რომ ყოფილიყო მზად, ხაზი გადაესვა წარსულისათვის, მეზობელი ქვეყნები, მაგალითად, სომხეთი არ აპირებდა და არ აპირებს დაივიწყოს წარსული. ამიტომ, ამ პოლიტიკამ არ იმუშავა, არა მხოლოდ სომხეთის მაგალითის გამო.

პროფესორი აჰმეთ დავუთოღლღუ აღნიშნავს, რომ თურქეთს აღარ ქონდა უფლება ჩაკეტილ სისტემაში გაეგრძელებინა არსებობა, როგორც მსოფლიო პოლიტიკის რიგით ერთეულს და დაიწყო ახალ რეალობაში არსებული სირთულეების გათვალისწინებით, ცივილიზაციის ცენტრის შექმნა.

ახალი დოქტრინის მიხედვით, თურქეთი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, არის საზღვაო და სახმელეთო ძალაუფლების ცენტრების გადაკვეთის ადგილი და ქვეყნის ეს გეოგრაფიული მოცემულობა არის ის უცვლელი ფაქტორი, რომლის მნიშვნელობის ხელახალი გადაფასება და აქედან გამომდინარე, კულტურული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პარამეტრების გადახედვა აუცილებლად უნდა მომხდარიყო. ამ პროცესებში აქტუალური გახდა კულტურული იდენტობის ძიების საკითხიც და ავტორი საინტერესოდ ხსნის ერთ მომენტს. კერძოდ, იგი ამბობს, რომ 1993-1996 წლებში თურქეთში ისლამის პოლიტიკურ პლატფორმაზე გადასვლა დაჩქარებული წესით მოხდა: რატომ? მისი მოსაზრებით ამ პერიოდში თურქეთი ერთი მხრივ კვლავ ახალი საერთაშორისო რეალობის შესწავლითა და საგარეო პოლიტიკური დოქტრინის შემუშავებით იყო დაკავებული, მეორე მხრივ კი

აღმოჩნდა რეალობაში, როცა პოლიტიკური კულტურის ისტორიულად უწყვეტი იდეოლოგიის საფუძვლების მქონე ძალები ავტომატურად ამოქმედდნენ. თითქოს ქვეყანა დაუბრუნდა თავის ბუნებრივ დინებას. ამ წლებში ჩატარებულმა არჩევნებმაც აჩვენა, რომ სახალხო რესპუბლიკური პარტია (CHP), რომელსაც, ერთი შეხედვით დიდი პოლიტიკური გამოცდილება ქონდა და წინა პერიოდებში დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობდა, უკანა პლანზე გადავიდა.

როგორც ჩანს ახალი იდეოლოგიის შემქმნელი დარწმუნებულია, რომ ისლამის რელიგიის წესების ფარგლებში ცხოვრება, ანუ დაბრუნება ამ წესებთან, თურქეთის ბუნებრივი გზაა, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის წესებთან ერთად და ეს არის სწორედ ის ახალი მოდელი თურქეთის რესპუბლიკის, რომელიც მისაბადი გახდა შემდეგ ისლამური სამყაროს ფარგლებში.

ამის გათვალისწინებით აკ. დავუთოღლუ აღნიშნავს, რომ ცივი ომის პერიოდის პოლიტიკური ელიტის მიერ თურქეთისათვის მორგებული როლი აღარ შეესაბამებოდა საზოგადოების მოთხოვნებს, ისტორიულ გამოცდილებასა და მომავლის იდეალებთან დაკავშირებულ მოლოდინებს და შემუშავდა ახალი ხედვა, ახალი მიდგომები, თუ რა გზით უნდა ევლო თურქეთს. ამ ახალი სტრატეგიის მიხედვით, პირველ რიგში უნდა გადახედილიყო სტატუს-კვოს შენარჩუნების წარსული სტრატეგია და საერთაშორისო არენაზე თურქეთს მოქმედება უნდა დაეწყო, ხოლო მოქმედების არეალის მიხედვით პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და გეოპოლიტიკური გავლენების სტრატეგიის რეალიზებისათვის პრიორიტეტული მიმართულებები ასე უნდა დალაგებულიყო:

- უახლოესი სახმელეთო აუზი: ბალკანეთი _ ახლო აღმოსავლეთი _ კავკასია;
- უახლოესი საზღვაო აუზი: შავი ზღვა _ ადრიატიკის ზღვა _ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი _ წითელი ზღვა _ სპარსეთის ყურე _ კასპიის ზღვა;
- უახლოესი კონტინენტური აუზი: ევროპა _ ჩრდილოეთ აფრიკა _ სამხერთ

აზია – ცენტრალური და აღმოსავლეთ აზია (Davudoğlu, გვ. 118.).

ამ სტრატეგიის მიხედვით ევროპასთან თანამშრომლობა ძალზედ მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ თურქეთს აქცენტი განვითარებაზე უნდა ქონდეს აღებული. ანუ ევროპასთან თანამშრომლობას თურქეთი უყურებს, როგორც განვითარების შესაძლებლობას და არა ევროკავშირში წევრობის შესაძლებლობას. მან იცის, რომ ეს ფაქტიურად შეუძლებელია ბევრი მიზეზის გამო. ამასთან, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საინტერესო სტრატეგიული თანამშრომლობის ჯაჭვის შექმნაა შესაძლებელი მის მეზობელ რეგიონებთან და არა მხოლოდ.

შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის უსაფრთხოების დოქტრინის წამოყენება არის ერთიანი, ახალი თურქული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და მცდელობა, მისი ინტერესების შესაბამისი რეალობის შექმნას შეუწყოს ხელი მეზობელ რეგიონებში.

როცა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, სწორედ თურქეთის ახალი მიდგომებიდან უნდა ამოვიდეთ და ამ ჭრილში განვიხილოთ მისი თითოეული ნაბიჯი.

ამ ჭრილში იდეოლოგიურმა დავამ წინ კიდევ ერთი საკითხი წამოსწია: ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევრები, როცა დავა თურქეთის საწყისი/ფუნდამენტური/ათათურქისეული პრინციპების შეცვლას ეხება, არგუმენტად იგივე ქემალიზმის ე.წ. მეექვსე პრინციპს იშველიებენ. ეს პრინციპი რევოლუციონიზმის/Devrimçilik სახელითაა ცნობილი და იგი მუდმივ განვითარებაზე აკეთებს აქცენტს. ანუ რევოლუციონიზმი თურქეთის ნებისმიერ სახელმწიფო მოღვაწეს სახელმწიფოს მუდმივ გაძლიერებაზე ზრუნვასა და განვითარების მომდევნო ეტაპზე გადაყვანას ავალდებულებდა.

ეს პრინციპი თავად ქემალის მიერ სახელმწიფოს მართვის მექანიზმებში ცვლილებების შეტანასაც კი ამართლებს. როცა პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა 2017 წლის რეფერენდუმზე მოსახლეობის დასტურის მიღების შედეგად თამამად დაიწყო ცვლილებების განხორციელება, ეს ნაბიჯები რევოლუციონიზმის პრინციპში სავსებით ჯდება. სხვა საკითხია რამდენად

დემოკრატიულად მიდიოდა ეს პროცესი. თავად პრეზიდენტს საჯარო გამოსვლებშიც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეს იყო მიღებული მემკვიდრეობის ახალ ეტაპზე გადასვლის, ახალ სიმაღლეებამდე მიყვანისა და დემოკრატიულ საწყისებზე მყარად გადასვლის მორიგი მცდელობა. რევოლუციონიზმი, სხვა პრინციპებთან ერთად, უცვლელ პრინციპადაა გამოცხადებული თურქეთის კონსტიტუციის პრეამბულაში. ანუ თურქეთის განვითარების გეზი, მისი როლისა და მსოფლიო პოლიტიკაში მისი ადგილის გადაფასება უწყვეტი პროცესი უნდა იყოს. ამ ლოგიკურ ჯაჭვშია იდეოლოგიური საწყისების გადაფასება და ახალი რეალობიდან გამომდინარე თურქეთის როლის განსაზღვრა. ხშირად არასწორადაა გაგებული ქემალ ათათურქის პრინციპების უცვლელობა. იგი განვითარების შემდეგ/მომდევნო საფეხურზე გადასვლის პრინციპის დაცვის უცვლელობაა და არა განვითარების ერთ ადგილზე ყოფნა და უცვლელობა.

ბოლოს გვინდა ვუპასუხოთ ერთ აქტუალურ კითხვას: გამოიწვევს თუ არა აჰმეთ დავუთოღლუს – ამ იდეოლოგიის ავტორის, პოლიტიკიდან წასვლა იდეოლოგიურ გადაფასებას თურქეთში, ჩაანაცვლებს თუ არა ახალი იდეოლოგია ამჟამად არსებულს; ვფიქრობთ, ჯერჯერობით საკითხი ასე არ დგას. ამ ავტორის მიდგომები იმდენად ამბიციური, ყოვლისმომცველი და თურქეთის ინტერესებზე მორგებულია, ნაკლებად მოსალოდნელია, მასზე უარი თქვას თურქეთის ახალმა მთავრობამ. ამასთან, ამ ეტაპისათვის თურქეთი მზად არაა ახალი იდეოლოგიური გამოწვევებით დაკავდეს. მან ჯერ უკვე არსებულ გამოწვევებს უნდა გასცეს პასუხი.

2.4. „კავკასიის უსაფრთხოების პლატფორმის“ წამოყენება

ეს მოდელი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის პერიოდში, კერძოდ, 13 აგვისტოს, მოსკოვში, უმაღლესი დონის შეხვედრაზე გაჟღერდა (თურქეთის მაშინდელმა პრემიერმა და ამჟამინდელმა პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა (Recep Tayyip Erdoğan) ე.წ. 3+2 – ის ფორმატში თანამშრომლობა შესთავაზა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებსა და რუსეთს. ამ მოდელის მიხედვით სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მთელი რიგი საკითხები ე.წ. ხუთეულის ფორმატში უნდა დარეგულირებულიყო ანუ მოლაპარაკების მაგიდასთან რეგიონის სამ სახელმწიფოსთან (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ერთად, რუსეთი და თურქეთი დაჯდებოდა (Fotiou, 2009).

იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი 1990-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლების დამდეგიდან ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინის მიხედვით წარმართავს საგარეო პოლიტიკას, მათ შორის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკას, ამგვარი ინიციატივით გამოსვლა და განაცხადი, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური აქტორია, სრულიად ბუნებრივად ჯდება მის მიდგომებში. მაგრამ, მეორეს მხრივ რუსეთისათვის, სახელმწიფოსათვის, რომლისთვისაც მიუღებელია თურქეთის ამბიციების რაიმე ფორმით სამხრეთ კავკასიის რეგიონში რეალიზება და იმპერიის აღდგენაზე ოცნებობს, უცნაურად ჟღერდა თურქეთის ეს ინიციატივა.

თურქული დიპლომატიისათვის რეგიონული უსაფრთხოების მოდელის ინიციატივით გამოსვლა სიახლეს არ წარმოადგენდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების განმავლობაშიც ქონდა თურქეთს რეგიონული თანამშრომლობის გარკვეული მონახაზები, როგორც ზემოთაც ვთქვით. გამოიყენა რა თურქეთმა წარსულის ეს გამოცდილება და ჩათვალა, რომ არ გაამართლა თანამშრომლობის ფართო ფორმატებმა, როცა პლატფორმის მონაწილეები, რეგიონის სახელმწიფოების გარდა, მსოფლიოს გავლენიანი მოთამაშეებიც (გაერო (ამ

ინიციატივიდან რამდენიმე თვეში თურქეთმა გააკეთა განაცხადი, რომ გაერო უნდა ჩართულიყო მოლაპარაკებებში), ევროკავშირი და აშშ) იყვნენ, ამჯერად, ახალი, შედარებით მცირე ფორმატში თანამშრომლობის ალტერნატივა წარმოადგინა. შეგვიძლია ვისაუბროთ მეორე მიდგომაზეც, რის გამოც თურქეთმა არ მოინდომა თანამშრომლობის ახალ, მისეულ ფორმატში დაეპატიჟა მაგალითად, ევროკავშირი ან ეუთო და სხვა ძალა და ეს თურქეთის გაზრდილი ამბიციებია, როცა თურქეთმა ჩათვალა, რომ მზადაა გამოვიდეს მეორე რანგის რეგიონული მოთამაშის როლიდან და უსაფრთხოების თუ სხვა სახის პრობლემები სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ რუსეთთან დიალოგის ფორმატში ამ ორმა სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოში ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ანკარაში რაიმე ტიპის პოლიტიკურ ინიციატივაზე არანაირი საჯარო განაცხადი არ გაკეთებულა. თურქეთი მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების საკითხებზე აკეთებდა განცხადებებს. მაგრამ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტი სატელეფონო საუბრის შედეგად შეთანხმდა შეხვედრაზე და თურქეთის პრეზიდენტი მოსკოვს ეწვეოდა მიმდინარე საკითხების განსახილველად. 2008 წლის 13 აგვისტოს, რეგიონში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რუსეთის პრეზიდენტთან ოფიციალურ ვიზიტით ჩასულმა თურქეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა საერთაშორისო საზოგადოებისა და პირველ რიგში, რეგიონის სახელმწიფოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობისადმი გააკეთა „კავკასიური უსაფრთხოების პლატფორმის“ შეთავაზება ანუ, ე.წ. 3+2 (რუსეთი, თურქეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) - ხუთეულის ფორმატში ეცადათ დიალოგი რეგიონში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნისათვის. თურქული მხარის ხედვით, რეგიონული პრობლემები მხოლოდ რეგიონის სახელმწიფოთა მონაწილეობითა და ძალისხმევით უნდა მოგვარებულიყო. თურქეთი ამ დიალოგში გამორიცხავდა დასავლეთის პირდაპირ ჩართვას. დიალოგის მონაწილედ ასევე არ მოიაზრებოდა ირანის ისლამური რესპუბლიკა. მოსკოვში

რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან და პრემიერ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ორი ქვეყნის ლიდერები იზრუნებენ, რათა მშვიდობა დამყარდეს რეგიონში.

თურქეთის პრემიერი მხოლოდ განცხადების გაკეთებით არ შემოიფარგლა და მომდევნო დღეებში სპეციალური ვიზიტებით ბაქოსა და თბილისს ეწვია; 2008 წლის 13 აგვისტოს ბაქოში აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ვიზიტის დასრულების შემდეგ, 14 აგვისტოს იგი საქართველოს მაშინდელ ლიდერს – მიხეილ სააკაშვილს შეხვდა (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიმოხილვა: 14 აგვისტო, 2008). თბილისში მყოფმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რომ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა შენარჩუნდეს“ თუმცა, ჩანდა, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ევროპის მხარდაჭერას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა და ევროპელი ლიდერების თბილისში ვიზიტიდან უფრო დიდი მოლოდინები ქონდათ, ვიდრე თურქი ლიდერის. საქართველოს დედაქალაქს მაშინ ევროპის რამდენიმე ქვეყნის ლიდერი ეწვია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი არაერთი განცხადება გააკეთეს, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტი მაშინ მიესალმა თურქეთის სამშვიდობო ინიციატივას, მან ამისათვის მადლობა გადაუხადა თურქეთის პრეზიდენტს და გამოთქვა დიდი იმედი, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდებოდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის მხარდაჭერა: „ჩვენ დავავალეთ თავდაცვის მდივანს რობერტ გეითს დაიწყო ქართველი ხალხისთვის ჰუმანიტარული მისია აშშ-ს სამხედრო ხელმძღვანელობით. ეს მისია იქნება აქტიური და C-17 თვითმფრინავი ჰუმანიტარული ტვირთით უკვე გზაშია. და რამდენიმე დღეში ჩვენ გამოვიყენებთ ამერიკულ თვითმფრინავს, ისევე როგორც საზღვაო ძალებს ჰუმანიტარული და სამედიცინო ტვირთის მისაწოდებლად. ჩვენ ველით რუსეთისგან, რომ ის პატივს სცემს ვალდებულებას, დაუშვას ყველა სახის ჰუმანიტარული დახმარება. ჩვენ ველით რუსეთისგან იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ხაზი, მათ შორის საზღვაო

პორტები, აეროპორტები, გზები და საჰაერო სივრცე იქნება ღია ჰუმანიტარული დახმარების მისაწოდებლად და მოქალაქეების ტრანზიტისთვის“ - განაცხადა მაშინ ჯორჯ ბუშმა უმცროსმა (US must share power in new world order, 2008).

თბილისმა კონფლიქტის ბოლო დღეებსა და ასევე, მომდევნო დღეებში მართლაც არაერთ ევროპელ და ამერიკელ მაღალჩინოსანს უმასპინძლა. მაგალითად, ისეთებს, როგორებიც იყვნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლისა რაისი (Condolella Rice), ესტონეთის, ლიტვის, პოლონეთის პრეზიდენტებს, მოგვიანებით საფრანგეთის პრეზიდენტს, ლატვიის (რუსეთის ელჩმა ლატვიაში ალექსანდრე ვერშნიაკოვმა (Александр Вешняков) განცხადება გააკეთა რიგაში, რომ ძალიან ცუდი იქნებოდა, თუ ლატვია სამხედრო დახმარებას გაუკეთებდა საქართველოს.

თბილისში შეკრებილ ათიათასობით მომიტინგეს რამდენიმე ქვეყნის პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა და თანადგომა აღუთქვა პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ (პოლონეთის პრეზიდენტი 2005-2010 წლებში). ქართველ ხალხს უთხრა: „აქ ჩვენ საბრძოლველად ვართ. ჩვენმა მეზობელმა ძალზე დიდი ხნის განმავლობაში პირველად გამოაჩინა თავისი სახე, რომელსაც ჩვენ რამდენიმე ასწლეულია ვიცნობთ. ჩვენი მეზობელი ფიქრობს, რომ მეზობელი ხალხები უნდა ემორჩილებოდნენ. პასუხად ჩვენ ვამბობთ, არა! რადგან ვიცით, რომ დღეს საქართველო იქნება, ხვალ ბალტიის ქვეყნები, შემდეგ კი ჩემი ქვეყნის _ პოლონეთის ჯერი დადგება!“ (Lech Kaczynski Speeches, 2008). ეს ჟესტი იყო იმის ჩვენება, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვანია ევროპისათვის. აშშ-ის სენატორის _ ჯონ მაკკეინის (John McCain) 11 აგვისტოს ნათქვამი „დღეს ყველანი ქართველები ვართ“ კი ნიშნავდა იმას, რომ აშშ-ისათვის სულერთი არ იყო, რა პროცესები მიდიოდა იმ რეგიონში, სადაც დიდი ენერგოპროექტების ლობირებას თავად ახდენდა სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ.

აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში უმცროსის (აშშ-ის პრეზიდენტი 2001-2009 წლებში) მიერ გაკეთებულმა საქართველოს

მხარდამჭერმა განცხადებებმა ცხადყო, სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლიტიკური ცვლილებების მცდელობა ძალიან მგრძობიარე და მნიშვნელოვანი თემა იყო, როგორც აშშ-ის, ასევე ევროპისათვის: „ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ჩვენს პარტნიორებთან ევროპაში და დიდი 7-იანის სხვა წევრებთან ამ კრიზისის მოგვარების მიზნით. ამერიკის შეერთებული შტატები და ჩვენი მოკავშირეები ქართველ ხალხთან და მის დემოკრატიულად არჩეულ მთავრობასთან დგას. ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მოსკოვმაც უნდა პატივი სცეს თავის ვალდებულებას და დააბრუნოს ქართული ტერიტორიებიდან თავისი სამხედრო ძალები...“ (President Bush’s Statement on Georgia, 2008, გვ. 7).

ცოტა მოგვიანებით ამერიკელმა ანალიტიკოსმა, ბრიუსელში გერმანიის მარშალის ფონდის დირექტორმა როლანდ ასმუსმა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მიერ ომის გზით არსებული სტატუს-კვოს შეცვლა შეაფასა, როგორც „მცირე ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ (Asmus, 2010). ამავე სახელწოდებით გამოცემულ წიგნში. წიგნში ხაზგასმულია, რომ ამ ომის მიზეზი იყო საქართველოს სურვილი, დაახლოებულიყო დასავლეთთან, რომელიც რუსეთს არ მოსწონდა და სწორედ ეს იყო ის პრინციპი, რომლის შეცვლამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია დასავლეთში: „ამ ომის მიზეზი იყო საქართველოს სურვილი, დაუახლოვდეს დასავლეთს და რუსეთის სურვილი, ამას ხელი შეუშალოს“ (Asmus, 2010 გვ. 21).

სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების მიზნის თურქულმა იდეამ, ფორმულით 3+2, გამოიწვია იმ ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან უკმაყოფილება, რომლებიც ამ ფორმატიდან გამორიცხულნი იყვნენ. მაგალითად, რეგიონის ქვეყნებიდან საქართველომ იმთავითვე გააკეთა მინიშნება, რომ ქართული მხარე არ დაჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდასთან ოკუპანტ ქვეყანასთან, იმ ქვეყანასთან, რომელსაც დაკავებული ქონდა მისი ტერიტორიების დაახლოებით 20 %. თუმცა, თურქეთის პრემიერ რეჯეფ ტაიფ ერდოგანს საქართველოში ვიზიტისას საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სთხოვა ანკარას, გაეგრძელებინა მცდელობები, რეგიონში

მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.

უსაფრთხოების თურქულ პლატფორმას მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანმა და სომხეთმა;

ბაქოში ვიზიტად მყოფ თურქ ლიდერს ილჰამ ალიევმა (აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2003 წლიდან). სრული ნდობა გამოუცხადა და მზადყოფნა აღუთქვა, ჩართულიყო ნებისმიერ დიალოგში, რომელსაც თურქეთი წამოიწყებდა.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ ნალბანდიანმა ასევე, დადებითად შეაფასა თურქეთის ინიციატივა და მიუხედავად დიპლომატიური ურთიერთობების არქონისა, გამოთქვა მზადყოფნა დიალოგისათვის, განსაკუთრებით იმ საკითხების ირგვლივ, რომელიც რეგიონში თანამშრომლობასა და უსაფრთხოებას ეხება და აღნიშნა, რომ სომხეთი ყოველთვის იყო და იქნება მსგავსი ტიპის მოლაპარაკებების მონაწილე. თუმცა, ცოტა მოგვიანებით, სომხეთის მხრიდან დაიწყო განსხვავებული გზავნილების გაკეთება. კერძოდ ის, რომ ირანის არ მიღება კავკასიური პლატფორმის ამ ფორმატში ნიშნავდა შენელებული მოქმედების ნაღმის ჩადებას რეგიონში, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო აეფეთქებინა უსაფრთხოების არსებული სისტემა.

აზერბაიჯანის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვიც (Elmar Mammadyarov) მიესალმა ინიციატივას, მაგრამ აღნიშნა, რომ რიგი საკითხების დეტალური განხილვა იყო საჭირო, პლატფორმის შემდგომი სრულყოფისათვის და იმისათვის, რათა დახვეწილიყო მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც შემდგომში მოხდებოდა დასახული მიზნების რეალიზება. სხვათაშორის, სომხეთში ირანის საელჩოს წარმომადგენელმა, კამალ ზარეხმა (Kamal Zarek), ერთ-ერთ სომხურ გაზეთში, 2008 წლის 17 სექტემბერს, ამ ინიციატივას არასრულყოფილი და მეტისმეტად ნაჩქარევად შემუშავებული უწოდა, ვინაიდან, მისი თქმით, შეუძლებელია რეგიონულ ძალთა წონასწორობის უზრუნველყოფაზე საუბრისას ვერ შენიშნო ირანი

(Tapachvili, 2009). ირანის გამორიცხვამ პლატფორმიდან საკმაოდ გაააქტიურა ამ ქვეყნის დიპლომატიური უწყება: ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩეჰრ მოთაკმა (Manouchehr Mottaki) გამართა მოლაპარაკებები ბაქოში, ერევანსა და მოსკოვში (Geopolitical Diary: 2008). ასევე, ბერლინში, სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით. მართალია, არაერთი პროფესორი ჩვენთან ინტერვიუში (*ინტერვიუ ჩავწერეთ 2015 წლის ივნისში – მაგალითად, მუსაფა აიდინი და მითათ ჩელიკპალა*) აცხადებს, რომ „ირანი არ არის დღეს კავკასიის პოლიტიკურ არენაზე“, მაგრამ, შეუძლებელია სრულად უგულებელვყოთ მისი ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში. თუ ერთ-ერთი რესპოდენტის (ინტერვიუ ჩავწერეთ 2015 წლის ივნისში – სერდარ დინლერი) შეხედულებების მთავარ პოსტულატს დავეყრდნობით, რომ „ეკონომიკური ურთიერთობები დღევანდელ სამყაროში განსაზღვრავს უსაფრთხოების პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტას“, რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ირანმა, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, გარკვეულწილად შეარბილა მეთოდები და თუნდაც მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობების აწყობის გზით ცდილობს, არა მკვეთრად, რომ არ გააღიზიანოს აშშ, მაგრამ, მაინც ჩართული იყოს რეგიონში მიმდინარე პროცესებში. როგორც პროფესორი კამერ კასიმი აღნიშნავს, ირანი ყურადღებით აკვირდება კავკასიაში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ აშშ-ის პოლიტიკა ირანის მიმართ განაპირობებს მის შედარებით პასიურ პოლიტიკას ამ რეგიონში. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ მას არ აქვს ინტერესები ამ რეგიონში (Kasim, 2011). მსგავსი მოსაზრებები გამოთქვა ქართველმა პროფესორმა და დიპლომატმა რევაზ გაჩეჩილაძემაც (ინტერვიუ ჩავწერეთ 2015 წლის მარტში). მანაც დაგვიდასტურა, რომ ძალიან დიდია ირანის ისლამური რესპუბლიკის დაინტერესება სამხრეთ კავკასიის რეგიონით: სამხრეთ კავკასიაში ირანს ისტორიულად გააჩნდა თავისი ინტერესები და დიდი გავლენები და შეუძლებელია ახლაც არ ქონდეს მას თავისი სტრატეგიული ინტერესები რეგიონში. რომ განაცხადონ, რომ არ აქვთ ინტერესები, ეს იქნებოდა გასაკვირი. საქმე ისაა, რომ აშშ-ის პოლიტიკა არ აძლევს მას საშუალებას იმოქმედოს ისე, როგორც მას მიაჩნია, რომ უნდა

იმოქმედოს. შესაბამისად, ირანს ხელ-ფეხი აქვს შეკრული და იძულებულია შემოიფარგლოს იმ შეზღუდული დიპლომატიური მანდევრებით, რომლის განხორციელების უფლებაც მას დაუტოვეს.

საინტერესო იყო ირანისა და თურქეთის ურთიერთობების შეფასება პროფესორ ჰაიდან ჩაქმაქის მიერ: „მართალია, ჩვენ შორის არის საკმაოდ კარგი ეკონომიკური ურთიერთობები, როგორც ცალკე ქვეყანასთან, მაგრამ თურქეთი არ თანამშრომლობს მასთან რეგიონულ პროექტებში“ (ინტერვიუ ჩაიწერა 2015 წლის ივნისში). ბატონი ჰაიდარის მოსაზრებები დაადასტურა ჩვენმა კვლევამ, რომელიც ირანის კავკასიურ პოლიტიკას შეეხებოდა და აღმოჩნდა, რომ მართლაც დიდი ინტენსივობა შეინიშნება ორმხრივ ურთიერთობებში, მაგრამ საჯარო განცხადებებშიც კი თურქული პოლიტიკის მესვეურები თავს არიდებენ ირანთან საერთო პროექტებზე საუბარს.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის ინიციატივას შედარებით მოგვიანებით უპასუხა რუსეთმა: 2008 წლის 7 ოქტომბერს, საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა (რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი 2004 წლიდან). „Российская газета“ – სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თურქული იდეა იმის შესახებ, რომ კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობაზე სწორედ რეგიონის ქვეყნებმა იზრუნონ, საინტერესოა, მაგრამ „ახლა საქმე გვაქვს სრულიად სხვა კავკასიასთან. რეგიონში უკვე არსებობს ხუთი სახელმწიფო, ოთხ მათგანთან ჩვენ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, საქართველოსთან კი ეს დროებით შეჩერებულია (Россия не желает вмешательства третьих стран в процессы на Кавказе: 2008) ს. ლავროვის ეს განცხადება ფაქტობრივად დაბლოკვა იყო თურქეთის ამ ინიციატივის.

რეგიონული უსაფრთხოების თურქულ ინიციატივას ცივად შეხვდა ვაშინგტონი. სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე – მეთიუ ბრაიზას (Matthew Bryza) ნათქვამს თუ მოვიშველიებთ, ამერიკული მხარე ინფორმირებულიც კი არ იყო ამ ინიციატივის შესახებ და რომ ვაშინგტონში საჭიროდ მიიჩნევენ ორმხრივი თანამშრომლობა უფრო მჭიდრო ხასიათის იყოს, მითუმეტეს, რომ ამ ორ ქვეყანას ბევრი საერთო ინტერესი აქვს სამხრეთ

კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით ენერგოპროექტების კუთხით და არა მხოლოდ ამ რეგიონში (German, 2012).

მართალია, ძნელი დასაჯერებელია, ვაშინგტონი ინფორმირებული არ ყოფილიყო, რომ თურქეთი რეგიონში პოლიტიკური ალიანსის შექმნის ინიციატივით გამოდიოდა, მაგრამ, მაინც, სავსებით შესაძლებელია იგი სიმართლეს შეესაბამებოდეს. მაგალითად, პროფესორ მუსტაფა აიდინთან ინტერვიუს ჩაწერისას ამ თემის შესახებ ჩვენს კითხვაზე გაკეთებული კომენტარიც ამ აზრს აძლიერებს: „ ... და რატომ უნდა სცოდნოდა ამერიკას თურქეთის გეგმა? რა, ისინი გვეუბნებიან ჩვენ ყველა თავის გეგმაზე?“ (ინტერვიუ ჩაიწერა 2015 წლის ივნისში).

თურქეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა აბდულაჰ გულმა (Abdullah Gül) 2008 წლის 18 აგვისტოს “Guardian”-თან ინტერვიუში ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური განაცხადება გააკეთა: „კონფლიქტმა საქართველოში ცხადყო, აშშ ველარ განსაზღვრავს გლობალურ პოლიტიკას და უნდა დაიწყოს ძალაუფლების გადანაწილება სხვა ქვეყნებთან“ (US must share power in new world order, 2008).

გამოდის, რომ გულწრფელი იყო ამერიკელი დიპლომატი მეთიუ ბრაიზა თავის განცხადებაში და თურქეთი ცდილობდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი გაეტარებინა. ამიტომაც, საჭიროდ არ ჩათვალა ვაშინგტონის ინფორმირება მისი ახალი წამოწყების შესახებ.

პლატფორმის „ხუთეულის“ ფორმატი გულისხმობდა, რომ რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გარანტორების როლში თურქეთი და რუსეთი მოიაზრებოდა, რაც ნიშნავდა არა მარტო რუსეთის განსაკუთრებული როლის აღიარებას რეგიონში, არამედ თურქეთის ახალ როლში გამოსვლასაც, რომელიც თამაშგარეთ ტოვებდა ირანს, ასევე სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი ინტერესების მქონე აშშ-ს. რამდენად იყო ეს შესაძლებელი? ქვემოთ ვეცდებით ავხსნათ, რომ ეს ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო.

უკვე 2008 წლის 19 აგვისტოსთვის ცნობილი გახდა, რომ კავკასიის სტაბილურობის პლატფორმის შესახებ თურქეთის პრემიერი რეჯეფ ტ. ერდოღანი ესაუბრა ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს. მათ შორის, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბერნარდ კუმნერს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს, შვედ კოლეგას კარლ ბილდტს, ეუთო-ს თავმჯდომარეს ალექსანდრე სტაბს. ასევე, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კონდოლესა რაისს. საუბრები, რა თქმა უნდა, თურქეთის ინციატივას რეალიზების შესაძლებლობებს ეხებოდა. მოლაპარაკებებს რომ რაიმე ხელშესახები შედეგები მოყოლოდა, ამის შესახებ განცხადებები გაკეთდებოდა. გამოდის, რომ ევროპელი და ამერიკელი ლიდერები არ ჩაერთვნენ თურქეთის თაოსნობით დაწყებული პროცესში. მხოლოდ გაეცვინენ თურქული მხარის წინადადებებს.

პლატფორმის წამოყენებიდან დაახლოების ერთი წლის შემდეგ, თურქული მხარის ირანისადმი დამოკიდებულებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა: 2009 წლის ნოემბრის დასაწყისში თურქეთის პრემიერ-მინისტრის ირანში ვიზიტის შემდგომ ამ ქვეყნების პოზიციები საგრძნობლად დაახლოვდა: „კავკასიაში სტაბილურობით დაინტერესებულია, როგორც თურქეთი, ასევე ირანი. ამიტომ, პრობლემები უნდა გადაწყდეს რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობის გზით“ (Tapacov, 2009) – აღნიშნა უკან დაბრუნებულმა რეჯეფ ერდოღანმა. 2009 წ. 2 ნოემბერს თურქეთსა და ირანს შორის გაფორმდა შეთანხმება – ნავთობისა და გაზის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი. თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრ თანერ ილდიზის (Tanner Yildiz) განცხადების მიხედვით, დოკუმენტი ითვალისწინებს თურქული მხარის მონაწილეობას ირანის უმსხვილესი გაზის საბადოს – სამხრეთ ფარსის ათვისებაში. ანკარაში მინიშნება გაკეთდა, რომ ამ პროექტის განხორციელების შედეგად, ირანი, შესაძლოა “ნაზუკოს” გაზსადენისთვის გაზის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელიც გახდეს. ანკარაში აცხადებდნენ, რომ კავკასიური სტაბილურობის იდეამ შესაძლოა ახალი განზომილებები შეიძინოს მასში

ირანის ჩართვით და ამ პაქტმა ახალი სიცოცხლე დაიწყო.

2009 წლის დეკემბერში რეჯეფ ტაიფ ერდოღანი აშშ-ის პრეზიდენტს შეხვდა თეთრ სახლში. როგორც ჩანს უკვე დაგროვილი იყო რიგი საკითხებისა, რომლებზე ძველი პარტნიორები უნდა შეთანხმებულიყვნენ. მოლაპარაკებების შემდეგ ბარაკ ობამამ (აშშ-ის პრეზიდენტი 2009-2017 წლებში). განაცხადა, რომ „შევვხეთ მოლაპარაკებათა ფართო სპექტრს და ისეთ საკითხებს, რომლებიც ამერიკისა და თურქეთის შემფოთებას იწვევს. მე მაძლობა გადავუხადე პრემიერ-მინისტრ რეჯეფ ერდოღანს და თურქ ხალხს ავღანეთში სტაბილიზაციის მიღწევაში მათი წვლილისათვის. განვიხილეთ ერაყის დასახმარებლად ერთობლივი გეგმა, რეგიონული მშვიდობის საკითხები ახლო აღმოსავლეთში და ირანის ბირთვული პროგრამა და პრემიერ-მინისტრს მივუთითე, რომ... თურქეთი ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნება. ჩვენ განვიხილეთ ნატო-ს ფარგლებში თურქეთის პროფილის გაძლიერების საკითხიც და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებზე უფრო ეფექტურ კოორდინირებაზე შევთანხმდით“ (The US and Turkey: 2009). თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებმა ძველი ფორმატი დაიბრუნა.

ირანის ფაქტორის გააქტიურებამ კი უკვე პირველი ცვლილებები შეიტანა თურქეთის უსაფრთხოების მოდელში. თურქეთი თავად დარწმუნდა, რომ რუსეთთან დიალოგის დაწყების მცდელობით მისი ინტერესების რეალიზების შესაძლებლობები მინიმალური იყო. ირანის შემოყვანით კი ამ პროცესში, ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური პროცესებიც საინტერესო სახეს ღებულობდა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა რეგიონული უსაფრთხოების ირგვლივ დიალოგის ფორმატი უკვე თავად შეცვალა და სცადა მისი გაფართოება, ამ ინიციატივის გარშემო მყარი გაერთიანების უზრუნველყოფა მაინც ვერ მოახერხა. ამის რამოდენიმე მიზეზი არსებობს:

პირველ რიგში რუსეთის ფაქტორი: რუსეთს განსხვავებულად ესმის უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში და ცდილობს არ დაუშვას სხვა ძალის გავლენის გაზრდა მისი ე.წ. სტრატეგიული ინტერესების არეალში. როგორც

ზემოთაც აღვნიშნეთ, რეგიონულ უსაფრთხოებას მთავარ საფრთხეს სწორედ რუსეთის გეგმები უქმნის; 2008 წლის 26 აგვისტოს კრემლმა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ზედა და ქვედა პალატებისადმი სოხუმისა და ცხინვალის მიმართვის საფუძველზე აფხაზეთისა და ცხინვალის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობა აღიარა: „მე ხელი მოვაწერე ბრძანებულებებს რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე – განაცხადა მედვედევმა 26 აგვისტოს უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ – ეს არ იყო მარტივი არჩევანი, მაგრამ ეს ერთადერთი შესაძლებლობაა ადამიანების სიცოცხლის შესანარჩუნებლად“ (მედვედევმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, 2009).

რუსეთს არ სურს, რომ მესამე მხარე იყოს კავკასიურ პროცესებში ჩართული. მისი დაინტერესებაა, ორმხრივ ფორმატში ქონდეს ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან, ვინაიდან მისი მოქმედების მეთოდებზე დაკვირვებისას დარღვევების გამოვლენა არ მოხდეს. რუსეთის ხელისუფლების მესვეურებს არ სურთ, გამუდმებით უთითებდნენ დემოკრატიული ნორმების დარღვევაზე, არჩევნების გაყალბებაზე, ხელოვნურად შექმნილ და მართულ პროცესებზე, ეთნოწმენდაზე, არაადამიანურ მოპყრობაზე, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლების მუდმივად და უხეშად დარღვევასა და შეზღუდვაზე და ა.შ.

რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიაში ორი “ახალი სახელმწიფოს” აღიარების პოლიტიკის გატარებამ, შეიძლება ითქვას, რეგიონული უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ დიალოგი სამ ნაწილად “დაშალა”: საქართველო-რუსეთს („ჟენევის ფორმატი“), სომხეთ-თურქეთსა (შვეიცარიის შუამავლობით ანკარამ დაიწყო დიალოგი ერევანთან თანამშრომლობასა და საზღვრის გახსნაზე. 2009 წლის 24 აპრილს შეთანხმდა „საგზაო რუკაც“) და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის.

მეორე – დასავლეთის გამორიცხვა ამ პროცესებში წარმოუდგენელია, მაშინ როცა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული სწორედ დასავლეთის

ძალისხმევის შედეგად მოხდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ნაწილობრივ გამოგლეჯა რუსეთის კლანჭებიდან. სწორედ ამერიკის მიერ სამხრეთ კავკასიური ენერგოპროექტების ლობირებამ ჩაუყარა საფუძველი ამ პროცესებს. ამ ეტაპზეც დასავლეთის ძალისხმევით ხდება არაერთი ენერგო და ეკონომიკური პროექტის სტიმულირება, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებმა განვითარების დასავლური გზით იარონ და იყვნენ მეტად დამოუკიდებლები. შესაბამისად, თურქეთს უნდა გაეთვალისწინებინა დასავლეთის ფაქტორი. ამერიკელი დიპლომატის ნათქვამს თუ გავიმეორებთ: „ეს არის რეგიონი, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია“ (Wilson, 2003, p.113). ამიტომ, თურქი ლიდერების მიერ კავკასიური უსაფრთხოების პლატფორმის ინიციატივით გამოსვლა მართლაც ტოვებს ნაჩქარევად შემუშავებული გეგმის შთაბეჭდილებას. იმ ეტაპისათვის ირანის გამორიცხვა უფრო რეალისტური იქნებოდა მოლაპარაკებების პროცესიდან, ვიდრე დასავლეთის.

მესამე _ თავად თურქეთის არასაკმარისი მზაობა: თურქულ დიპლომატიურ უწყებას უფრო მიზანმიმართულად რომ ემუშავა მის მიერ წამოყენებული ინიციატივის რეალიზებისთვის, შედეგი შესაძლოა არა რადიკალურად განსხვავებული, მაგრამ სხვა ყოფილიყო.

თავი 3. თურქეთის მეორე სამშვიდობო ინიციატივა სამხრეთ კავკასიისათვის

3.1. "საფეხბურთო დიპლომატია"

„საფეხბურთო დიპლომატია“ თურქეთის კავკასიურ პოლიტიკაში ერთი კონკრეტული მიმართულებით განხორციელებულ პოლიტიკურ აქტივობას, კერძოდ, სომხეთის რესპუბლიკასთან 1990-იანი წლების დასაწყისში შეწყვეტილი ურთიერთობების დარეგულირებას ეხება.

წარმოდგენილი პოლიტიკური პროექტის ავტორია თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გული, იმდროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ _ აჰმეთ დავუთოღლუსთან ერთად. მისი უშუალო დავალებით 2009 წლისათვის თურქულმა დიპლომატიამ კიდევ ერთი გეგმა შეიმუშავა, რომელსაც „საფეხბურთო დიპლომატიის“ სახელით ვიცნობთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ გეგმის განხორციელებაში ორივე ქვეყნის უმაღლესი რანგის პირები იყვნენ ჩართული და რომ ორივე ქვეყანაში ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაციისათვის საჭირო სამუშაოები, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ პროცესი მაინც შეჩერდა და პრინციპულ ცვლილებებს ორმხრივ ურთიერთობებში დღემდე ადგილი არ აქვს.

ქვემოთ ვეცდებით ავხსნათ, თუ რა მოვლენები უსწრებდა წინ მოლაპარაკებების დაწყებას თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის, რას გულისხმობდა, „ციურიხის პროტოკოლები“ და „საგზაო რუკა“ და რატომ წარიმართა პროცესები ისე,

როგორც წარიმართა.

ახალი რაუნდის დაწყების მცდელობა: თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე დიალოგი „საფეხბურთო დიპლომატიის“ ფარგლებში 2008 წლის შემოდგომიდან კიდევ ერთხელ გააქტიურდა. თუმცა, მსგავს მცდელობებს, რა თქმა უნდა, მანამდეც ქონდა ადგილი ორივე მხარის მხრიდან და გარკვეული საფუძვლებიც იყო შემზადებული.

ჯერ კიდევ 2007 წლის 22 აპრილს თურქეთის საგარეო უწყებამ გააკეთა ოფიციალური, მაგრამ მოკლე განაცხადი, რომ შვეიცარიის შუამავლობით მიღწეულია შეთანხმება „საგზაო რუკის“ მომზადების შესახებ (Turkey, Armenia agree to diplomatic „road map“, 2007). ამის შემდეგ პირველი ნაბიჯი თურქეთისა და სომხეთის მხრიდან ნაცვალგების საფუძველზე დიპლომატიების მოვლინება უნდა ყოფილიყო თბილისში. მეორე დიდ ნაბიჯად კი ანკარასა და ერევანში დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნის უზრუნველყოფა მოიაზრებოდა.

მანამდე კი სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა მის თურქ კოლეგას აბდულაჰ გულის შეთავაზება გაუკეთა და მიიწვია თავის ქვეყანაში პირისპირ მოლაპარაკებებისათვის და ასევე, სომხეთისა და თურქეთის საფეხბურთო გუნდების მატჩზე დასასწრებად. მატჩი შედგა 2008 6 სექტემბერს. თამაში თურქეთის საფეხბურთო გუნდის გამარჯვებით 2:0 დასრულდა (სომხეთისა და თურქეთის საფეხბურთო-პოლიტიკური მატჩი. ის ფაქტი, რომ მატჩი შედგა, უმნიშვნელოვანესი იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირებისათვის. ამ ფაქტმა უდიდესი მოლოდინი გააჩნა, რომ პროცესები დაჩქარებული წესით მივიდოდა საზღვრების გახსნასა და ეკონომიკური ურთიერთობების დაწყებამდე. თურქეთის პრეზიდენტს მატჩის დასრულების შემდეგ უთქვამს კიდევ: „ზოგჯერ პატარა შემთხვევებს დიდ მოვლენებამდე მივყავართ" (სომხეთისა და თურქეთის საფეხბურთო-პოლიტიკური მატჩი, Turkey, Armenia agree to diplomatic „road map“, 2007).

საფეხბურთო გუნდების შეხვედრას შედეგად მოჰყვა სპეციალური ოქმების შედგენა სამუშაო ჯგუფების მიერ. 2009 წლის 10 ოქტომბერს კი ქალაქ ციურიხში სომხეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების _ ედუარდ ნალბანდიანისა და აჰმეთ დავუთოღლუს _ მიერ ხელი მოეწერა ზემოთაღნიშნულ ოქმებს/პროტოკოლებს (DIPLOMATIC HISTORY: THE TURKEY-ARMENIA PROTOCOLS, 2012). ამ ოქმების რატიფიცირებას ორივე ქვეყნის პარლამენტში უნდა მოჰყოლოდა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და საზღვრის გახსნა. ციურიხის პროტოკოლების ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდა აშშ-ის სახელმწიფო

მდივანი, რუსეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანი, რაც იმის დასტური იყო, რომ დიდი იყო ამ პროცესით დაინტერესება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. მოლაპარაკების პირობების მიხედვით, პროტოკოლების რატიფიცირებიდან ორი თვის ვადაში უნდა გახსნილიყო საზღვარი.

უკვე 2009 წლის დასაწყისისათვის მომზადებული იყო ე.წ. „საგზაო რუკა“, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების დარეგულირების კონკრეტულ გეგმას წარმოადგენდა:

1) სომხეთს უნდა ეღიარებინა 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრის ურღვევობა ორ ქვეყანას შორის;

2) უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი დოკუმენტი, რომლის ძალითაც გაიხსნებოდა საზღვარი ორ ქვეყანას შორის.

3) უნდა გახსნილიყო საელჩოები ორივე ქვეყნის დედაქალაქებში;

4) ორივე ქვეყნის პარლამენტს უნდა მოეხდინა ხელშეკრულებების რატიფიცირება;

5) უნდა შექმნილიყო ნეიტრალური/საერთაშორისო კომისია, რომელიც 1915 წლის მოვლენებს შეისწავლიდა და ყველა მხარე ამ დასკვნებს გაიზიარებდა (Protocol on Development of Relations between the Republic of Turkey and the Republic of Armenia, 2009).

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ ნალბანდიანი იმედს გამოთქვამდა და ჟურნალისტებთან ინტერვიუებში აცხადებდა, რომ ციურიხში მიღებული პროტოკოლები „გახსნიდა დაკეტილ კარებებს, რომელიც დიდი ხანია დაკეტილია.“

მაგრამ, საქმე ისაა, რომ ორივე ქვეყნის პარლამენტში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ პროტოკოლების დამტკიცებას იმ მიზეზით, რომ ამ დოკუმენტების შინაარსი შესაბამისობაში არ მოდიოდა მათ ეროვნულ ინტერესებთან (Champion&Rich, 2008). სომეხი პოლიტიკოსები მოუწოდებდნენ თურქეთს, პირველს გადაედგა ეს ნაბიჯი და მოეხდინა პროტოკოლების რატიფიცირება. მსგავსი განცხადებები ისმოდა სომხეთის

პარლამენტშიც. მაგალითად, ედუარდ შარმაზანოვი (*Sharmazanov:2010*), სომხეთის პარლამენტის წევრი და რესპუბლიკური პარტიის პრეს-სპიკერიც ყველა მის გამოსვლაში მკაცრად მოითხოვდა, რომ თურქეთს გადაეღვა ჯერ ეს ნაბიჯი და აღნიშნავდა, რომ ლოგიკური იქნება, თურქეთმა პირველმა მოახდინოს პროტოკოლების რატიფიცირება, ვინაიდან მან ჩაკეტა საზღვარი. სომეხი დეპუტატები პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თურქულ მხარეს აკისრებდნენ. პარლამენტის სპიკერმა ჰოვიკ აბრამიანმა მის მიერ გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ თურქეთმა ხელშეკრულების რატიფიცირების გზაზე პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას: „თუკი თურქეთის პარლამენტი ამ დოკუმენტს გონივრულ ვადებში, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე დაამტკიცებს, ჩვენც იგივეს გავაკეთებთ – აღნიშნა მან – თუ არა, ჩვენი რეაქციაც ადეკვატური იქნება“ (*Grigoryan, 2010*).

შესაბამისი მოწოდებები ისმოდა ანკარიდანაც სომეხი დეპუტატების მისამართით, რასაც მოჰყვა ურთიერთბრალდებების მთელი სერია (*Grigoryan, 2010*).

იმის გამო, რომ 1993 წელს საზღვარი ორ ქვეყანას შორის აზერბაიჯანის გამო ჩაიკეტა, მთელი ამ დროის განმავლობაში ამ ქვეყნის პოზიციასა და ილჰამ ალიევის მთავრობის რეაქციას თურქეთი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა. მართალია, აჰმეთ დავუთოღლუს უწყებას კარგად ესმოდა, რომ სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა აზერბაიჯანს მინიმუმ მორალურ ზიანს მიაყენებდა, თურქეთი მზად იყო ეს ნაბიჯები გადაეღვა და მის მიერვე გაცხადებული პოლიტიკა

„ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ (*Policy of Zero Problems with our Neighbors, 2009*) რეალობასთან ახლოს მყოფ პოლიტიკურ კურსად ექცია.

უნდა ითქვას, რომ თურქეთის დიპლომატიურ უწყებას ჯერ კიდევ თავის დროზე რომ თურქეთისა და სომხეთის ურთიერთობებისათვის კომპლექსურად შეეხედა, არ გადადგამდა იმ მკვეთრ ნაბიჯებს, რომლებიც გადადგა. ყარაბაღში კონფლიქტის დაწყებით აზერბაიჯანი თვლიდა, რომ მისი, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა და იქ მცხოვრები

აზერბაიჯანელების უფლებები შეილახა და ამიტომაც დიდი მადლიერებით შეხვდა თურქეთის მიერ გაკეთებულ ჟესტს, დაეხურა საზღვარი და შეეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობები სომხეთთან. მართალია, თურქეთის მხრიდან ასეთი საქციელი იყო მხარდაჭერის გამოვლენა, მაგრამ, ამავე დროს ეს იყო ზედმეტად ემოციური გადაწყვეტილება, რომელიც საერთოდ არ სჭირდებოდა არცერთ მხარეს. ამ ნაბიჯს არ მოუტანია სარგებელი არცერთი მხარისათვის. პირიქით, შეაფერხა თანამშრომლობა და შეზღუდა დიალოგის შესაძლებლობაც კი. ვფიქრობთ, თურქეთს სხვა ფორმით უნდა გამოეხატა თანადგომა აზერბაიჯანისადმი და არა დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტით. ეს იყო ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება თურქეთის მხრიდან. არადა, თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც აღიარა სომხეთის დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

სომხურ-თურქული ურთიერთობების აღდგენის მცდელობას მოჰყვა განხილვები ანკარაში, ერევანსა და ბაქოში; ანკარაში იგრძნობოდა მოლოდინი, რომ რეგიონული თანამშრომლობა სხვა ფორმატში გადავიდოდა, მაგრამ ამ მოლოდინებმა ბზარი გააჩინა თურქულ-აზერბაიჯანულ უკვე კარგად ჩამოყალიბებულ, მეგობრულ ურთიერთობებში. ბაქო აშკარად უკმაყოფილი იყო ანკარის მხრიდან გადადგმული ნაბიჯებით და პროტესტი ხმამაღლა და ყველა დონეზე გამოითქმებოდა. თურქეთის დათბობის პოლიტიკამ სომხეთთან მიმართებით ორი მონათესავე სახელმწიფოს ურთიერთობები საკმაოდ დააზარალა.

ჟურნალისტი ფატიზ ისმაილზადე წერს: „ორმხრივი ურთიერთობების ეს აშკარა გაცემა ომის ზღვარს მიუახლოვდა, როდესაც ბურსაში თურქეთის და სომხეთის გუნდების საფეხბურთო მატჩზე, რომელიც 14 ოქტომბერს გაიმართა, აიკრძალა აზერბაიჯანული დროშების გამოყენება, ხოლო აზერბაიჯანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ეთერში ის ჩანაწერები გაუშვეს, სადაც თურქეთის პოლიციის ოფიცრებმა აზერბაიჯანული დროშები ჯერ დახიეს, ხოლო შემდეგ ისინი სანაგვე ყუთში გადაყარეს. გარდა ამისა, აზერბაიჯანის საზოგადოება იმ ცნობამ აღაშფოთა, რომ სომხეთის პრეზიდენტი სერჟ

სარქსიანი მატჩის დროს თბილად გადაეხვია პრეზიდენტ გულს და მის მეუღლეს. როგორც იუწყებიან, პრეზიდენტ გულის მეუღლემ სარქსიანს სადილიც მოუმზადა, თავად გულიმ კი სომეხ კოლეგას საკუთარი საძინებელი დაუთმო“ (Ismailzade, 2009). ჟურნალისტი შემფოთებული აგრძელებს, რომ „მთელ ამ ინფორმაციას ბაქოში ანტი-თურქული განწყობების აფეთქება მოჰყვა. თურქეთმა, რომელიც ტრადიციულად მოკავშირე, მოძმე სახელმწიფო და ბოლო იმედი იყო, ახლა ბაქოს ნდობა დაკარგა. ანკარას, როგორც ჩანს, კიდევ ერთი მეგობრულად განწყობილი მეზობლის შეშინების მცდელობის დროს ზედმეტი მოუვიდა და აზერბაიჯანთან მისი სტრატეგიული ურთიერთობები ფაქტობრივად დაანგრია“ (Ismailzade, 2009).

ანკარა ცდილობდა, როგორმე დაებალანსებინა ბაქოდან წამოსული მინიშნებები, რომ სომხეთთან ურთიერთობების დარეგულირება ურთიერთობებს გააფუჭებდა აზერბაიჯანთან. ბაქოში დაიწყო საუბარი, რომ თუ ანკარა გაწირავდა მოძმე ერს, გადაიხედებოდა თურქეთისათვის შეღავათიან ფასებში ენერგორესურსების მიწოდების საკითხი და არა მხოლოდ ეს. მართლაც, 16 ოქტომბერს პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა, რომ აზერბაიჯანი ამიერიდან მისი ბუნებრივი გაზის ექსპორტის ალტერნატიულ ვარიანტებს განიხილავს, რადგან თურქულ-აზერბაიჯანულ მოლაპარაკებებს ცისფერი საწვავის ტრანზიტზე კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია. მან თურქეთი იმაში დაადანაშაულა, რომ ის აბრკოლებს შეთანხმებების მიღწევას და აზერბაიჯანულ მხარეს გაზისთვის მიუღებლად დაბალ ფასებს სთავაზობს. მან ასევე გაიხსენა, რომ ბოლო დრომდე აზერბაიჯანი თურქეთზე ბუნებრივ გაზს მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასთან შედარებით 30%-ით იაფად ყიდდა. გარდა ამისა, ილჰამ ალიევმა რუსეთი, ირანი და შავი ზღვა ახსენა, როგორც აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტები. უცნაური დამთხვევაა, მაგრამ იმავე კვირას ბაქოში „გაზპრომმა“ და აზერბაიჯანულმა სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთში 500 მილიონი კუბამეტრი გაზის ექსპორტზე ისეთ ფასად, რომელსაც ილჰამ ალიევმა

„ურთიერთსასარგებლო“ უწოდა (Ismailzade, 2009).

ერევანში კი პრაგმატულად აფასებდნენ ახალ შესაძლებლობას და განიხილავდნენ, თუ რაოდენ დიდი სარგებელის მოტანა შეეძლო საზღვრის გახსნას ქვეყნისათვის. სომხეთისათვის ეს ურთიერთობები და ახალი შესაძლებლობების გახსნა მეზობელ სახელმწიფოებთან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს არის ქვეყანა, რომელსაც ძალიან შეზღუდული და ჩაკეტილი აქვს მოქმედების არეალი მის გარშემო. თურქეთთან ურთიერთობების აღდგენა კი დიდ შესაძლებლობებს გაუხსნიდა მას. ერევანში ისმოდა განცხადებები, რომ უკვე 2009 წლის 14 ოქტომბრიდან, მას შემდეგ რაც ორი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებებს შორის მეორე მატჩი გაიმართებოდა თურქეთის ქალაქ ბურსაში, ჩარტერული რეისები შესრულდებოდა ტრაპზონის მიმართულებით.

მოსკოვში თავდაპირველად არ კეთდებოდა განცხადებები ამ საკითხის ირგვლივ. გაცილებით მოგვიანებით დაიწყო შეფასებების გაკეთება; რუსეთმა ტრადიციული პოლიტიკური ჟესტი გააკეთა და მიესალმა მეზობელ ქვეყნებს შორის შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენის მცდელობას (Lavrov: 2009).

თურქული და სომხური მხარეები მოლაპარაკებების დასაწყისისათვის ვარაუდობდნენ, რომ აზერბაიჯანის პოზიცია ვერ იქონიებდა გადამწყვეტ მნიშვნელობას პროცესებზე. თურქი პოლიტიკოსები აცხადებდნენ, რომ ეს საკითხი პოლიტიკური დიალოგის დონეზე უნდა გადაწყვეტილიყო და მხოლოდ ორ ქვეყანას შორის. მაგრამ, საბოლოო ჯამში გამოვიდა, რომ როგორც აზერბაიჯანის პოლიტიკური ელიტის, ასევე, აზერბაიჯანული დიასპორის აქტივობამაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ პროცესის შეჩერებაში და მალევე გამოიკვეთა, რომ ბაქოსთან კონსულტაციების გარეშე შეუძლებელი იყო პროცესის წარმოება. შესაბამისად, დაიწყო ბაქოსთან პარალელურ რეჟიმში დიალოგი. ანკარიდან დელეგაციები უწყვეტ რეჟიმში მიემართებოდა ბაქოსაკენ და ცდილობდნენ მის დაშოშმინებასა და დარწმუნებას, რომ ამ ურთიერთობების აღდგენა არავითარ უარყოფით გავლენას არ იქონიებდა აზერბაიჯანი-თურქეთის ურთიერთობებზე და ვერ შეამცირებდა აზერბაიჯანის

მნიშვნელობას ანკარისათვის.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მთელ ამ პროცესებში – რუსეთის ინტერესები. ოფიციალურ დონეზე რუსეთის პრეზიდენტის განცხადებებით დაწყებული, რუსეთის დუმისა თუ სხვა პოლიტიკოსების განცხადებებით დამთავრებული, ყველა, მხოლოდ და მხოლოდ მიესალმებოდა მშვიდობის დამყარების მცდელობას რეგიონში და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზებას. მაგრამ, თუ ფაქტებითა და რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯების ანალიზით ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ რუსეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და რუსული ნაციონალური იდეის საკვებად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახლო სამეზობლოს კონტროლი.

რუსულმა პრესამ და სამეცნიერო საზოგადოებამ უკვე ფართოდ დაიწყო „საგზაო რუკის“ და თურქულ-სომხური დიალოგის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, ერთ-ერთი რუსი პოლიტოლოგის, ივან სუხოვის კომენტარი კარგად გადმოსცემს რუსული მიდგომის არსს ამ პროცესებისადმი. მან თქვა, რომ თუ რუსეთი „საგზაო რუკის“ რეალიზებას დაუშვებდა, ეს ნიშნავდა რუსეთი წასვლას კავკასიიდან. რუსეთი კი კავკასიიდან წასვლას არ აპირებს და მითუმტეს, მისივე ნებით (IVAN SUKHOV, 2009).

აშშ და ევროკავშირი ღიად გამოხატავდა თანადგომას მხარეებისადმი და მიესალმებოდნენ ორი ქვეყნის მცდელობას, აღედგინათ დიდი ხნის წინ შეწყვეტილი ურთიერთობები ყველა დონეზე. ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილში აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სტამბოლში ყოფნისას გამოთქვა იმედი, რომ აღდგებოდა შეწყვეტილი ურთიერთობები.

2008 წლის 21 აპრილს პრადაში მყოფმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი ბაბაჯანმა განაცხადა, რომ: „დღეის მდგომარეობით ამ პროცესში ჩვენ საკმაოდ წინ წავიწიეთ. თუმცა, სამხრეთ კავკასიაში არსებობს სხვა პრობლემებიც, როგორცაა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემა და მთიანი ყარაბაღის პრობლემა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის“ (Timeline: 2008-

2009). თურქმა მინისტრმა წერილიც კი გააგზავნა ერევანში, სადაც ნათქვამი იყო, რომ თურქეთი დაინტერესებულია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზებით,

„თურქეთს სურს მშვიდობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება და თანამშრომლობა რეგიონში. მართალია, ჩვენ გვაქვს პრობლემები, მაგრამ ამ პრობლემების აღმოფხვრის ერთადერთი გზა დიალოგია“ (*Timeline: 2008-2009*). წერილები გაიცვალა პრემიერ-მინისტრების დონეზეც და გამოთქმული იყო მზაობა, ნებისმიერ თემაზე დიალოგისათვის.

როცა 2008 წლის 5 ივლისს სომხეთის პრეზიდენტმა ოფიციალურად მიიწვია თურქეთის პრეზიდენტი ორი ქვეყნის ნაკრებებს შორის მატჩზე დასასწრებად ერევანში და ანკარამ დაადასტურა მზაობა, რომ პრეზიდენტი ესტუმრებოდა სომხეთს, თურქეთის საგარეო უწყებამ მაშინ რამდენიმე განცხადება გააკეთა, სადაც ხაზს უსვამდნენ, რომ არ არსებობს პრობლემა, რომლის მოგვარებაც არ შეიძლება და რომ სომეხი და თურქი დიპლომატები არ შეწყვეტენ მცდელობებს მათ მოსაგვარებლად.

ამ პერიოდისათვის თურქეთის ხელისუფლება სავარაუდოდ არ ელოდა, რომ რუსული სამხედრო ინტერვენცია განხორციელდებოდა საქართველოში. მოვლენების მსვლელობამ სხვა მიმართულება მიიღო, ვიდრე ამას მხარეები მოელოდნენ. ამ ომმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, როგორც თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, ასევე, თურქეთის ინიციატივით ყარაბაღის საკითხის დარეგულირების მცდელობაც და სომხეთთან პირდაპირი დილოგის შესაძლებლობაც.

თურქი ლიდერის მოსკოვურმა და კავკასიურმა ტურნემ ნათელი გახადა თურქეთისათვის, რომ არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც თურქეთი ისურვებდა ყოფილიყო: საქართველოში სამხედრო ინტერვენცია არა მხოლოდ საქართველოსათვის „ჭკუის სწავლებას“ ისახავდა მიზნად და უხეზად მითითებას, რომ დასვლეთისაკენ არ უნდა ევლო, არამედ, ის იყო გზავნილი სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებისთვისაც, რომ რუსეთი არ შეეგუებოდა მისი გავლენის რეგიონებში ადგილი ქონოდა რუსეთისათვის არასასურველ

ქმედებას.

მიუხედავად ამისა, თურქულმა დიპლომატიურმა უწყებამ დაჟინებით გააგრძელა დაწყებული საქმე; სამხრეთ კავკასიაში შექმნილი კრიზისი მისთვის აღიქმებოდა, როგორც შესაძლებლობა, შემოსულიყო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მეტი აქტივობით და დაერეგულირებინა შეწყვეტილი ურთიერთობები სომხეთთან. რუსეთისათვის კი სამხრეთ კავკასიური კრიზისი იყო მართული კრიზისი, რათა არა მხოლოდ თურქეთისათვის, არამედ მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, რომ მის საზღვრებთან ნებისმიერ მიახლოებას იგი აგრესიული ნაბიჯებით უპასუხებდა.

რა პროცესები მიდიოდა ამ დროს საქართველოში? საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობდა აქტიური კამპანია, რომ საქართველოს სურდა ნატო-ში გაწევრიანება. ამას თან ერთვის ნატო-სა და აშშ-ის მაღალჩინოსანთა განცხადებებიც, რომ საქართველო ერთ დღეს მართლაც გახდება ნატო-ს წევრი. სულ ბოლო განცხადება, რაც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა (ნორვეგიელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი 2000-2001 და 2005-2013 წლებში ნატო-ს გენერალური მდივანი 2014 წლის 1 ოქტომბრიდან) გააკეთა იყო 2018 წლის 12 ივლისს, როცა აღნიშნა, რომ: „ჩვენ მაღლობელი ვართ საქართველოს კონტრიბუციისთვის მისიაში „მტკიცე მხარდაჭერა“ ავღანეთში და ჩვენ ვაფასებთ ქართველი ხალხის მსხვერპლს, რომელიც მან ჩვენი ერთიანი უსაფრთხოებისთვის გაიღო. საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. ალიანსის წევრებმა ჯერ კიდევ გუშინ დაადასტურეს ეს და ჩვენ განვაგრძობთ თქვენთან ერთად წევრობისთვის მზადებას. ჩვენთვის ძალზე შთამბეჭდავია თქვენი პროგრესი რეფორმებში და ეს რეფორმები უნდა გაგრძელდეს“ (სტოლტენბერგი: 2016). იგივე განაცხადა 2017 წელს საქართველოში მყოფმა აშშ ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა/ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი 2017 წლიდან: „მტკიცედ ვუჭერთ მხარს, საქართველოს მისწრაფებას NATO-ს წევრობისადმი. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობას, რათა გავაძლიეროთ საქართველოს NATO-

სთან დაახლოება, რომ საქართველო ერთ დღეს მისი წევრი გახდეს. ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ საქართველოს პროგრესს არა მხოლოდ ბოლო 25, არამედ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. რაც შეეხება რუსეთის აგრესიას, ამ წუთში ჩვენ აქ ვდგავართ და რუსეთის ტანკები განლაგებულია დაახლოებით 40 კილომეტრის დაშორებით. აშშ-ი გააგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერას, გავაგრძელებთ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს განმტკიცებას საქართველოში და ვეცდებით, რომ ძალღონე არ დავიშუროთ, რათა მივაღწიოთ კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“ (აშშ მხარს უჭერს საქართველოს NATO-ში გაწევრიანებას – მაიკ პენსი, 2017). თურქმა მინისტრმა, მევლუთ ჩავუშოღლუმაც/თურქი პოლიტიკოსი, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი – 2018 წლის აპრილში ნატო-ს გენერალურ მდივანთან ერთად გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ თურქეთი მხარს დაუჭერდა საქართველოს გაწევრიანებას ნატო-ში და დაეხმარებოდა მას სამხედრო გადამზადებასა და გაწევრიანების სამოქმედო გეგმის შესრულებაში:

„თურქეთი ელოდება, რომ სამიტზე (გულისხმება 2018 წლის 11-12 ივლისის ნატო-ს სამიტი) NATO-ს ლიდერები მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებენ ასპირანტი ქვეყნების და მათ შორის საქართველოს ალიანსთან დაახლოების კუთხით. თურქეთი მხარს უჭერს მაკედონიის, ბოსნია და ჰერცეგოვინასა და საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას“ (თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი-თურქეთს სურს, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანდეს, 2018).

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ეს პროცესები მიუღებელი ჩანდა რუსეთისათვის; კრემლიდან არაერთხელ გაკეთდა განცხადება, რომ ნატო-ს ნებისმიერ მცდელობას, მიუახლოვდეს რუსეთის საზღვრებს, რუსეთი შესაბამისი ნაბიჯებით უპასუხებს. „ჩვენ ყოველთვის ვაფრთხილებდით მათ, რომ ალიანსის აღმოსავლეთისაკენ უსასრულოდ გაფართოებას ადეკვატურ პასუხს გავცემდით. უნდა იცოდეთ – თუკი ნატო-ს სამხედრო

ინფრასტრუქტურა რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდება, ბუნებრივია, ჩვენ შესაბამის სამხედრო-ტექნიკურ ზომებს მივიღებთ“ (ლავროვი: ნატოს მოახლოებას რუსეთის საზღვრებთან პასუხს გავცემთ, 2008) – თქვა სერგეი ლავროვმა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატო-ს მისია ერთი შეხედვით შესრულებული ჩანდა და თითქოს უნდა შეჩერებულიყო მისი აქტივობა რუსეთის საზღვართან. მაგრამ, ასე არ მოხდა. რა მიზნები აქვს ნატო-ს, როცა აგრძელებს აქტივობას სამხრეთ კავკასიის მისადგომებთან. ამ კითხვებზე პასუხი ცალსახაა: აშშ ნატო-ს ეგიდით ცდილობს გააკონტროლოს ენერგორესურსებით მდიდარი ცენტრალური აზია და ამ რესურსების გამტარი სამხრეთ კავკასია. თურქეთი ამ გზაზე ძალიან საინტერესო რგოლია აშშ-თვის და სანდო პარტნიორი, მიუხედავ იმისა, რომ არაერთხელ დაიძაბა მათ შორის ურთიერთობები.

დავუბრუნდეთ პროტოკოლების საკითხს: მთელი რიგი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, უკვე 2009 წლის 15 ოქტომბრის დადგომამდე ნათელი გახდა, რომ სომხეთის პრეზიდენტი ერთი წლის წინ მიღებულ მიწვევას გამოტოვებდა და არ დაესწრობოდა დაგეგმილ მატჩს თურქეთში (2008 წლის 6 სექტემბერს თურქეთის პრეზიდენტი აბდულაჰ გული დაესწრო საფეხბურთო ნაკრებების თამაშს სომხეთში). მოლაპარაკებების პროცესი ჩავარდა. სომხური პრესა ამ დროს წერდა, რომ თურქულ-სომხური „საფეხბურთო დიპლომატია“ მივიდა თავის ლოგიკურ დასასრულამდე.

მოგვიანებით სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ ნალბანდიანმა, მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზებზე საუბრისას ისიც თქვა, რომ მოლაპარაკებების დაწყებისას სომხეთი მზად იყო ყოველგვარი წინაპირობების გარეშე წასულიყო შეთანხმებაზე, თუმცა, არ დააკონკრეტა, რომელი წინაპირობების არ დაყენებას გეგმავდა სომხეთი და დაამატა, რომ დიპლომატია საუკეთესო ინსტრუმენტია შერიგებისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისაგან თავის არიდებისათვის (Nalbandyan: 2008).

მაგრამ, ამ შემთხვევაში, პროცესების ამგვარად განვითარება აჩვენებს, რომ

დიპლომატია ვერ აღმოჩნდა კარგი საშუალება რეგიონული საკითხების გადასაწყვეტად. ამ პროცესების წარმატებლობის მიზეზები, როგორც გარედან მომავალი, ასევე, მხარეებს შორის არსებული, შიდა წინააღმდეგობები იყო. გარედან მომავალ საფრთხეებში იგულისხმება რუსეთის აქტივობები და ინტერესები: რუსულმა სამხედრო და პოლიტიკურმა ჟესტებმა ჩიხში შეიყვანა დიალოგი, რომლის წარმატებით დასრულება არ შედიოდა მის ინტერესებში. რუსეთის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა არათუ კონტროლის შესუსტებას, არამედ კიდევ უფრო მეტი გავლენის მოპოვებას გულისხმობს რეგიონის სახელმწიფოებზე: სომხეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს ეს წარმატებით გამოსდის; საქართველოს შემთხვევაში დასავლური კურსიდან აცდენის მისეული მეთოდები, ასევე, ძალისმიერი მეთოდები, ჯერ-ჯერობით კარგად მუშაობს. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ფაქტია, რომ საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთ- აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების მეტი დათბობა შეინიშნება. უფრო სწორად, აზერბაიჯანი მაინცადამაინც დიდ ინტერესს არ იჩენს დაუახლოვდეს ევროპას. აზერბაიჯანული პოლიტიკა უფრო მეტად ლავირების პოლიტიკას გავს.

ციურიხის პროტოკოლების საკითხი კვალავ გააქტიურდა 2011 წლისათვის, მას შემდეგ, რაც აშშ-მა ორივე მხარეს მოუწოდა ბოლომდე მიეყვანათ დაწყებული საქმე და პატივი ეცათ სამშვიდობო პროცესისათვის. ამ განცხადებიდან მალევე ორივე ქვეყნის პარლამენტში მართლაც დაბრუნდა პროტოკოლები ხელახალი განხილვისათვის; 2011 წლის 22 აგვისტოს თურქეთის ახლადმოწვეულმა დიდმა ეროვნულმა კრებამ პროტოკოლები მოხსნა დღის წესრიგიდან. თუმცა, 23 სექტემბერს კვლავ პარლამენტში დააბრუნა, მაგრამ არ დაუმტკიცებია. 2011 წლის 13 სექტემბერს კი ერევანში დეპუტატთა ნაწილმა თხოვნით მიმართა პარლამენტის სპიკერს, რომ პროტოკოლები ეროვნული საბჭოდან გაეწვია (Armenian President recalls Armenian- Turkish Protocols from the National Assembly, 2015).

თურქეთ-სომხეთი ურთიერთობების დარგულირების საკითხი უკვე ჩიხში იყო შესული. ორივე მხარიდან გაისმოდა ბრალდებები და დამატებითი

პირობების შესრულების მოთხოვნა. არადა, მხარეები ნულოვან პირობებზე იყვნენ მორიგებულები. არცერთ მხარეს არ უნდა გაეჭიანურებინა პროტოკოლების რატიფიცირება და დაწყებული პროცესი. მთიანი ყარაბაღისა და სომხების გენოციდის თემების წინა პლანზე წამოწევამ საბოლოოდ მოხსნა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობა და გააბათილა იმ ხანგრძლივი და მძიმე მოლაპარაკებების შედეგები, რაც სამივე ქვეყნის – თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის – საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის რეგულარულად მიმდინარეობდა აშშ-ში, ნიუ-იორკში.

2013 წელს შვეიცარიაში მყოფმა თურქეთის საგარეო მინისტრმა აჰმეთ დავუთოღლუმ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა: „ჩვენ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მაგრამ, ამ ნორმალიზების გრძელვადიანობისათვის აზერბაიჯანის მიწების ოკუპაციას ბოლო უნდა მოეღოს“ (Davudoglu, 2018).

ამ რიტორიკით, ბუნებრივია, ურთიერთობები ვერ დათბებოდა. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც მინისტრი თავად იყო „ნულოვანი“ პირობების ავტორი და ინიციატორი. ამას თან დაერთო სომეხთა გენოციდის აღიარების მოთხოვნები ევროპის ქვეყნებისაგან. ევროპარლამენტი ჯერ კიდევ „საფეხბურთო დიპლომატიის“ დაწყებამდე, მისი არაერთი რეზოლუციის საუბველზე ითხოვდა თურქეთისაგან თვალი გაესწორებინა წარსულისათვის და ეღიარებინა ეს ფაქტი. თურქულ-სომხური ურთიერთობების ჩიხში შესვლის შემდეგ კი ევროპის ცალკეული ქვეყნის პარლამენტებმა დაიწყეს გენოციდის ფაქტის აღიარება (სომეხთა გენოციდი აღიარეს საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ, ბელგიამ, შვედეთმა, ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ, რუსეთმა, პოლონეთმა, ლიეტუვამ, საბერძნეთმა, კვიპროსმა, სლოვაკეთმა, არგენტინამ, ვენესუელამ, კანადამ, ვატიკანმა და სხვებმა). სხვათაშორის, თავად თურქეთშიც 2008 წელს სტუდენტების ინიციატივით დაიწყო კამპანია „მე ბოდიშს ვიხდი“ (ინტერნეტში გერმანულად გამოქვეყნებული ტექსტი შემდეგია: „მე ჩემს სინდისთან ვერ შევათანხმებ, რომ უარყოფილი იქნეს ის კატასტროფა, რომელიც სომეხებმა ოსმალეთის იმპერიაში 1915 წელს გადაიტანეს ან მას

დუმილის კაეშანი გადაეფაროს. მე უარს ვამბობ ამ არასამართლიან ქმედებაზე და ვიზიარებ ჩემი სომეხი დებისა და ძმების ტკივილსა და განცდებს და მათ ბოდიშს ვუხდი“ (Ozurdiliyorus, 2018). ამ მოძრაობამ დაახლოებით 30 000 ხელმოწერაც მოაგროვა, თუმცა, საქმე მხოლოდ აღიარებასა და ბოდიშის მოხდას როდი ეხება, საქმე ეხება სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს და კომპენსაციას, რომელიც, სომხური მხარის დათვლით, საკმაოდ სოლიდური თანხებია. სომხეთის მცდელობამ, მიაღწიოს გენოციდის საერთაშორისო აღიარებას, თურქეთისათვის მის მიერ საზღვრის აღიარების საკითხს დამატებითი მნიშვნელობა შესძინა. გენოციდის აღიარების კამპანიის ფარგლებში, რომლის შემადგენელი დევიზიცაა „I remember, I demand“ (მახსოვს, მოვითხოვ), ლაპარაკი იყო რეპარაციისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ კომპენსაციაზეც (სამმაგი ბლოკადა, 2018). ანუ სომხურ-თურქულ-აზერბაიჯანული სამკუთხედი იმდენად გადაჯაჭვულია პრობლემებით, ძალიან რთული იქნება ამ პრობლემებიდან გამოსვლა.

უკვე 2018 წლიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ სომხეთმა გადაწყვიტა, ცალმხრივად გააუქმოს პროტოკოლები. პრეზიდენტმა სერჯ სარქისიანმა ჯერ კიდევ 2015 წელს გამოითხოვა ეს დოკუმენტი საბოლოოდ გაუქმებისათვის (Shiriyev, 2013). 2018 წლის მარტში სომხეთის პრეზიდენტის აპარატმა გაავრცელა ცნობა, რომ დეტალებს მოგვიანებით გამოაქვეყნებენ (When will Armenian-Turkish protocols be canceled? 2018).

„საფეხბურთო დიპლომატიის“ ეს რაუნდი წარუმატებელი რამდენიმე მიზეზის გამო აღმოჩნდა.

ა) მხარეებმა აქცენტი არ გააკეთეს მხოლოდ ორ ქვეყანას შორის საზღვრის გახსნის თემატიკაზე, როგორც ეს თავიდან იყო დაგეგმილი.

ბ) ორივე ქვეყნის წარმომადგენლის მხრიდან ისმოდა განცხადებები, რომ მთიანი ყარაბაღის საკითხში მეორე მხარე დათმობაზე უნდა წასულიყო. მსგავსი შინაარსის ორმხრივი ბრალდებები ძალიან უარყოფითად მოქმედებდა მოლაპარაკებებზე.

გ) სომეხთა გენოციდის თემა: მიუხედავად იმისა, რომ „ციურიხის

პროტოკოლების“ მიხედვით უნდა შექმნილიყო საერთაშორისო ნეიტრალური კომისია, რომლის დასკვნასაც ორივე ქვეყანა გაიზიარებდა, ორივე მხარის წარმომადგენლები აკეთებდნენ კომენტარებს, რომ ისტორიული სიმართლე მათ მხარესაა. უნდობლობის დემონსტრირება ეჭვებს აჩენდა, რომ თითოეული მხარე ეცდებოდა, გავლენა მოეხდინა ნეიტრალურ კომისიაზე.

დ) აზერბაიჯანის ფაქტორი: აზერბაიჯანისათვის ძალიან მტკივნეული იყო იმის ყურება, თუ როგორ ცდილობდა თურქეთი ურთიერთობების აწყობას მის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა, რომლის გამოც თავის დროზე სახელმწიფო საზღვარიც კი ჩაკეტა. ამასთან, აზერბაიჯანში გაჩნდა განწყობა, რომ მთიანი ყარაბაღის თემის გადაწყვეტის საკითხში თურქეთს შესაძლოა სომხეთის მხარე დაეკავებინა. უარყოფითი განწყობები და აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებები მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ თუ სამხრეთ კავკასიის ერთ სახელმწიფოსთან თურქეთი დაარეგულირებდა ურთიერთობებს, მეორე სახელმწიფოსთან შესაძლოა ეს ურთიერთობები დიდი ხნით გაფუჭებულიყო. თურქეთისათვის ეს დიდი რისკების შემცდველი იყო მთელი რიგი მიზეზების გამო და პირველ რიგში, სტრატეგიული ინტერესებისათვის ზიანის არმიყენების მიზნით, თურქეთმა თავი შეიკავა პროტოკოლების რატიფიცირებისგან.

ე) რუსეთის ფაქტორი: სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩაკეტილი საზღვრების გახსნა და ახალი სტრატეგიული კავშირების გაჭრა მის ინტერესებში არ შედის. ამასთან, სომხეთი ის სახელმწიფოა, რომელთანაც რუსეთს უფრო მეტი კავშირები აქვს, ვიდრე მხოლოდ მეზობლობა. სომხეთის გახსნა და ახალი ურთიერთობების წყალობით, მისი ეკონომიკური დაწინაურება რუსეთის ინტერესებში არაა. რუსეთს სურს შეინარჩუნოს სომხეთი, როგორც მასზე დამოკიდებული სახელმწიფო. ამიტომ, აქტიურად იყო ჩართული „საფეხბურთო დიპლომატიის“ პროცესში, რათა ხელი შეეშალა ამ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისათვის.

3.2. თურქეთის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე (2008 წლიდან დღემდე)

თურქეთის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა მუდმივად დამუშავების პროცესშია თურქული დიპლომატიის მესვეურთა და ანალიტიკოსთა მიერ. იმ პროექტებისა თუ შეფასებების ნაწილი, რომელებიც საჯაროა და მკვლევართათვის ხელმისაწვდომი, ბევრ საინტერესო დეტალს ნახავთ. ამ შრომებში იკითხება დიდი მცდელობა იმისა, რომ თურქეთმა მოაგვაროს ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან.

თურქი მკვლევარი მუსტაფა აიდინი თავის შრომებში წერს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ თურქეთს დრო დასჭირდა ახალ რეალობაში ადაპტირებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სამხრეთკავკასიური პოლიტიკის ფორმირება და ე.წ. „დიდ თამაშში“ ჩართვა რუსეთთან, ირანთან და აშშ- თან ერთად. მართალია, თურქეთმა თავდაპირველად სწორება კავკასიაში მცხოვრებ მუსლიმ თემზე აიღო, მაგრამ მალე კავკასიის დანარჩენი მოსახლეობაც მისი ინტერესების არეალში მოექცა. ასევე, გააცნობიერა რა თურქეთმა, რომ მის პან-თურქულ იდეებს განვითარების არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნდა, დაიწყო ურთიერთობის ნორმალიზებაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება და ურთიერთობების განვითარება აზერბაიჯანთან. ამ ქვეყანასთან ეს რთული არ იყო. ასევე, საქართველოსთან და სომხეთთან, რომელთანაც მთიანი ყარაბაღის პრობლემის მიუხედავად, თურქეთს დიდი სურვილი ქონდა ორმხრივი კავშირების გაღრმავების. აქედან მოყოლებული თურქეთი მუდმივად ცდილობს განავითაროს პოლიტიკური კავშირები ანკარასა და რეგიონის ქვეყნების დედაქალაქებს შორის (Aydin, 2002).

თურქეთის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაზე მომუშავე ფაქტიურად ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ეს მიმართულება კრიტიკულად სტრატეგიულია და ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თურქეთის ვროპისაკენ სწრაფვამ არც თუ წარმატებით იმუშავა.

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ თურქეთის რესპუბლიკის დაფუძნების დღიდან (თურქეთის რესპუბლიკა დაფუძნდა 1923 წელს). ყველა მისი პოლიტიკური ლიდერი ღიად აცხადებდა, რომ სამხრეთ კავკასიურ მიმართულებას თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. პირველი ამის შესახებ თავად მუსტაფა ქემალ ათათურქი (Gazi Mustafa Kemal Atatürk _ 1881-1938; თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებელი (1923 წელი) და მისი პირველი პრეზიდენტი) ამბობდა ჯერ კიდევ 1920 წლის 8 თებერვალს საქართველოდან ჩასული დელეგაციის წარმომადგენლებთან: “ჩვენ გვაერთიანებს საქართველოსთან არამც თუ მარტო სიმპათია, არამედ მიზანთა ერთობლიობაც. ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვესაჭიროება ძლიერი აღმოსავლეთი. განსაკუთრებით გვჭირდება ძლიერი კავკასია და კავკასიაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი ერი _ ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი. საქართველომ და თურქეთმა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ კავკასიის სხვა სახელმწიფოებიც გახდნენ თავისუფალნი” (სვანიძე, 2000, გვ., 10.).

თურქი ექსპერტი კერიმ ჰასი, მის ერთ შრომაში საინტერესოდ ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონები, რომლებიც თურქეთმა აღმოაჩინა, იყი კავკასია, ცენტრალურ აზიასთან ერთად თავისი ისტორიული, ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური კავშირებით“ (Xac K. Турция и Азербайджан, 2016).

წარმოშობით სომეხი ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში გაიანე ნოვიკოვა თურქეთის კავკასიურ პოლიტიკას, განსაკუთრებით „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ (AKP) ხელისუფლების სათავეში მოსვლის პერიოდიდან შემდეგ მიზნებზე ორიენტირებულად ახასიათებს:

- გამონახოს ბალანსი სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და პიროვნულ თავისუფლებას შორის;
- იმუშაოს პრობლემების მოგვარებაზე მეზობელ სახელმწიფოებთან;
- კრიზისების თავიდან აცილების მიზნით გაატაროს პროაქტიური

დიპლომატიური კურსი;

– თითოეულ სახელმწიფოსთან გატარებული პოლიტიკა იყოს თანმიმდევრული;

– გაზარდოს თავისი აქტივობები საერთაშორისო ორგანიზაციებში;

– იმუშაოს და განავითაროს თურქეთის სახელმწიფოს ახალი იმიჯი, როგორც მსოფლიო აქტორის (Novikova, 2010, pp. 134.);

ეს მკვლევარი თურქეთს დინამიურად მზარდ ძალად მოიხსენიებს ევრაზიის კონტინენტზე და ამბობს, რომ განსაკუთრებით 2002 წლიდან თურქეთი პრაგმატულ საგარეო პოლიტიკურ კურსს ატარებს რუსეთთან და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან მიმართებით. მაგრამ, ამ რეგიონს მაინც მეორე ხარისხოვან რეგიონად ახასიათებს თურქეთის საგარეო პოლიტიკაში და ამბობს, რომ ეს რეგიონი თურქეთისათვის პრიორიტეტული გახდება მას შემდეგ, რაც აღმოიფხვრება თურქეთის პრობლემები აშშ-თან და ევროკავშირთან (Novikova, 2010, pp. 134.); გაიანე ნოვიკოვას თქმით, თურქეთი არაა დომინანტი ძალა სამხრეთ კავკასიაში: „მისი სტრატეგიული ინტერესები და პრეტენზიები რეგიონული ძალაუფლების როლს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება. სამხრეთ კავკასიაში რუსული და თურქული ინტერესების ცვალებადობა კონფლიქტის დამატებით პოტენციალს ქმნის რეგიონის ქვეყნებს შორის“ (Novikova, 2010, pp. 134.); ავტორი თვლის, რომ თურქეთს არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსები, რომ უფრო ღრმად ჩაერიოს სამხრეთ კავკასიის საკითხებში, მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურია თანამშრომლობა რეგიონის ორ სახელმწიფოსთან: საქართველოსა და აზერბაიჯანთან, განსაკუთრებით ეკონომიკასა და სამხედრო სფეროში. თურქეთ-აზერბაიჯანი-საქართველოს სტრატეგიული სამკუთხედი კი უზრუნველყოფს სამხრეთ კავკასიის რეგიონურ პარტნიორობას ნატო-სთან თურქეთის დახმარებით.

რაც შეეხება სომხეთთან მიმართებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გატარებულ პოლიტიკას, ავტორი ამბობს, რომ „კავკასიის სტაბილურობის პლატფორმისა“ და წარუმატებელი „საფეხბურთო დიპლომატიის“ მიუხედავად,

თურქეთს მოუწევს ურთიერთობების შერბილება სომხეთთან და „თურქეთის მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული ნაბიჯები გადადგეს სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზებაში“ (Novikova G., 2010, pp. 134.).

პაველ ბეივი თურქეთის კავკასიურ პოლიტიკაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც გაზრდის თავის პოზიციებს კავკასიაში, მაგრამ იგი მაინც თავს იკავებს მიიღოს ახალი პასუხისმგებლობები კონფლიქტების მართვისას. მართალია, მისი ინიციატივა რეგიონული უსაფრთხოების პლატფორმის შესახებ ჩავარდა, მაინც, ანალიზის შედეგად ჩანს, რომ თურქეთს კარგი შესაძლებლობები აქვს გაძლიერდეს კავკასიაში. თუმცა, ვიდრე რუსეთი ამ რეგიონში დომინანტურია, ვერ იმუშავებს მის პოლიტიკა, ნულოვანი პრობლემების შესახებ“ (Beyev, 2013, p. 2.).

სერგეი მარკედონოვის თქმით სამხრეთ კავკასია ჯერ კიდევ არის გეოპოლიტიკური მეტოქეობის ობიექტი რუსეთსა და აშშ-ს შორის. ვაშინგტონის ინტერესები ამ რეგიონში „ენერგეტიკული პლურალიზმით“ არის განპირობებული ანუ ალტერნატიული გზების მოძიებით ნავთობისა და გაზის ევროპისათვის მიწოდებისათვის. მარკედონოვის აზრით, თურქეთი ამ რეგიონში განსაკუთრებით 2008 წლიდან გააქტიურდა, როცა სტაბილურობის პლატფორმის ინიციატივით გამოვიდა. მაგრამ, ავტორის აზრით, ეს ინიციატივა რეგიონის მოთამაშეებს შორის დაპირისპირების შედეგად იყო ჩამოყალიბებული. მისი თქმით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ორ ბლოკში არიან გაერთიანებულები - თურქეთისა და რუსეთის ბლოკში. ანკარას, თბილისისა და ბაქოს პოზიციები ბევრ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს. ერევანთან კი რუსეთი ატარებს დაბალანსების პოლიტიკას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გაღვივების პარალელურად (Markedonov, 2016, p.9.).

მკვლევარი ალი ალიპური კარგად იცნობს თურქეთის ინტერესებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. თავის შრომებში სიღრმისეულად აანალიზებს თურქეთის როლს ამ რეგიონის გეოპოლიტიკაში, მის კავშირებს და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს აზერბაიჯანთან და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად მაინც მიდის იმ დასკვნამდე, რომ თურქეთის ეკონომიკას არ შესწევს

უნარი ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში (Alipour A., 2015, p. 192.). მიუხედავად იმისა, რომ მის შრომაში ავტორი ვრცლად საუბრობს აზერბაიჯანი-თურქეთის მრავალმხრივ ურთიერთობებზე, საქართველოს, აზერბაიჯანთან ერთად, მაინც თურქეთის მთავარ (a key partner for Turkey in the South Caucasus) პარტნიორად თვლის, რაც საქართველოს სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარეობს. ალი ალიპური მაინც თვლის, რომ თურქეთი სავარაუდოდ ვერ მიაღწევს თავის მიზნებს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფაქტორის გამო, ვინაიდან თურქეთის პოლიტიკა დიდი გამოწვევების წინაშე დგას, მაგრამ მაინც აქტიური პოლიტიკის გამტარებელ ძალად დარჩება (Alipour, 2015, p. 192.).

ავტორების რეზიუმე ბრიანტი და მეტე ჰათაი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ თურქეთის რეგიონულ ძალად მოხსენიებას. მათ აქვთ კითხვის ნიშნები იმასთან მიმართებით, არის თუ არა ეს ქვეყანა შინაგანად უკვე ჩამოყალიბებული? დასავლური ცივილიზაციაა თუ აღმოსავლური? ისინი სვამენ კითხვას: თუ თურქეთი რეგიონული ძალაა გლობალური ამბიციებით, რაში მდგომარეობს თურქეთის გლობალური ხედვა? ეს ავტორები თურქეთის ურთიერთობებს შავი ზღვის აუზის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ახასიათებენ, როგორც "კონკურენტუნარიანი თანამშრომლობა" რუსეთთან, რომელთანაც მას აქვს ძლიერი ვაჭრობა და სხვა ტიპის ურთიერთობები (Bryant&Hatay, 2013, p. 8.)

თურქი ავტორი კემალ კირიში თურქეთის სამხრეთ კავკასიაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მხარს უჭერს თურქეთის მხარდაჭერით "რბილი რეგიონალიზმის" იდეის განხორციელებას, როგორც არაფორმალურ და პრაგმატულ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს უფრო მეტ ვაჭრობას მეზობელ ქვეყნებთან. მას სჯერა, რომ თურქეთს შეუძლია იყოს წარმმართველი ძალა ამ პოლიტიკის რეგიონში, ვინაიდან თურქეთს აქვს სათანადო კავშირები საქართველოსა და აზერბაიჯანთან. მართალია, სომხეთთან საზღვარი არ გაიხსნა და პროტოკოლებს ხელი არ მოეწერა, ორივე მხარე გარკვეულ აქტივობებს ახორციელებს და ხალხებს შორის კონტაქტები არსებობს. ავტორი ამბობს, რომ ბოლოდროინდელი ეკონომიკური ჩავარდნის მიუხედავად,

თურქეთი რჩება ყველაზე დიდ ეკონომიკად რეგიონში და სატრანზიტო ჰაბად ჩინეთიდან მომავალ სავაჭრო გზაზე (Kirişçi&Moffatt, 2015, p.71.).

სამხრეთ კავკასიის რეგიონი თურქეთისათვის რამდენიმე ასპექტის გამოა მნიშვნელოვანი: 1) აზერბაიჯანის ფაქტორი – ამ რეგიონის ერთ-ერთი სახელმწიფო – აზერბაიჯანი – თურქეთის მონათესავე ერი/სახელმწიფოა. თურქულ პრესაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ამ კავშირში გარდა ნათესაობისა, თურქეთისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი აზერბაიჯანის მფლობელობაში არსებული ბუნებრივი რესურსების საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანმა თურქეთისათვის ბუნებრივი რესურსების შეღავათიან ფასებში მიყიდვის საკითხს გადახედა სომხეთთან დაწყებული დიალოგის გამო, თურქეთისათვის ამ რესურსების თურქეთის მიმართულებით გატარება მაინც უმნიშვნელოვანესი და ხელშეუხებელი თემაა. 2) სამხრეთ კავკასია არის ხიდი თურქეთისათვის, რათა დაუკავშირდეს ცენტრალური აზიის ხალხებს. ეს კავშირები თურქეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა, როგორც სავაჭრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. 3) გასაღების ბაზარი – სამხრეთ კავკასია – საქართველო და აზერბაიჯანი – თურქეთის რესპუბლიკისათვის

გასაღების კარგ ბაზარს წარმოადგენს, ვინაიდან ყოველწლიურად ათეულობით ათასი ტონა უამრავი სახეობის პროდუქცია შემოდის სამხრეთკავკასიურ (სომხეთს თუ არ ჩავთვლით) ბაზარზე.

იმისთვის, რომ თურქეთი ევროპული უსაფრთხოების სისტემის განუყოფელი ნაწილი იყოს, აზიიდან ევროპისაკენ მიმავალი ბუნებრივი რესურსების გზაზე თურქეთი მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს. ამიტომაც, თურქეთის ხელისუფლებას დიდად არ გაუპროტესტებია აზერბაიჯანის მთავრობის გადაწყვეტილება ნავთობპროდუქტებზე ფასების მომატების შესახებ. ამ ცვლილებას თურქეთში მშვიდად შეხვდნენ. აქ მთავარი იყო ის, რომ ენერგოპროექტების მარშრუტებში ცვლილებები არ იგეგმებოდა და ეს ფაქტი მხოლოდ ორი ქვეყნის ურთიერთობებში არსებულ კრიზისზე მიუთითებდა.

სამხრეთ კავკასიური მიმართულების წარმატებით ამუშავება თურქეთის

საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური აზიისაკენ მიმავალი პოლიტიკური არხების გამართულ მუშაობასთან კორელაციაშია. ცენტრალური აზია ის რეგიონია, რომელიც ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თურქეთისათვის, ვინაიდან ამ რეგიონის ეკონომიკასა და განათლების სფეროში თურქეთს უზარმაზარი კაპიტალი აქვს ჩადებული და შესაბამისად, დიდ მოგებასაც იღებს. ანუ დაინტერესება იმდენად დიდია, რომ თურქეთის ახალ საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიაში, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ამ მიმართულებებს პრიორიტეტული ადგილი უკავია.

თურქეთის კავკასიური პოლიტიკის კვლევისას, რომელიც ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში თურქეთის აქტივობებს ეხება, უფრო სწორად 2008 წლის შემდგომ პერიოდს, ჩანს, რომ ამ მიმართულებით მკვერთ ცვლილებებს ადგილი არ ქონია. არც ახალი მოდელი ან პროექტი არ წამოუყენებია თურქეთის ხელისუფლებას აგვისტოს ომის შემდეგ, გარდა თავად ომის დროს გამოვლენილი აქტივობებისა. ადგილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალურ, სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანასთან მუშაობის გაღრმავების მცდელობებს, მათ შორის სომხეთთანაც, მიუხედავ იმისა, რომ ეს მცდელობები ძალიან შემცირებული და წარუმატებელია; არაერთი სომეხი და თურქი ექსპერტიც აღნიშნავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით მიდიოდა და კვლავაც ინტენსიურად გრძელდება მოლაპარაკებები სომხეთთან. ეს ინფორმაცია დაგვიდასტურეს სომეხმა ექსპერტებმა. მაგალითად, რიჩარდ გირაგოსიანმა, დავით შაჰნაზარიანმა და მათი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების ადგილად თბილისი დაასახელეს (ამ ექსპერტებთან ინტერვიუები ჩავწერეთ 2016 წლის მარტის თვეში). მათ მოგვიყვინენ, თუ როგორ იგეგმება და იმართება ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრები თურქეთის მხარის წარმომადგენლებთან, მაგალითად, თურქ მეცნიერებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, იგივე საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრუფლებიან ელჩთან და როგორ განიხილავენ თურქეთ-სომხეთის მომავალი ურთიერთობების სტრატეგიას და საერთოდ,

სამხრეთ კავკასიურ პრობლემატიკას.

სომეხი ექსპერტები, ყველა მათგანი, ვისთანაც კი ინტერვიუ ჩაწერეთ, ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ თურქეთთან საზღვრების გახსნის შემთხვევაში სურათი შესაძლოა შეიცვალოს და თურქეთი მათი ერთ-ერთი პირველი სავაჭრო პარტნიორი გახდეს, თუმცა, ამ ეტაპისათვის, სომხეთის ნომერ პირველი ეკონომიკური პარტნიორი ევროკავშირია და ამას დიდ მიღწევადაც აღიქვამენ. ეს მონაცემები გადავამოწმეთ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ გვერდებზე და მართლაც უკვე რამდენიმე წელია, ევროკავშირი სომხეთის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში პირველობას არ თმობს. სომხეთმა, რუსეთზე საგარეო პოლიტიკური დამოკიდებულების კვალდაკვალ გაჭრა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი და სტრატეგიულად მომგებიანი, განვითარებაზე ორიენტირებული გზა ევროპისაკენ. ეს იყო სწორი ჩანაფიქრი სომხეთის მხრიდან. ევროკავშირისაკენ რუდუნებით, ყოველგვარი ხმაურის გარეშე სვლამ მოუტანა სომხეთს ის, რომ ქვეყანა მზად აღმოჩნდა ცვლილებების დაწყებისათვის და ეს აჩვენა კიდევ 2018 წლის აპრილში განვითარებულმა მოვლენებმა. ევროკავშირის უწყინარმა პროექტებმა გააკეთა ის, რასაც ვერ გააკეთებდა რუსული პოლიტიკა წლების განმავლობაში (EU Projects with Armenia, 2018).

თავის დროზე ბატონმა რიჩარდმა გვითხრა ძალზედ საგულისხმო რამ: ჩვენთან საუბრისას იგი ხაზს უსვამდა, რომ ევროკავშირს შეუძლია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური ვექტორის გადახრა დასავლეთისაკენ და რომ მათი პროექტები იყო „შესაძლებლობა“ სომხეთისათვის: „საქართველო 1990-იან წლებში იყო ჩამოშლილი ქვეყანა, კორუფციის მაღალი დონით და სიტუაცია შეიცვალა: დანაშაული შემცირდა, კორუფციის დონემ დაიწია, პოლიცია ასრულებს თავის ფუნქციებს. ანუ შეიძლება, რომ შეიცვალოს მდგომარეობა“ (ინტერვიუ რიჩარდ გირაგოსიანთან ჩაიწერა 2016 წლის მარტში). მან ასევე დაამატა: მდიდარი ივანიშვილი არ ნიშნავს მდიდარ ქვეყანას, თქვენ გჭირდებათ კარგი კრედიტები

ევროკავშირიდან, რომელიც დაგეხმარებათ. თქვენ უფრო მოგცემენ კრედიტებს, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანს და თქვენ უნდა გამოიყენოთ ეს შესაძლებლობა. თქვენ არ უნდა იყოთ ილუზიებში. თქვენ უნდა გქონდეთ სწორი სტრატეგია და არა ილუზიები. მაგალითად, ისეთი, როგორცაა ნატო-ს წევრობა (ინტერვიუ რიჩარდ გირაგოსიანთან ჩაიწერა 2016 წლის მარტში). ბატონი რიჩარდი სპეკტიკურად უყურებს სამხრეთ კავკასიის რომელიმე ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას. მართალია, ამის ყველაზე დიდი შესაძლებლობა აქვს საქართველოს, ვიდრე აზერბაიჯანს ან სომხეთს, მაგრამ, მაინც გამორიცხავს, რომ ეს როდესმე მოხდება. მიზეზად კი რუსეთთან ზედმეტად ახლოს ყოფნა და უშუალო მეზობლობაა. იგი თვლის, რომ თურქეთის ნატო-ში ყოფნა უკვე საკმარისია რუსეთისათვის, რომ მუდმივად ორმაგი ზეწოლის ქვეშ ყავდეს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები. ამ ქვეყნების მჭიდრო ურთიერთობები თურქეთთან უკვე ნიშნავს გარკვეული ფორმით ნატო-სთან ურთიერთობას და ეს რუსეთისათვის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან უშუალოდ კავშირში მყოფი თემატიკაა.

ჩვენ ძალზედ საინტერესოდ მოგვეჩვენა მის მიერ დასმული კითხვა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსული ძალის გავლენის გახანგრძლივებას ეხებოდა: „აქვს კი რუსეთს იმისი ძალა, შეაჩეროს ეს პოლიტიკა და ხელი შეუშალოს ამ ქვეყნების მისგან“

წასვლას?!“ ძალიან რიტორიკულად კი ჟღერს დღევანდელი რეალობის გადმოსახედიდან, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი შეიცავს სიმართლის მარცვალს.

ისევ მის მსჯელობას თუ გავყვებით: „დასავლეთი არასწორად თვლის, რომ სომხეთი არაა მეტი არაფერი, თუ არა პრორუსული ქვეყანა. სომხეთმა ბევრი გააკეთა ევროკავშირთან თანამშრომლობისათვის. სომხეთი მონაწილეობას ღებულობს ყველა სამშვიდობო მისიაში, რაც აქვს დასავლეთს“ (ინტერვიუ რიჩარდ გირაგოსიანთან ჩაიწერა 2016 წლის მარტში). მისი ხედვით არსებობს რამდენიმე გზა, რომ სომხეთი და მთლიანად სამხრეთ კავკასია გამოგლიჯონ რუსეთს და მათგან უპირველესი არის სამოქალაქო

საზოგადოებაზე მუშაობა.

ვფიქრობთ, ბატონმა რიჩარდმა იმდენად სწორი აქცენტები დასვა, ისინი შეიძლება მოქმედების თეზისებად იქნას გამოყენებული როგორც სომხეთის, ასევე საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ. ამ მიმართულებით მუშაობამ სომხეთში ფასდაუდებელი პოლიტიკური შედეგები მოიტანა. მაგრამ, ბუნებრივია, არ გვაქვს იმისი ილუზია, რომ ამით უკვე შეიცვალა მდგომარეობა. სომხეთში არის რეალობა, რომელშიც რუსეთის გავლენა განუზომლად დიდია. იგივე თუნდაც რუსული სამხედრო ბაზების ამ ქვეყნის საზღვრებში ყოფნა გარკვეულ ამინდს ქმნის არა მხოლოდ სომხეთისათვის, არამედ სრულიად სამხრეთ კავკასიისათვის და მათი გამოყენება რუსეთს ნებისმიერ დროს შეუძლია. სომხეთში დაწყებული პროცესები არის მხოლოდ დასაწყისი დიდი გარდაქმნების გზაზე და ჯერ ეს გარდაქმნები არ განხორციელებულა. თეორიულად არის შესაძლებელი, რომ ისინი არც განხორციელდეს და პროცესები სხვა მიმართულებით წავიდეს. მაგალითად, ამის საპასუხოდ რუსეთმა სამხედრო ინტერვენციასაც კი მიმართოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს თამამი ვერსიაა, არ გამოვრიცხავთ მის არსებობას, განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მაგალითის მერე, როცა დასავლეთისაკენ ყურება საქართველოს ძვირად დაუჯდა.

სომეხმა მკვლევარმა, ქართველოლოგმა ჯონი მელიქიანმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ სომხეთი ვერ იტყვის უარს რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე ვინაიდან, „წარსულში იმდენად დიდი იყო ეს დამოკიდებულება, რომ ადვილი არაა სპონტანურად, ერთ დღეში ადგე და უარი თქვა ამ ურთიერთობებზე, რაც არ უნდა კარგად ვაცნობიერებდეთ, რომ მიუღებელია ეს სომხეთისათვის“ (ჯონი მელიქიანთან ინტერვიუ ჩავწერეთ 2016 წლის მარტში). ეს არ იქნება ადვილი და მოკლე დროში განსახორციელებელი გეგმა სომხეთისათვის. მაგრამ, მისი თქმით, სომხეთი მუშაობს ამაზე. ჯონი მელიქიანის თქმით, სომხური ელიტა კარგად აცნობიერებს, თუ რა მიმართულებებით დააზარალა ამ „სტრატეგიულმა ურთიერთობებმა“ სომხეთი, მაგრამ მათ ესმით, რომ ყველაფერს აქვს თავისი დრო და სომხეთი დაელოდება

მის დროს (ჯონი მელიქიანთან ინტერვიუ ჩავწერეთ 2016 წლის მარტში).

მკვლევრებთან ინდივიდუალურად მუშაობისას სომეხი და აზერბაიჯანელი ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ თურქეთის მხრიდან აზერბაიჯანის თანადგომა მხოლოდ დეკლარირებული ხასიათისაა და რეალობას არ შეესაბამება. თურქეთს თავისი ინტერესები აქვს სომხეთთან მიმართებით. უმეტესმა მათგანმა დაგვიდასტურა, რომ თურქეთი ახლა ძალიან ცდილობს გამოასწოროს 1990-იან წლებში დაშვებული შეცდომები სომხეთთან. მაგალითად, აზერბაიჯანელი მკვლევარი ენერგეტიკულ საკითხებში ილგარ ჰაჯიევი ინტერვიუსას (ინტერვიუ ილგარ ჰაჯიევთან ჩავწერეთ 2015 წლის ივლისში) აღნიშნავდა, რომ „მართალია, თურქეთი ძალიან უყვართ აზერბაიჯანში, მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ თურქეთს მისი ინტერესები ამოდრავებს სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც და ეს ინტერესები აზერბაიჯანთან მიმართებაში ენერგორესურსებზე გადის“. მან თქვა, რომ იყო დრო, როცა კაპიკის ფასებში აძლევდნენ ნავთობსა და გაზს თურქეთს, ვინაიდან მისი მხარდაჭერის იმედი ქონდათ. აზერბაიჯანსაც სურს კარგი ურთიერთობები ქონდეს სომხეთთან, მაგრამ არის ეროვნული ინტერესები, რომელთა დავიწყებაც სამშობლოს ღალატია და აზერბაიჯანი ყარაბაღის ოკუპაციას არასოდეს არ დაივიწყებს. მკვლევარი თვლის, რომ რუსეთის მხრიდან ძლიერი სიგნალები რომ არა, აზერბაიჯანი აქამდე ჯარის შეყვანით მოაგვარებდა ამ საკითხს. აზერბაიჯანი ერიდება ფართომასშტაბიან ომს, რომელშიც შეიძლება წააგოს, ვინაიდან ეს იქნება უთანასწორო ომი (რუსეთის მონაწილეობის გამო). ეს მიზეზი აჩერებს ბაქოს, რომ აქამდე არ დაიკავა ყარაბაღის ტერიტორია: „თუ დააკვირდით, აზერბაიჯანის ყოველი დამოუკიდებლობის წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისიებაზე ჩვენს პრეზიდენტს ილჰამ ალიევს არ ავიწყდება ხაზი გაუსვას, რომ თუ დასჭირდა, აზერბაიჯანი ძალით დაიცავს ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას“ (ინტერვიუ ილგარ ჰაჯიევთან ჩავწერეთ 2015 წლის ივლისში).

ჩანს, რომ თურქეთი სომხეთთან ურთიერთობების დარეგულირებით არანაკლებად დაინტერესებული, ვიდრე აზერბაიჯანთან. მაგრამ, რუსეთის

ფაქტორი აქაც გადამწყვეტ როლს თამაშობს. როგორც ექსპერტებთან ინტერვიუებში ჩანდა, ყველა მხარე ცალ-ცალკე ცდილობს გამოახოს რუსეთის აცილების საშუალება, მაგრამ ამას ერთობლივად ვერ ან არ აკეთებენ ამბიციების გამო. ეს კი საბოლოოდ რუსეთის ინტერესებზე წყლის დასხმაა. სწორედ ამიტომ იყო, რომ არაერთმა ექსპერტმა და მათ შორის ყველაზე მძაფრად თურქმა ექსპერტებმა გაუსვეს ხაზი ინტერვიუებში იმ ფაქტს, რომ საჭირო იყო თანამშობლობის ერთიან ფორმატზე დათანხმება და თურქეთის წამოწყებაში ჩართვა. მაგალითად, თურქმა ექსპერტმა კამერ კასიმმა ბოლუში (Bolu – ქალაქი თურქეთში. ინტერვიუ ქამერ ქასიმთან ჩავწერეთ 2015 წლის ივნისში) ინტერვიუს დროს თქვა: “ეს იყო შეცდომა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მხრიდან. რა ინტერესები აქვთ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს? ერთ-ერთი ისაა, რომ ქონდეთ თავისუფალი საგარეო პოლიტიკური არჩევანი და არ იყვნენ რუსეთის წნეხის ქვეშ. ხომ ეს სურთ? ჩვენ ვთავაზობდით თანამშრომლობას ამ არჩევანისათვის. მაგრამ, მოხდა ის, რომ შიშმა თუ გარკვეული ძალების მუშაობამ უარი ათქმევინა მათ ამ თანამშრომლობაზე. თურქეთი არის განვითარებული, ნატო-ს წევრი სახელმწიფო. მას აქვს თავისი ინტერესები სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან. არა მხოლოდ აქ, მაგრამ ახლა ამ მიმართულებაზე ვიტყვი. მაგრამ, როგორც ხშირად არასწორად ესმით, ეს ინტერესები არ ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემას. ვინაიდან, თურქეთი ნატო-ს წევრი სახელმწიფოა, მას სხვაგვარად ესმის თანამშრომლობა. თურქეთს სურს ამ ქვეყნებთან ააწყოს კარგად განვითარებული სავაჭრო, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული ურთიერთობები, ისე როგორც ეს შეეფერება ცივილურ სახელმწიფოს. ამის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სამყარო. ჩვენ ვცდილობთ, ვიმოქმედოთ, როგორც დასავლურმა ძალამ. ჰოდა, ჩვენ ვთავაზობთ ჩვენს პარტნიორებს ასეთი ტიპის ურთიერთობებს, პროგრესულს და მეგობრობაზე აგებულს. როგორ იბრძვის მეორე მხარე ამ დროს? ძალადობის, ზეწოლის, ბლოკადის, დაყოფის და დეგრადაციაზე ორიენტირებული

მეთოდებით. არჩევანი ამ დროს თავად ამ ქვეყნებმა უნდა გააკეთონ ამ ძალებს შორის“ (*Bolu* – ქალაქი თურქეთში. ინტერვიუ ქამერ ქასიმთან ჩაწერეთ 2015 წლის ივნისში).

რუსეთის ფაქტორი: საინტერესოა, რუსეთის ფაქტორი რატომ მუშაობს ასეთი წარმატებით არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. რატომ ხდება, რომ მაინც ითვალისწინებენ მის ფაქტორს? და რატომ აქვს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე ასეთი დიდი გავლენა? ვფიქრობთ, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: პირველ რიგში ის, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსული თუ საბჭოთა იმპერიის გავლენის ქვეშ წლების განმავლობაში თანაარსებობამ გარკვეული ტიპის მენტალიტეტი ჩამოყალიბა ამ რეგიონის მცხოვრებლებში, რომლის გავლენიდან გამოსვლას დრო სჭირდება. უფრო სწორად, თაობის ცვლა. ეს კი არაა ხანმოკლე და სწრაფად გასავლელი ეტაპი ქვეყნისათვის. თანაც, ეს პროცესი მტკივნეულია და რყევების ფონზე მიმდინარეობს. ანუ მთავარი პრობლემა თავად ხალხშია, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ცხოვრობს. ჯერ კიდევ ვერ ხდება მენტალური გათავისუფლება, რომ გააკეთონ არჩევანი და მერე დაიცვან თავისი არჩევანი. ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ამის შემდეგ ეს ხალხები თურქეთთან მეგობრობას ამჯობინებს, ვიდრე რუსეთთან, საკითხის ასე დასმა პრობლემის გაუფასურება იქნებოდა. საქმე ეხება, თუნდაც მსხვერპლის ფასად, საკუთარი არჩევანის თავისუფლების დაცვას. მართალია, ეს არჩევანი გააკეთა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებმა, როცა 1990-იან წლებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო და დაავიკრიფინა დამოუკიდებლობის მოპოვებით, მაგრამ ეს ბრძოლა, როგორც ჩანს, ისევ გრძელდება ან ისევ გასაგრძლებელია. ანუ მთავარი პრობლემა შიდა წინააღმდეგობაა, როცა საბჭოთა ადამიანი კვლავ ცოცხალია ჩვენში და კვლავ ისევ წარსული თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი ინსტიტუტებით მოქმედებს. ეს მომენტი ხელს უწყობს რუსეთს, გავლენები ქონდეს რეგიონში.

მეორე მომენტია რეგიონის ეკონომიკური ჩამორჩენილობა. როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირს ურთიერთდამოკიდებულებაზე ორიენტირებული სისტემა ქონდა ეკონომიკის; თუ ერთ ქვეყანაში მოიპოვებდნენ ნედლეულს,

მისი გადამუშავებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა იმ საბჭოთა ქვეყანაში უნდა მოწყობილიყო, სადაც ეს ნედლეული არ იყო მოპოვებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითოეულ საბჭოთა ქვეყანას ან ინფრასტრუქტურა ქონდა, ან ნედლეული. რათქმუნდა, გონიერი ხელისუფალის ხელში ეს რესურსები სწორად იქნებოდა გამოყენებული, როგორც ეს გააკეთა მაგალითად, ბალტიის ქვეყნებმა, მაგრამ, მოხდა ის, რაც მოხდა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ ეკონომიკური კოლაფსის წინაშე. აზერბაიჯანმა შედარებით გაართვა თავი პრობლემებს მდიდარი ენერგორესურსების წყალობით, მაგრამ არა ეკონომიკური განვითარებით. ხოლო საქართველო და სომხეთი დამოკიდებულები აღმოჩნდნენ გარე დახმარებაზე. ანუ ეკონომიკური ჩამორჩენილობა არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა ვერ მოახერხეს განვითარების სათანადო დონეზე მისვლა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გათავისება, რაც მათ საშუალებას მისცემდა დამოუკიდებლად და თამამად ემოქმედათ საგარეო პოლიტიკურ არენაზე. მესამე – რუსეთის მიერ უბეში ძალის გამოყენების პრაქტიკა: რუსეთი ყველაფერზე წამსვლელია. ამასთან, მისი ბირთვული და სამხედრო არსენალი გაცილებით დიდია, ვიდრე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთად აღებული, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საუბრობენ რუსული ტექნიკის სიძველეზე; რუსეთის რეგულარულ არმიაში ირიცხება მილიონ ორასი ათასი ჯარისკაცი და 754.000 აქტიური რეზერვისტი. რუსეთის არმიას აქვს 91.715 საჰაერო დანადგარი. აქედან: გამანადგურებლები – 2.749. რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი შეადგენს 56 ტრილიონ დოლარს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის კი ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: საქართველო: 2018 წლისათვის ქართულ სახმელეთო არმიაში ირიცხება: სამ ათეულამდე ტ-72 სიმ1 (2008 წელს დაახლოებით 4 ათეული წართმეულ იქნა რუსეთის მიერ), ტ-72-ების ასეული, ერთ ათეულამდე ტ-55 და დაუზუსტებელი რაოდენობის „ოპლოტები“. საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობა დაახლოებით 37 ათასი სამხედრო მოსამსახურით განისაზღვრება. თავდაცვის ბიუჯეტი კი 281 მილიონი დოლარია (სამხედრო თვალსაზრისით, საქართველო რეგიონის

ყველაზე სუსტი ქვეყანაა). სომხეთის შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებელი 518 მილიონ დოლარს უტოლდება. აზერბაიჯანმა კი ბოლო წლებში რამდენჯერმე შეამცირა ბიუჯეტი და მიმდინარე 2018 წელს მხოლოდ მილიარდი აშშ დოლარი გამოყო ამ სფეროზე, მაშინ როცა წინა წლების მონაცემებით მისი ბიუჯეტი 3.8 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა (სამხედრო თვალსაზრისით, საქართველო რეგიონის ყველაზე სუსტი ქვეყანაა).

მეოთხე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – ევროპისა და აშშ-ის ნაკლები თანადგომა სამხრეთ კავკასიისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ევროპასაც და აშშ-საც თავისი ინტერესები გააჩნიათ სამხრეთ კავკასიაში და ჩვენ მათი არაერთი პროექტის შედეგებზე, თუნდაც სომხეთში, ზემოთაც ვისაუბრეთ, მაინც, მათი თანადგომა ხშირად არასაკმარისად აღიქმება. შესაძლოა, ამას აქვს კიდევ გამართლება და ეს იყოს დასავლეთის სიფრთხილე და რუსეთთან ან საერთოდ, გარესამყაროსთან მათი პოლიტიკისა და ტაქტიკის ნაწილი. ასევე, ეს იყოს რეგიონის ქვეყნების მხრიდან ამ დახმარების არასწორად გამოყენებაც. თუმცა, მეორეს მხრივ, დიდი დოზით დახმარებაც, შესაძლოა, პოლიტიკურ ნაბიჯად იქნას აღქმული და სხვა მნიშვნელობა მიენიჭოს.

მეხუთე და ბოლოს – რუსეთს აქვს ბუნებრივი აირის უდიდესი საბადოები და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომელსაც წარმატებით იყენებს მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებზე პოლიტიკური ზეწოლისათვის. მაგალითად: რუსეთის ბუნებრივი რესურსების მარაგის საერთო ღირებულებაა 75.7 ტრილიონი დოლარი. ნავთობის მარაგის – 60 მილიარდი ბარელი, ღირებულება – 7.08 მილიარდი დოლარი. ბუნებრივი გაზის მარაგი – 47.58 ტრილიონი მ3, ღირებულება – 19 მილიარდი დოლარი. ტყის მარაგი – 1.95 მილიარდი აკრი, რომლის ღირებულებაც 28.4 ტრილიონი დოლარია. რუსეთი მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებს ბუნებრივი გაზის მარაგებისა (27,5%) და ტყის რესურსების მიხედვით. მეორე ადგილს – ქვანახშირისა და იშვიათი მინერალების მარაგების მიხედვით, რომლის მოპოვებაც არ ხდება. რუსეთი მესამეა ოქროს საბადოების მოცულობის მიხედვით მსოფლიოში ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ქვეყნების რეიტინგი.

ამ ყველაფრის გამო არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების, არამედ დასავლეთისთვისაც რუსეთი ხშირად ანგარიშგასაწევი ძალაა. ამიტომაც ძნელია მასთან მოლაპარკება. ქართველმა პროფესორმა ალექსანდრე კუხიანიძემ ამ კონტექსტზე საინტერესოდ თქვა: „დასავლეთი ჩვენ მოგიწოდებს მეტი დიალოგისაკენ რუსეთთან, თუმცა, თავად ვერ მოახერხა დიალოგის წარმოება რუსეთთან“ (2016 წლის 3 მაისი).

აქედან გამომდინარე, რუსეთთან დიალოგი რთულია თურქეთისთვისაც და მითუმეტეს მორიგება. რუსეთისათვის ხელშეკრულება და დიალოგის ნებისმიერი ფორმატი დროის მოგება და მეტი ინფორმაციის მიღებაა საკითხის იგვლივ. თურქეთის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში რუსეთი ის ფაქტორია, რომელსაც ვერ აბალანსებს და იძულებულია რბილი ძალის მეთოდების გამოყენებით ეცადოს გარკვეული შედეგების მიღებას.

თურქი მკვლევარი მუსტაფა აიდინი რუსეთი-თურქეთის ურთიერთობების შეფასებისას ერთგან წერს: „სხვათაშორის თურქეთმა ორი მნიშვნელოვანი გაკვეთილი ისწავლა რუსეთთან ურთიერთობაში: რუსეთი არის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი თურქეთისათვის და აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარება ევრაზიის კონტინენტის ფარგლებში არაა სასურველი, ვინაიდან იგი მოიცავს რისკებს, რომ გაღმავდეს ეს კონფრონტაცია რეგიონის სუპერ ძალასთან“ (Aydin, 2002, pp. 39-47.).

მართლაც, თუ თვალს გავადევნებთ თურქეთის ქმედებებსა და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, ვნახავთ, რომ თურქეთის ხელისუფლება ხშირად იხევს უკან რუსეთის წინაშე და ერიდება აშკარა დაპირისპირებას. თუნდაც გავიხსენოთ სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების ინციდენტი, როცა თავად პრეზიდენტმა რეჯეფ ერდოღანმა ფაქტიურად საჯაროდ მოიბოდიშა ამ ფაქტის გამო (Erdoğan has apologised for downing of Russian jet, Kremlin says, 2010). ასევე, ჩვენ არ გვახსოვს ანკარის მკვეთრი განცხადებები რუსეთის მიერ ყირიმის აგესიის ფაქტის დაგმობის თობაზე.

ამერიკელი მკვლევარი იუჯინ კოგანი, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ ახასიათებს თურქულ-რუსულ ურთიერთობებს, როცა წერს რომ: „ზოგი თურქი ანალიტიკოსი და პოლიტიკური მიმოხილველი ფიქრობს, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში ამ ქვეყნების სტრატეგიულ პარტნიორად გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს. ჩვენი აზრით, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს შეიძლება ეწოდოს „თურქეთის დამოკიდებულება სტრატეგიის გარეშე“ (კოგანი ი., რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და რეალური ვითარება შავი ზღვის რეგიონში, GFSIS, ექსპერტის აზრი, 2014, გვ. 3.). ავტორი აგრძელებს: 2008 წლის კრიზისმა, როგორც ჩანს, წარმატებით მიიტანა მნიშვნელოვანი გზავნილი ადრესატამდე: რუსეთი საკუთარ ეროვნულ ინტერესებს კავკასიაში სრული სერიოზულობით ეკიდება და ანკარა ამ რეგიონში გავლენის გაზრდას მხოლოდ მოსკოვთან კოორდინირებული სვლებით შეძლებს და არა ნატო-ს მოკავშირეებთან კოორდინირებული ქმედებებით. ფაქტიურად, ეს ნიშნავს, რომ თურქეთს უფლებას არ მისცემს შემოიყვანოს და დაეყრდნოს ნატო-ს მოკავშირეებს რეგიონში ... შედეგად, თურქეთი ყველანაირად ცდილობს არ გააღიზიანოს მოსკოვი, თუმცა, რუსეთი შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიას კვლავ თავის, და არა სხვის, უკანა ეზოდ მიიჩნევს“ (კოგანი, 2014, გვ. 3.).

თუმცა, ჩვენ კვლევისას გავცანით ავტორებს, რომლებიც თურქეთის როლს ასე არ ხედავენ რუსეთთან მიმართებაში და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მზარდ ტენდენციებზე საუბრობს. მაგალითად, თურქი მკვლევარი ფატიჰ ოზბაი (Fatih Ozbay) ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს ხანგრძლივადიან გათვლებზე ორიენტირებულ გეოპოლიტიკურ თამანშრომლობად თვლის და ამ ურთიერთობების დინამიკის დადებითი მაჩვენებლების ერთ-ერთ საფუძვლად ქვეყნის ლიდერების პირადი მეგობრობა მიაჩნია: “რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების განვითარების დაწყება დააჩქარა რუსეთში ვლადიმერ პუტინისა და თურქეთში „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლამ... თურქეთი და რუსეთი ეკონომიკური და სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ და

შეუძლებელია ამის უარყოფა“ (Ozbay F., 2011).

გირეი ბოზქურთი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში შავი ზღვის საკითხს ყველა აქტუალურად თვლის. ხაზს უსვამს, რომ შავი ზღვის მნიშვნელობა კიდევ გაიზრდება, ვინაიდან ცენტრალური აზიიდან კასპიის ზღვისა და შავი ზღვის გავლით მიეწოდება ნედლეული ევროპულ ბაზარს და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების ხასიათი განსაზღვრავს შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობასა და უსაფრთხოებას (Bozkurt, 2011, p. 11.).

გარეთ ჩეპილი კი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველზე გავლენიან ძალებად რუსეთთან და თურქეთთან ერთად ირანსაც მოიხსენიებს, ვინაიდან ეს სამი ქვეყანა ძალაინ მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში. ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის დიდია. თუმცა, ცალ-ცალკე სამივე აქტორი ცდილობს დემონსტრირება გაუკეთოს მის ძალას რეგიონში და ჯერ აფხაზეთსა და შემდეგ სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ ქმედებებს რუსეთის მხრიდან სწორედ ამის ჩვენებად თვლის. მისი თქმით, სომხეთთან და აზერბაიჯანთან მნიშვნელოვანი კავშირები აქვს როგორც თურქეთს, ასევე, რუსეთს: რუსეთი დაინტერესებულია აზერბაიჯანის გაზის მარაგებით და თურქეთს კი სურდა ურთიერთობების ნორმალიზება სომხეთთან. ინტერესეთა ურთიერთგადაკვეთა კი შეუძლებელია თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან და შედგეს წარმატებული თანამშრომლობა (Chappell, 2010, p. 13.).

რუსულ-თურქული დაახლოების მთლად ალიანსად მოხსენიებას სკეპტიკურად უყურებს შენერ აკთურქი, განსაკუთრებით 2008 რუსეთსაქართველოს ომის შემდეგ. მისი აზრით, ორი ქვეყნის ურთიერთობები ომამდე და ომის შემდეგ განსხვავებულია: ამ ომმა თურქეთის სტრატეგიული პოზიციები კავკასიაში დააზიანა, თუმცა, ორ ქვეყნას შორის ურთიერთობები მაინც ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება და იგი დაწვრილებით აღწერს რუსეთისა და თურქეთის შესაძლო თანამშრომლობას სხვადასხვა ენერგო პროექტებში, განსაკუთრებით, გაზსადენების (სამხრეთის ნაკადი, თურქული ნაკადი და სხვა) ერთობლივი პროექტების მშენებლობაში (Aktürk, 2013, p. 2.)

თურქეთი და შავი ზღვის რეგიონი: სამხრეთ კავკასიური მიმართულების პარალელურად თურქეთისათვის მნიშვნელოვანი შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკაა. თურქეთის პოლიტიკა ამ რეგიონში წარმატებულია.

თურქეთის დაფუძნებიდან (თურქეთის რესპუბლიკი დაარსება გამოცხადდა 1923 წელს) რამდენიმე წელიწადში, 1936 წელს, შვეიცარიის ქალაქ მონტრეში გამართული კონფერენცია შავი ზღვის რეგიონის სრუტეების შესახებ თურქეთის დიდი გამარჯვებით დასრულდა: მიღებული კონვენციის მიხედვით, აღდგა თურქეთის სუვერენიტეტი ბოსფორ-დარდანელის სრუტეებზე. ეს რეჟიმი მოქმედებს დღემდე. კომერციული გემებისათვის ამ სრუტეებში გავლა მშვიდობიანობისა და ომის დროს თავისუფალია. შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდები სრუტეებში შეზღუდვების გარეშე მოძრაობენ. სხვა ქვეყნების სამხედრო გემების გატარება კი იზღუდება მათი კლასის, ტონაჟის და შავ ზღვაში ყოფნის ვადების მიხედვით. ომის დროს სამხედრო თუ სამოქალაქო გემების გადაადგილებას შავ ზღვაში თურქეთი აკონტროლებს და მას აქვს უფლება შეზღუდოს ნებისმიერი სახელმწიფოს გემების გადაადგილება როგორც შავ ზღვაში, ასევე, სრუტეების მისადგომებთან. თურქეთს ეს მომენტი დიდ უპირატესობას ანიჭებს შავი ზღვის რეგიონში რუსეთთან მიმართებით და თურქეთი ცდილობს ისარგებლოს ამ უპირატესობით.

შავ ზღვაში თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი რუსეთის ფლოტზე დაახლოებით ორჯერ მეტია; ამასთან, თურქეთს გააჩნია უახლესი ტექნიკა და აღჭურვილობა. რუსეთის ფლოტი 45 სხვადასხვა კლასის ხომალდისა და 7 წყალქვეშა ნავისაგან შედგება, როცა თურქეთს 100-ზე მეტი სხვადასხვა კლასის ხომალდი და წყალქვეშა უახლესი სიმძლავრის ნავეები აქვს. თურქეთი უპირატესობას ფლობს ცოცხალი ძალის მხრივაც. მას შავი ზღვის ფლოტში 43 000 საზღვაო ქვეითი და მეზღვაური ყავს. რუსეთი გარკვეული თვალსაზრისით ჯაზნის თურქეთს ავიაციაში SU-30SM-ით, მაგრამ ამის დასაბალანსებლად თურქეთი 2018 წლიდან 100 ერთეულ უახლეს ამერიკულ მრავალფუნქციურ გამანადგურებლებს – F-35B -ს მიიღებს საჩუქრად (ეს

შეთანხმება უკვე გადაიხედა), რომლესაც რუსული ტექნიკა უბრალოდ ვერ გაუწევს კონკურენციას, ვინაიდან F-35B-ები დღეისათვის სპეციალისტების მიერ ბოლო სიტყვადაა შეფასებული ავიაციაში (თურქეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა და სტრუქტურა).

ის მომენტი, რომ შავ ზღვის რეგიონის სამი სახელმწიფო (თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი) ნატო-ს წევრია, რუსეთისათვის ძალიან არასასიამოვნოდ ჯდერს. ამიტომ, ყირიმის ოკუპაციის შემდეგ რუსეთმა დაიწყო ზრუნვა მეტ-ნაკლებად გაათანაბროს ძალები თურქეთთან. მაგრამ, მას მაინც შეზღუდული შესაძლებლობები აქვს ნატო-სთან შედარებით. თუ მაგალითად, თურქეთი ჩათვლის, რომ გარკვეული საფრთხის მოლოდინები გაჩნდა რუსეთისაგან და ჩაკეტავს სრუტეებს, რუსეთს გაურთულდება ტარტუსზე და ლატაკიაში განლაგებული რუსული ბაზების მომარაგება. ასევე, მისი ნოვოროსიისკის, ტუაფსესა და სოჭის ბაზების სწრაფი მომარაგება. ამ შემთხვევაში სახმელეთო გზა უნდა გამოიყენოს. რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაცია, სწორედ იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ზამთარ-ზაფხულ გაუყინავი პორტი ყოფილიყო მის მფლობელობაში და თურქეთის უპირატესობები დაებლანსებინა ამ მხრივ შავ ზღვაში. ამდენად, სამხრეთ კავკასიასა და შავ ზღვაში რუსეთისა და თურქეთის, ასევე ნატო-ს პოლიტიკა იმდენად გადაჯაჭულია, ძნელი გასაგები იქნება, თუ მას კომპლექსურად არ განვიხილავთ.

ბოლო წლების განმავლობაში ნატო-ს დაინტერესება შავი ზღვის რეგიონით კიდევ უფრო გაზრდილია და ეს გამოიხატება პროექტებშიც შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მიმართულებით და ჩატარებული წვრთნების რაოდენობითა და მასშტაბებით (Brussels NATO Summit, 2018). თურქეთისათვის ეს მხოლოდ მომგებიანია, ვინაიდან მისი პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერებასა და გამყარებას შეუწყობს ხელს. ნატო-ს 2018 წლის ბრიუსელის სამიტის წინ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ „ნატო-ს სამიტი არის შესაძლებლობა ალიანსისთვის, რათა ყურადღება გაამახვილოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონის ირგვლივ და ეს რეგიონია შავი ზღვა. მას შემდეგ, რაც

2014 წელს რუსეთმა ყირიმის უკანონო ანექსია მოახდინა, შავი ზღვა ძირითადად რუსული ტბა გახდა. ეს პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს აშშ-სა და ნატოს უსაფრთხოების ინტერესებისათვის. აშშ-მა უნდა გამოიყენოს ეს სამიტი და ალიანსმა გაატაროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობისთვის, რათა დაიწყოს ამ რეგიონის უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება“ (Brussels NATO Summit, 2018).

გაზის საკითხი: რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში გაზის საკითხი ყველზე მოწვევლადი თემაა. თურქეთი ენერგორესურსებით ღარიბი სახელმწიფოა და 98% დამოკიდებულია იმპორტზე. გაზის იმპორტი კი ძირითადად რუსეთიდან ხდება. ამ ეტპისათვის ქვეყნის გაზომომარაგებაში დაახლოებით 60% რუსეთზე მოდის. რუსეთი თვლის, რომ ამ მხრივ ბერკეტები გააჩნია, გავლენა ქონდეს თურქეთზე. ენერგორესურსების კვლევის ოქსფორდის ინსტიტუტის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, თურქეთი ისტორიულად ყველზე მეტადაა დამოკიდებული გაზის იმპორტზე. 1990 წლის შემდეგ ეს მაჩვენებლები თანდათანობით იზრდებოდა. შესაბამისად, ენერგორესურსების შესყიდვაზე ბილიონობით დოლარი გადის თურქეთის ბიუჯეტიდან. 2016 და 2017 წლებში თურქეთში შემოტანილი გაზის 53% რუსეთიდან იყო შესყიდული (Gaz supply changes in Turkey, 2018, p.2).

ეს ორი სახელმწიფო სავაჭრო-ეკონომიკური და ტურიზმით თვალსაზრისითაც ურთიერთდაკავშირებულია. რუსეთი და თურქეთი ერთმანეთისათვის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორებია. რუსეთმა ბოლოს სირიაში განვითარებული მოვლენების დროს დაიმუქრა თურქეთის მიმართულებით ეკონომიკურ სანქციების შემოღებით და თურქეთიდან შემოტანილ პროდუქციაზე ყადაღის დადებით. ასე, რომ ამ ქვეყნებს გააჩნიათ ბერკეტები უარყოფითი გავლენა მოახდინონ ერთმანეთზე.

რუსეთი, ცხადია, მაქსიმალურად ცდილობს, მისი ინტერესების შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა აიძულოს თურქეთს და გაანეიტრალოს მისი ძლიერი მხარეები. პარტნიორობის ლოზუნგით მან არაერთხელ მოუწოდა თურქეთს ერთობლივი ენერგოპროექტის რეალიზებაზე ეფიქრათ, რის

შედეგადაც თურქეთი მესამე ქვეყნის გავლის გარეშე მიიღებდა გაზს რუსეთისაგან.

რუსეთის მხრიდან მცდელობები, რომ გახადოს თურქეთი მის გაზზე დამოკიდებული ქვეყანა, 1990-იანი წლებიდან იწყება: ჯერ კიდევ 1997 წელს რუსეთმა თურქეთს ოფიციალურად შესთავაზა „ცისფერი ნაკადის“ პროექტი და წლის ბოლოსათვის, 15 დეკემბერს, მხარეებმა ხელი მოაწერეს კიდევ შეთანხმებას მისი რეალიზების თაობაზე (ამ პროექტს მხარს უჭერდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი მესულ ილმაზი. სწორედ მისი პრემიერობისას მოხდა ამ შეთანხმების ხელმოწერაც). განხორციელების შემთხვევაში ეს იქნებოდა 1240 კმ-ის სიგრძის მილსადენი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ღრმა მილსადენი იქნებოდა, ვინაიდან მას შავი ზღვის ფსკერზე უნდა გაევიღო. მას ტექნოლოგიურ სასწაულსაც უწოდებდა არაერთი ექსპერტი. „ცისფერი ნაკადი“ რუსულ „გაზპრომსა“ და მის იტალიურ პარტნიორ კომპანიას _ „ენის“ უნდა გაეკეთებინა. ეს ხაზი გაივლიდა რუსულ ნავსადგურ ჯუბგადან თურქულ პორტამდე, რომელიც სამსუნში მდებარეობს. ეს ნაკადი ყოველწლიურად 3 მლრდ. კუბურ მეტრ გაზს გაატარებდა და 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მოიმატებდა გამტარიანობა. შესაბამისად, 10 წლის შემდეგ, ანუ პირველადი პროექტით უკვე 2007 წლისათვის მისი გამტარიანობა 16 მლრდ კუბურ მეტრამდე ავიდოდა.

პროექტის რეალიზებას არაერთი წინააღმდეგობა შეხვდა. იმის გარდა, რომ „ცისფერი ნაკადი“ ტექნიკურად რთულად შესასრულებელი პროექტი იყო, მისი რეალიზება დიდ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ პროექტის ინიცირების შემდეგ დაიწყო აქტიური განხილვები ვაშინგტონსა და ანკარაში, რამდენად მომგებიანი იყო ამ პროექტის რეალიზება თურქეთისა და აშშ-ის ინტერესებისათვის. ანკარა თითქოს ლავირებას ცდილობდა, ენერჯის მიღების რამოდენი წყარო ქონოდა. 1999 წელს ვაშინგტონმა ღიად განაცხადა ანკარის გასაგონად, რომ არ მოსწონდა ეს პროექტი, ვინაიდან მისი რეალიზებით გაიზრდებოდა თურქეთის დამოკიდებულება რუსეთზე და ამ პროექტით ზიანი მიადგებოდა

სამხრეთკავკასიურ მილსადენებს, რომელსაც ვაშინგტონი ლობირებდა. თურქეთის რუსეთზე დამოკიდებულების გაზრდა არ აწყობდა აშშ-ს, ვინაიდან იგი ნატო-ს ერთ-ერთი დიდი ძალა და დასაყრდენია.

ამ პროექტზე ხელმოწერით განაწყენებული იყვნენ აზერბაიჯანშიც. ბაქო თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მნიშვნელობას „ცისფერი ნაკადი“ შეამცირებდა და თურქეთს, რომელიც ცენტრალურაზიური ენერგორესურსების დასავლეთისაკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო, მიაბრუნებდა/დამოკიდებულს გახდიდა რუსეთზე. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამ პროექტმა ვერ იმუშავა. თუმცა, მისი ინიცირება იყო რუსეთის ერთ-ერთი მცდელობა თავისი ინტერესების მსვლელობაში ჩაება თურქული მხარე. ამ პროექტს, და არა მხოლოდ ამ პროექტს, დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა რუსეთისათვის.

ბუნებრივი რესურსების საკითხში რუსეთისათვის „ცისფერი ნაკადი“ ერთ-ერთი პროექტი იყო. „ცისფერი ნაკადის“ მაგალითზე ვნახეთ და ჩვენ აღარ განვიხილავთ რუსეთის სხვა პროექტებს, რომელთა საშუალებითაც რუსეთი ცდილობს გავლენები მოიპოვოს თურქეთზე.

თურქეთი და საქართველო: საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს თუ გადავხედავთ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, ვნახავთ, რომ მისი ხასიათი ფაქტობრივად არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ ინტენსივობა. ეს ურთიერთობები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პარტნიორული: 1992 წლის ივლისის ბოლოს საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის მთავრობის ოფიციალური დელეგაცია პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელის მეთაურობით და 30 ივლისს კი ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულება, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993, №62(606) 26 მარტი, გვ. 6.). ამ ხელშეკრულების მიხედვით ორივე ქვეყანა აღიარებდა ერთმანეთის დამოუკიდებლობას,

ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვევობას, ეთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და გამოთქვამდნენ თანამშრომლობის გაღრმავების სურვილს. ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე ამ ჩარჩო-ხელშეკრულების ფარგლებში ვითარდება ორმხრივი ურთიერთობები. მთელი ამ დროის განმავლობაში ურთიერთობები ძალიან გაღრმავდა და იგი უამრავ ერთობლივ პროექტს ითვლის მეცნიერების, კულტურის, სამხედრო, უსაფრთხოების, ხელოვნების და სხვა სფეროებში. საქართველო და თურქეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან უდიდესი რეგიონული ენერგოპროექტების ფარგლებშიც. თურქეთი არის საქართველოს შეუცვლელი პარტნიორი ნატო-სთან ურთიერთობების გზაზე.

რაც შეეხება საქართველოს ფოკუსიდან ამ პროცესების შეფასებას: საქართველოს თავისი მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე გააჩნია შესაძლებლობა პრაგმატიზმზე აგებულ პოლიტიკურ კურსს ატარებდეს. მაგრამ, სტრატეგიული მდებარეობა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ქვეყანას აქვს ასეთი პოლიტიკის გატარების ფუფუნება. საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნები საგარეო პოლიტიკურ არჩევანს ცუდსა და უარესს შორის აკეთებენ. მათი პოლიტიკური ვექტორის ცვლილება რეგიონში შექმნილ პოლიტიკურ ამინდზეა დამოკიდებული. რეგიონში მიმდინარე პროცესები კი მსოფლიო წესრიგიდან გამომდინარეობს და წამყვანი პოლიტიკური აქტორების ინტერესებზეა მორგებული. ნეორეალიზმის კონცეფციის ფარგლებში საქართველოს აქვს თეორიული შესაძლებლობა, ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რაც მის სტრატეგიულ მდებარეობას მოაქვს ქვეყნისათვის, მაგრამ რეალურ პოლიტიკაში ეს არც ისე ადვილია. თუ პროცესებს ამ კუთხით შევაფასებთ, ოპტიმიზმის ნაკლები საფუძველი დარჩება, მაგრამ ეს არ უნდა იქნეს გაგებელი, როგორც გადაულახავი მოცემულობა. უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველომ მაინც მოხერხა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩართული აღმოჩნდა რამდენიმე გლობალურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტში, მაგალითად, ენერგოპროექტებში. მაგრამ, ეს საკმარისი არ არის.

საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ზურგს უკან უდგას არა მხოლოდ გეოგრაფიულად მცირე ქვეყანა, არამედ ეკონომიკურად სუსტი და ინსტიტუციურად ჯერ კიდევ გაუმართავი სახელმწიფო და ეს რეალობა არ მისცემს მას ბევრი მომგებიანი მანევრის გაკეთების საშუალებას, მაგრამ მას მაინც აქვს დიპლომატიური მანევრირების არჩევანი და ამ მიმართულებით მაქსიმალური აქტივობის განხორციელებაა რეკომენდებული.

მსოფლიოში და შესაბამისად, სამხრეთ კავკასიაში შექმნილი რეალობა საქართველოს გამუდმებით ამყოფებს იმ მდგომარეობაში, როცა აუცილებელია გარკვეული კონიუნქტურის გათვალისწინება. ასევე, ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მუდმივად იზრუნოს თანამშრომლობის გაღრმავებაზე რეგიონულ მეზობლებთან. ამ მიმართულებით ვფიქრობთ, უნდა გადაიხედოს ქვეყნის მიდგომები. და არა მხოლოდ საქართველოს მხრიდან. რეგიონის ყველა მეზობელმა სახელმწიფომ უნდა გაანალიზოს, რომ აუცილებელია მეტი თანამშრომლობა, ვინაიდან, სწორედ მეტი თანამშრომლობის პირობებში გახდება შესაძლებელი რეგიონში პოლიტიკური ბალანსის თანდათანობით შეცვლა, იმ პოლიტიკური ბალანსის, რომელიც იძულებითი ხასიათის ნაბიჯების გადადგმას აიძულებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს. თუ იქნება მყარი პოლიტიკური ნება რეგიონის სახელმწიფოთა მიდგომებში, პროცესები გამოვა ჩაკეტილი წრიდან და რეგიონულ ბალანსში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები თავიანთ ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ.

ამ პროცესებში საქართველოსთვის მომგებიანი იქნება, თუ მისი პოლიტიკური ელიტა იმუშავებს, წინა პლანზე წამოსწიოს თბილისის, როგორც პოლიტიკური ჰაბის ფუნქცია, რაც გულისხმობს იმას, რომ საქართველო ოფიციალურად გამოცხადდეს მაღალი დონის შეხვედრებისა და მოლაპარაკებების ცენტრად. მართალია, რეგიონის რამდენიმე სახელმწიფოს შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები (საქართველოსა და რუსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, სომხეთსა და თურქეთს შორის), მაგრამ, მათ შორის მიმდინარეობს პოლიტიკური დიალოგი და ამ შეხვედრების ადგილი ისედაც თბილისია. ვფიქრობთ, საქართველომ უნდა გააძლიეროს ეს ფუნქცია

და ჩამოყალიბდეს, როგორც პოლიტიკური ცენტრი, სადაც, პირველ რიგში მეზობელი ქვეყნების დელეგაციები შეძლებენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან დიალოგს. ანუ თბილისმა თავის თავზე უნდა აიღოს სამხრეთ კავკასიის რეგიონის, და არა მხოლოდ ამ რეგიონის, პოლიტიკურ ცენტრის ფუნქციები. თუ წარსულს გადავხედავთ, თბილისს ქონდა ასეთი ფუნქცია და ვფიქრობთ, თავს კარგადაც ართმევდა ამ როლის შესრულებას. ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს საქართველოს, როგორც მოდერატორი ქვეყნის როლის უკეთ გამოყენება რეგიონის, და არა მხოლოდ რეგიონის, სახელმწიფოთა შორის დიალოგში.

გეოგრაფიულად მომგებიანმა მდებარეობამ საქართველოს როლისა და ადგილის განსაზღვრაში ახალ მსოფლიო რუკაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა 1990-იანი წლების დასაწყისში. ეს არ იყო ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ დაგეგმილი სტრატეგიული ნაბიჯის რეალიზება, ეს იყო გეოგრაფიული მოცემულობა, ინტერესთა კარგი ურთიერთგადაკვეთა და ეს იყო ამერიკელ და არა მხოლოდ, პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა ინტერესების რეალიზება სამხრეთ კავკასიაში.

გვინდა შევხვით რეგიონის გეოპოლიტიკაში ერთ-ერთი აქტუალურ კითხვასაც, თუ რამდენადაა შესაძლებელი უახლოეს მომავალში რუსეთის მიდგომებში მოხდეს ცვლილებები. აქვს თუ არა აზრი, ველოდოთ რუსეთის მხრიდან, რომ დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორებთან. ეს კითხვები უკვე გარკვეულწილად დრომოჭმულ კითხვებად ქდერს, ვინაიდან რაიმე ცვლილების მოლოდინმა თითქოს აზრი დაკარგა. არადა, სწორედ ამ კითხვებზე დადებითი პასუხია ის ამოსავალი წერტილი, რომელიც ფუნდამენტურად შეცვლიდა მდგომარეობას რეგიონში და ეს სწორედ რუსეთისთვისაც მომგებიანი იქნებოდა. რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ უნდა გააცნობიეროს, რომ არა მხოლოდ „დერჟავული“ მეთოდებით შეუძლია დაიმკვიდროს ადგილი, როგორც წამყვანმა სახელმწიფომ, არამედ თანამშრომლობასა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე აგებულ

ურთიერთობებს მეტი სიკეთეების მოტანა შეუძლია ყველა მხარისათვის. თუ არ დადგება ეს მომენტი რუსული პოლიტიკის წინაშე, როგორც გარდატეხის წერტილი, მანამ ფაქტობრივად არარეალისტურია ველოდოთ რაიმე ცვლილებას იმ არსებული მდგომარეობისა, რომელშიც დღეისათვის ვიმყოფებით. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში სავსებით გასაგებია ის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებსაც იღებენ რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური ელიტები.

რას აკეთებს საქართველო იმისათვის, რომ სრულად იყოს ათვისებული ის შესაძლებლობები, რასაც მას გეოგრაფიული მდებარეობა აძლევს? ამ მხრივ არსებობს უამრავი კითხვა. ზოგიერთ მათგანზე ძნელია პასუხის გაცემა;

მართალია, საქართველო სუსტი სახელმწიფოა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში არ შეუძლია მისი ინსტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს და უწევს რეგიონში არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინება, მაინც ვთვლით, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთი შესაძლებლობა გამოტოვა, გამხდარიყო, როგორც ეკონომიკურად, პოლიტიკურადაც მეტად ძლიერი სახელმწიფო. სრულად ვერ იქნა ათვისებული და გამოყენებული მის ხელთ არსებული პოტენციალი. ვფიქრობთ, ახალი მიდგომების შემუშავებაა საჭირო და საგარეო პოლიტიკური მიზნების უკეთ განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს მის ევროატლანტიკური არჩევანის გზით მყარად სიარულს.

ვფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებამ ხანგრძლივადიანი მიზნებიდან გამომდინარე უნდა გააგრძელოს დიალოგი ყველა მხარესთან, მამ შორის რუსეთთან, ვინაიდან, აუცილებელია, როგორც დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, მრავალმხრივი ურთიერთობების ახალი ფურცლიდან დაწყებაც.

სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური მოცემულობის სიმძიმე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პოლიტიკოსებსა და ანალიტიკოსებს, რომლებიც ქმნიან ამ პოლიტიკას. ინტერესთა კონფლიქტი არ უნდა არღვევდეს ჭეშმარიტებასა და ბუნებრივ სამართალს. მშვიდობიანი

თანაცხოვრებისა და ადამიანის უფლებების პრინციპები არ შეიძლება სრულიად უგულებელვყოთ. ამ კონტექსტში საქართველომ უნდა გააგრძელოს მცდელობები, რათა მოხდეს გარღვევის მიღწევა და შესაბამისად, სასურველი პოლიტიკური შედეგების დადგომა.

თურქეთი და აზერბაიჯანი: ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები და სტრატეგიული პარტნიორობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში სცილდება მხოლოდ პარტნიორულ ურთიერთობებს. მოძმე ერების ურთიერთობები განსაკუთრებით მჭიდრო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა, გასაგები მიზეზების გამო.

მიუხედავად გარკვეული წყენებისა, აზერბაიჯანისათვის თურქეთი მაინც რჩება უფროს ძმად, რომელიც ყოველთვის დაიცავს მას და მხარს დაუჭერს. სწორედ აზერბაიჯანის გამო აქვს თურქეთს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობები სომხეთთან, რომელიც დღემდე ვერ დააღაგა. ეს საქციელი, კი ერთის მხრივ იყო დიდი ნდობისა და მხარდაჭერის გამოხატულება და მეორეს მხრივ ჩვენება, რომ ზოგჯერ ემოციები ჯაზნის რეალ-პოლიტიკას და გონივრულ დიპლომატიას, თუნდაც გამოუსწორებელი შედეგებით.

აზერბაიჯანსა და თურქეთს აკავშირებს უდიდესი ენერგოპროექტები სამხრეთ კავკასიაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-ერზრუმისა და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზის სახით და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან მონათესავეობა, რითაც თურქეთს სისხლით მონათესავე პარტნიორები და მხარდამჭერები ეგულება მის ახლო სამეზობლოში.

თურქეთი და სომხეთი: დიდი მცდელობის მიუხედავად, თურქეთი ვერ ახერხებს მის სამხრეთკავკასიურ პრაგმატულ პოლიტიკაში ჩართოს ეს ქვეყანა. რუსეთისაგან მისი მოცილება არა მხოლოდ თურქეთის გეგმებშია. ევროკავშირიც მუშაობს ამ მიმართულებით. რაში სჭირდება თურქეთს სომხეთი? ევროპისაკენ მაყურებელ თურქეთს ევროკავშირის პროტოკოლები ხშირად ახსენებს, რომ დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანასთან. ეს ფაქტი მისი კრიტიკის საფუძველს ხშირად იძლევა ევროპარლამენტარების მხრიდან და ამას ისიც ემატება, რომ თურქეთის

მისამართით გამოითქმის საყვედურები და დაჯინებული მოწოდება, აღიაროს გენოციდის ფაქტი, ბოდიში მოიხადოს ამ ერის წინაშე, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა გერმანიამ და გადაიხადოს კომპენსაცია. თურქეთისათვის, როგორც განვითარებული სახელმწიფოსათვის, წარუმატებლობად და მიუღებლად ითვლება, როცა თანამედროვე, ცივილურ სამყაროში ვერ ახერხებს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას რომელიმე ქვეყანასთან. სომხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თუ სხვა ტიპის თანამშრომლობის განვითარება უკვე მეორე ხარისხოვანია, თუმცა, ამ მიმართულებით ბევრი საინტერესო პერსპექტივა და ახალი შესაძლებლობები იხსნება მისთვის.

სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში თურქეთი დიდწილად წარმატებით ახორცილებს მის პროექტებს, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, მისი პოლიტიკა წარუმატებელია და გამოსავალს ვერ ნახულობს. რაც დრო გადის ეს პრობლემა უფრო ღრმავდება და კომპლექსური ხდება.

დასკვნები

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები აჩვენებს, რომ იგი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ პროცესებში დასავლეთი, რუსეთი და თურქეთი წამყვანი პოლიტიკური მოთამაშეები არიან, რომელთაც თავიანთი გამოკვეთილი ინტერესები გააჩნიათ და თითოეულ მათგანს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესების „დარეგულირების“ საკუთარი მოდელები/მიდგომები გააჩნიათ. განსხვავება მხოლოდ მათ მეთოდებშია: დასავლეთი, ასევე თურქეთი, გავლენისათვის ეკონომიკურ და საგანმანათლებლო მეთოდებს იყენებს (და თანაც წარმატებით) და ცდილობს, კონტროლი ქონდეს ენერგეტიკულ პროექტებზე. რუსეთი კი ყველა მეთოდს იყენებს. პირველ რიგში, ძალისმიერს და თუ ამერიკელი ანალიტიკოსის რონი ასმუსის ერთი საინტერესო შეხედულების პერიფრაზს მოვახდენთ, „მე-19 საუკუნის თამაშის წესები დღეს სრულიად გამოუსადეგარიც არაა“ (ასმუსი, 2010, გვ. 9.), ისინი კვლავ აქტუალურია. ცივი ომის შემდეგ რუსეთი მცდელობას არ აკლებს, ჩამოაშოროს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები (ცენტრალურ აზიასთან ერთად) დასავლეთის ხაზს (Kasim, 2011, p.121.).

გასული საუკუნის 90-ინი წლების პოსტსაბჭოთა სივრცე, უფრო სწორად, სამხრეთ კავკასია, მსოფლიოს თვალში აღიქმებოდა კონფლიქტურ რეგიონად, სადაც ადგილი არ ქონდა არც სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიან პარტნიორულ ურთიერთობებს, არც რეგიონული უსაფრთხოების ელემენტარული გარანტიები არსებობდა. მაგრამ, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მომხდარმა ცვლილებებმა სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო მნიშვნელობა კარგად გამოკვეთა, რასაც გავლენიანი პოლიტიკური მოთამაშეების გააქტიურება მოყვა ამ რეგიონში. უყურებდა რა ამ პროცესებს, რუსეთის ფედერაციამ ხელი შეუწყო კონფრონტაციისა და კონფლიქტების გაღვივებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელთა წარმოშობასაც¹⁴⁰

საფუძვლები ჩაეყარა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაფუძნების დროიდან და პროგნოზირება გაუკეთა სამხედრო დაპირისპირებას.

პროცესები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომამდე მივიდა. ამ ომმა სამხრეთ კავკასიაში დაახლოებით ორი ათეული წლის განმავლობაში არსებული სტატუს-კვო და ძალთა ბალანსის სისტემა ფაქტობრივად, ძირეულად შეცვალა.

იმის გამო, რომ რუსეთის მკვეთრმა ნაბიჯებმა საქართველოს მისამართით შექმნა ვითარება, როცა თურქეთი შესაძლოა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩენილიყო და პროცესების უარესი სცენარით განვითარების შემთხვევაში, მისთვის დაკეტილიყო კიდევ სამხრეთ კავკასიაზე გამავალი კორიდორი, რომელიც ცენტრალური აზიისაკენ მიმავალ გზაზეა და ორივე ეს რეგიონი თურქეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, თურქეთი უკვე ღიად აფიქსირებს საკუთარ ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში; 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი აღმოჩნდა ბიძგის მიმცემი თურქეთისათვის, რომ უკვე როგორც დამოუკიდებელ მოთამაშეს, ისე ემოქმედა და ფაქტობრივად, პირველი ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით.

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქული მოდელის რეალიზების ჩაშლის მიზეზების ძიებისას გვებადებოდა კითხვა, ხომ არ იყო შეცდომა თურქეთის მხრიდან ამ ფორმით და ამ ფორმატის მოდელის ინიცირება? თუ თურქეთი დარწმუნებული იყო, რომ სწორი მიგნების ინიცირებას ახდენდა, რატომ არ გააჟღერა ეს ინიციატივა ანკარაში? მოსკოვში მისი გაჟღერება, თავისთავად ხომ არ ნიშნავდა მოსკოვის უპირატესობის აღიარებას? თუ ანკარას ჯერ კიდევ არ ქონდა იმდენი თავდაჯერებულობა, თამამად მოეხდინა თავისი მიზნების რეალიზება, შედეგებისთვისაც მზად უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, ანკარაში აცნობიერებდნენ ამ საკითხს და ესმოდათ, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, ვერ დაძლეოდნენ რუსეთის წინააღმდეგობას, მაგრამ თურქეთმა მაინც მოსინჯა როგორც საკუთარი, ასევე, რუსეთის ძალებიც.

მიუხედავად იმისა, რომ თურქული მოდელების რეალიზება ვერ მოხერხდა და იუჯინ კოგანის ნათქვამს თუ მოვიშველიებთ, „ერთი წლის თავზე, მხოლოდ თურქეთს თუ ახსოვდა ამ მოდელის შესახებ“ (ამერიკელ მეცნიერთან ინტერვიუ ჩავწერეთ თბილისში, 2015 წლის მაისში). ეს იყო თურქეთის მცდელობა, ემოქმედა ახალი პოლიტიკური სტრატეგიიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში მეორე ხარისხოვანია, წარმატებული აღმოჩნდა თუ არა ეს მცდელობა, ვინაიდან, საკუთარი ინტერესებისათვის ბრძოლა არასოდეს არის წარუმატებელი.

2008 წლის ომის შემდგომ განვითარებულმა პროცესებმა დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს სუვერენიტეტს: უკვე მერამდენედ არა მხოლოდ დაირღვა მისი ტერიტორიული მთლიანობა, არამედ, მეზობელმა რუსეთმა აღიარა ქვეყნის ორი ძირძველი რეგიონის დამოუკიდებლობა. ერთი, რაც შეიძლება პოზიტიურ მომენტად ჩაითვალოს მთელ ამ პროცესებში არის ის, რომ დარწმუნდა მსოფლიო პოლიტიკური საზოგადოება ქართული მხარის სიმართლეში, როცა რუსეთიდან მომავალ ფარულ გეგმებსა და მცოცავ აგრესიაზე განუწყვეტლად საუბრობდა.

სომხეთისათვის 2008 წლის ომის პროცესები განისაღვრა გარკვეული ფინანსური ზარალით, რომელიც მან სახმელეთო და საზღვაო გზების დროებითი გადაკეტვით მიიღო.

აზერბაიჯანისათვის ეს იყო ევროპის მხრიდან გზავნილის მიღება, მყარი გადაწყვეტილება მიეღო დემოკრატიული სისტემის აშენების სასარგებლოდ ქვეყანაში. ევროპის გადასახედიდან კი ამ პროცესებს მოყვა ენერგორესურსების ალტერნატიული გზებით მიღების გამაღებული ძიება, რათა გათავისუფლებულიყო რუსეთისაგან ესოდენ დიდი ენერგო-დამოკიდებულებისაგან.

ვფიქრობთ, სამხრეთ კავკასიის რეგიონული პრობლემების დარეგულირება მხარეების პოლიტიკური ნების გარეშე შეუძლებელია. თუ დათმობებისა და ამის სანაცვლოდ მიღებული სტაბილური რეგიონული წესრიგის შედეგებით მიღებულ სიკეთეზე არ იქნა ორიენტირებული ამ

საკითხების გადაწყვეტა, კიდევ დიდხანს ვერ მოხერხდება ყველაზე გავლენიან რეგიონულ აქტორთან – რუსეთთან გამკლავება და ეს სწორედ რუსეთმა უნდა გააცნობიეროს, პირველ რიგში.

რეგიონული უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტას, არსებული რეალობისა და მისი სირთულის გათვალისწინებით, ან დიდი პოლიტიკური ნება ან დიდი გეოპოლიტიკური ძვრები სჭირდება. მაგრამ, შესაბამისი ეტაპის დადგომამდე, რეგიონში მშვიდობითა და სტაბილურობით დაინტერესებულმა ძალებმა არ უნდა მოადუნონ ყურადღება და არ შეწყვიტონ მცდელობები.

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად ჯერ-ჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდა ფორმატის მოძებნა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა რეგიონისათვის აქტუალური საკითხების დარეგულირება, მაინც ვთვლით, რომ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები და ამ პროცესებით მსოფლიო თანამეგობრობის დაინტერესება ნიშანია იმისა, რომ დიალოგი მიმდინარეობს და პროცესები ერთ დღეს მივა გარკვეულ შედეგებამდე. თუმცა, თავად მოდელის თემას რაც შეეხება, კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ პოლიტიკური მოდელი არაა ის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც რეგიონული უსაფრთხოების პრობლემების დარეგულირებაა შესაძლებელი. საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის – ეკატერინე ტყეშელაშვილის მოსაზრებას თუ გავიმეორებთ „არ არსებობს მოდელი, რომლის ფარგლებშიც რეგიონული პრობლემები მოგვარდება. ეს შესაძლებელია პირდაპირი პოლიტიკურ დიალოგის გზით წამყვან პოლიტიკურ აქტორებთან ან რეგიონის ცხოვრებაში, ან მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი გარკვეული ცვლილების შემდეგ“ (ინტერვიუ ავწერეთ 2015 წლის მარტში).

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კვლევა, დაფუძნებიდან თანამედროვე ეტაპამდე, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ტრანსფორმაციის საინტერესო სურათს იძლევა: უცვლელ პრიორიტეტად დასახელებული სეკულარიზმის გზას, ახალი საგარეო პოლიტიკური პლატფორმის შემუშავების პერიოდიდან, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან პრიორიტეტებად დასახელებული საგარეო პოლიტიკური

მიმართულებები დაემატა: 1990-იანი წლების მიხედვით ურთულესი პროცესი, ამ იდეოლოგიის ავტორის მიხედვით, გავიდა გადაწყვეტილებებზე, რომლის მიხედვითაც თურქეთს პირველ რიგში უკვე თავად უნდა დაეგეგმა და გადაეწყვიტა რა სურდა ანუ დასავლეთის მოკავშირიდან დამოუკიდებელ მოთამაშემდე უნდა მისულიყო და მეორე, უკვე როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთამაშეს, თავისი ინტერესების არეალები მოენიშნა. ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინის მიხედვით, ახლო აღმოსავლეთი, შავი ზღვის რეგიონის აუზი, სამხრეთ კავკასია და ცენტრალური აზია ის რეგიონებია, სადაც თურქეთი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვა თამაშს ითამაშებდა.

2008 წელს, თურქეთის მაშინდელი პრემიერის - რეჯეფ ტაიფ ერდოღანის მიერ წამოყენებული წინადადება სწორედ თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკური პლატფორმის შემადგენელი ნაწილი და მისი რეალიზების მცდელობა იყო.

რუსეთი, როგორც ტონის მიმცემი სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური ვითარებისა, რათქმაუნდა, არ დაუშვებდა თურქეთის მიერ შემოთავაზებული წესებით რეგიონში პროცესების წარმართვას. როგორც უკვე დრომაც აჩვენა, ასეც მოხდა. თურქეთის მიერ ინიცირებული პლატფორმა ჩავარდა. ეს ნაწილობრივ მოსალოდნელიც იყო. მაგრამ, მთელ ამ პროცესებში უმნიშვნელოვანესია სხვა რამ: თურქეთი, უკვე როგორც დამოუკიდებელი მოთამაშე გამოსულია არენაზე და მისი ქმედებები მარტო ამ პლატფორმის ინიცირებით არ შემოიფარგლება.

იმ რთული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც სამხრეთ კავკასია იმყოფება, ძნელია უახლოეს მომავალში, უახლოეს ათწლეულში, ველოდეთ ვითარების დასტაბილურებას და რეგიონში არსებული პრობლემების – კონფლიქტების, ეკონომიკური მდგომარეობის, ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მდგომარეობის მკვეთრად გამოსწორებას. ეს

არის მიზნები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში მხოლოდ მაშინაა მიღწევადი თუ შედარებით მშვიდი, სტაბილური პოლიტიკური გარემო შეიქმნება და მხოლოდ ამის შედეგად, წლების განმავლობაში მიზანმიმართული შრომა გარკვეული ტიპის შედეგებს მოიტანს. მაგრამ, საქმე ისაა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე ტენდენციების ფონზე, სტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნა კავკასიაში არცთუ ადვილად მიღწევადია. მითუმეტეს მაშინ, როცა იგი არანაკლებ რთულ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს ემეზობლება.

ამ ორ რეგიონში არსებული კონფლიქტების ხასიათსა და ტენდენციებზე დაკვირვებით, ვფიქრობთ, უახლოესი ერთი ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკური რუკის ცვლილების მომსწრეც კი შეიძლება გავხდეთ. პროფესორმა კამერ კასიმაც თქვა ჩვენთან ინტერვიუს ჩაწერისას, რომ არ გამორიცხავს სამხრეთ კავკასიაში ინტერესთა კონფლიქტმა ახალი სამხედრო დაპირისპირებაც მოიტანოს (ინტერვიუ ჩაწერეთ 2015 წლის ივნისში).

მთელ ამ პროცესებში თურქეთი უკვე ცდილობს, რეგიონული ლიდერის როლი მოიზღოს და ცდილობს, საკუთარი წესრიგის შემოტანასა და დამკვიდრებას მეზობელ ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრული აზიის რეგიონებში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივ ხელშესახებია მისი ლიდერობა, რუსეთის ფაქტორი არის ის ზღუდე, რომელსაც მუდმივად შეეჯახება თურქეთის ინტერესები. უახლოესი ათწლეულის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობთ, ნაბიჯ-ნაბიჯ გაიზრდება თურქეთის როლი მის სამეზობლოში, ის ვერ ჩაანაცვლებს რუსეთის პოლიტიკურ ყოფნას ამ რეგიონებში. ასეთ სიტუაციაში კი რეგიონული უსაფრთხოების მოდელის წამოყენება იყო კიდევ ერთი კარგი მცდელობა თურქეთის მხრიდან, ეცადა და შეეზღუდა რუსეთის გაზრდილი პოლიტიკური მადა და შეეხსენებინა მისთვის, რომ მსოფლიო უნიპოლარული ან თუნდაც, ბიპოლარული არაა და მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში მისი გავლენა ძალზედ დიდია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თურქეთი აპირებს უარი თქვას მის გეგმებზე.

თურქულ დიპლომატიურ სკოლას არ უნდა გაუკვირდეს იმის მოსმენა, რომ ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში ხშირად სპონტანურად მოქმედებდა და არ ქონდა სტრატეგიულად გათვლილი პრაგმატული საგარეო პოლიტიკური კურსი. ამის გამოვლინებაა სომხეთთან საზღვრის ჩაკეტვაც; თუ თურქეთი საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებისას მეგობრობის პრინციპებით ხელმძღვანელობს? თუ ეს ვერსია რეალობასთან ახლოსაა, მაშინ ეს თურქეთის სისუსტის გამოვლინებაა. თუ აზერბაიჯანის შემთხვევაში „ძმობის“ ფაქტორი აქტუალურია, რატომ არაა ეს ფაქტორი აქტუალური მომხმე ცენტრალურაზიურ ხალხებთან ურთიერთობისას. თუ სამხედრო ჩარევა და ომის ფაქტორია გადამწყვეტი? რუსეთის მხრიდან ცენტრალური აზიის რესუბლიკების მიმართ გატარებული პოლიტიკა რატომ არ აღიქმება პოლიტიკურ ზეწოლად თურქეთისათვის და არ უჩნდება მათ მიმართაც თანადგომის განცდაზე აგებული პოლიტიკური კურსის გატარების სურვილი. ვინ, თუ არა თურქეთმა ხომ კარგად იცის, რომ რბილი ძალის პოლიტიკა არანაკლებ კარგად მუშაობს, ვიდრე უხეშ სამხედრო ძალაზე დაფუძნებული პოლიტიკა. ანუ იმის თქვა გვსურს, რომ თურქეთი იმკის 1990-იანი წლების პოლიტიკაში „მეგობრობასა“ და პრაგმატიზმზე აგებულ არათანმიმდევრულ საგარეო პოლიტიკურ კურსს შორის ბალანსის ვერ შენარჩუნების შედეგებს.

ამ „მეგობრობის“ დამსახურებით დაშვებული შეცდომის გამოსწორებას ეცადა თურქული დიპლომატია სომხეთთან „საფეხბურთო დიპლომატიის“ რაუნდის დაწყებით, მაგრამ, 1993 წლის შემდეგ პროცესები უკვე იმდენად შორს იყო წასული, თურქული პოლიტიკა აშკარად ჩიხში შევიდა. ამ ჩაკეტილი საზღვრის გამო, თურქულ პოლიტიკურ ელიტას ხელ-ფეხი აქვს შეკრული რეგიონში და ვერ ახერხებს იმოქმედოს, როგორც, თუნდაც რეგიონულმა ლიდერმა ქვეყანამ.

„საფეხბურთო დიპლომატია“ თურქეთის მეორე წარუმატებელი პოლიტიკური პროექტია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამის მიზეზები, როგორც თავად თურქეთის საგარეო პოლიტიკის დაგეგმვაში, ასევე, სამხრეთ კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ვეძიოთ.

თურქეთის ეს წამოწყება მისთვის სასურველი შედეგებით რომ დასრულდებოდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონი სრულიად ახალი პოლიტიკური და ენერგოპოლიტიკური რეალობის წინაშე აღმოჩნდებოდა. ეს შეცვლიდა ძალთა ბალანსს რეგიონში და ეს იქნებოდა რუსეთის, როგორც სუპერძალის გაუვნებელოების დასაწყისი, რაც გაზრდიდა არა მხოლოდ თურქეთის, არამედ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების მნიშვნელობას და მათ როლს რეგიონულ პოლიტიკაში. მაგრამ, რუსული პოლიტიკა სწორედ რომ ამ ბალანსის გასაძლიერებლად იბრძოდა იგივე 2008 წლის ზაფხულშიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ასე მარტივად არ მისცემდა თურქეთს, ან სხვა ძალას, საშუალებას მისი ინტერესების სფეროში შემოსულიყო.

თუ „ვიკილიქსის“ გახმაურებულ მასალებს (Cicere, 2010) დავესესხებით, რომ თურქეთი 2008 წლის აგვისტოში მზად იყო სამხედრო დაპრისპირებისთვისაც რუსეთთან თუ მისი შენაერთები თურქეთის საზღვარს 100 კილომეტრის რადიუსში მიუახლოვდებოდნენ, მაშინ, ნათელია, რომ საკითხი არც თუ მარტივად დგას და სამხედრო დაპრისპირებაზეც კი მიდიოდნენ მხარეები.

ნეორეალიზმის თეორიის კონტექსტში შეიძლება ითქვას, რომ ის საერთაშორისო ბალანსი, რომელსაც გარკვეულწილად ქმნის რუსეთი, სხვა სუპერძალებთან ერთად, ჯერ-ჯერობით არ აძლევს საშუალებას თურქეთს დაიმკვიდროს თავი, როგორც ძლიერმა მოთამაშემ სამხრეთ კავკასიის რეგიონში. სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური მელოდია, ყოველშემთხვევაში ამ ეტაპისათვის, რუსული ჰიმნია. არსებული საერთაშორისო სისტემა აიძულებს თურქეთს დასჯერდეს იმ როლს, რომელშიც ის დღეისათვის იმყოფება.

თუმცა, არიან ავტორები, რომლებიც სხვაგვარად თვლიან. მაგალითად, როგორც ფრანგ ბერნარდ დრანოს მიაჩნია, ქვეყნის სიძლიერის შეფასებისას იგი მარტო პოლიტიკურ ჭრილში არ უნდა გაინიხილო. მისი მოსაზრებით, თურქეთი კავკასიაში უკვე მთავარი მოთამაშეა. ამას აზერბაიჯანისა და საქართველოს ეკონომიკის მაგალითებზე დაკვირვებაც ადასტურებს, სადაც

თურქეთი ნომერ პირველი ინვესტორია და იგივეს მოწმობს სომხეთთან სასაქონლო ბრუნვაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს შორის საზღვრები დახურულია (Dreano, 2008).

შეუძლებელია არ დაეთანხმო არა მხოლოდ ამ ავტორს, სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვის მონაცემები მართლაც ამას ადასტურებს, მაგრამ, თუ პოლიტიკურ გოლებს დავითვლით, თურქეთი ამ მხრივ არცთუ წარმატებულია.

იმ პრობლემებს შორის, რომლებიც ხელისშემშლელ ფაქტორებად წარმოჩინდნენ „საფეხბურთო დიპლომატიის“ პროცესისას, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული ის ღრმა წინააღმდეგობებია, რომელთა ირგვლივაც უკვე დიალოგიც კი ეროვნული ინტერესების ღალატად აღიქმება. იგივე გენოციდის აღიარების საკითხი და მთიანი ყარაბაღის თემა. ეს ის თემებია, რომლებიც უკვე მჭიდროდ დაუკავშირდა ორ ქვეყანას შორის საზღვრის გახსნის თემას. მაგრამ, მაინც, მისასალმებელია ყოველი მცდელობა, რომელიც მათ მშვიდობიან გადაწყვეტას სტიმულს მისცემს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მხოლოდ ერთი უდავო დასკვნის გამოტანა შეგვიძლია: სომხეთი, როგორც რეგიონულ კონტექსტშიც კი არც თუ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორი, საკმაოდ დიდი მნიშვნელობის შემაფერხებელი ფაქტორია თურქეთისათვის კავკასიურ პოლიტიკაში და ძალზედ წარმატებით გამოყენებადი ფაქტორი რუსული დიპლომატიის ხელში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გაკონტროლების მიზნით. რაც შეეხება აზერბაიჯანს, მისთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტერიტორიული ერთიანობის საკითხი დიდი ხანია გადაეჯაჭვა ამ სახელმწიფოს ხსენებას.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თუ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში არ მოხდა გარღვევა რუსეთთან დამოკიდებულებაში, მისი მეზობელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მცირე რესპუბლიკებისათვის რთული იქნება შეცვალონ მათ ირგვლივ არსებული რეალობა და თავი დააღწიონ რუსეთისაგან მომდინარე საფრთხეებს.

ვფიქრობთ, რომ საკითხის სიღრმისეული შესწავლითა და პროცესების

მრავალმხრიობის წარმოჩენით შევძელით ჩვენი კვლევით ჰიპოთეზის დამტკიცება, რომ უსაფრთხოების მოდელების ინიცირებას არ გაუზრდია თურქეთის გავლენები სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ვფიქრობთ, თურქეთი, როგორც რეგიონული ძალა, კვლავ აქტიური დიპლომატიური მანევრებით გააგრძელებს თავისი ინტერესების ლობირებას არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მცდელობა, შეეტანა დისონანსი რეგიონულ ბალანსში, წარუმატებელი აღმოჩნდა. თურქული დიპლომატიური უწყება არასახარბიელო ვითარებაში აღმოჩნდა, ვინაიდან მის მიერ გაწეული უზარმაზარი შრომა არ აღმოჩნდა ნაყოფიერი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ასმუსი, დ. რ. (2010). *მცირე ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო*, თბილისი, ლიგამუსი, ილიაუნი.

ბილანიშვილი, გ. (2018). *საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ბოლოდროინდელი დინამიკა*, თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

გოგოლაშვილი, კ., ევროკავშირის რბილი ძალა და სომხეთის (რ)ევოლუცია, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/832>

თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 (2014). თბილისი, თსუ.

თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაცია: მნიშვნელობა რეგიონისთვის, 07.05.2010, <<http://www.amerikiskhma.com/a/a-54-2009-09-30-voa17-93122494/525315.html>>

თურქეთ-სომხეთის შერიგების კომიტეტი, <<http://www1.american.edu/cgp/TARC/mem.htm>> ბოლო ნახვა: 14.06.2017.

კოგანი, ი. (2014). *რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და რეალური ვითარება შავი ზღვის რეგიონში*, თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

კოგანი, ი. (2013). *ორმხრივი ურთიერთობები: რუსეთი/ევროკავშირი/ნატო/ამერიკა-საქართველო*, თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

მანჩხაშვილი, მ. (2014). *თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს*, თბილისი, უნივერსალი.

მაკფარლენი, ნ. (აპრილი, 2015). *ოცნების ორი წელი: საქართველოს საგარეო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში*, Chatham House, რუსეთისა და ევრაზიის პროგრამა, <<https://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/publications/research/20529GeorgianForeignPolicyMacFarlaneGeorgian.pdf>>

მენტეშაშვილი ალ., (2000). *კავკასიისა და ცენტრალური აზიის როლი*

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში, ისტორია-ფილოლოგია II, თბილისი, თსუ, 2000.

ნოდია, გ. (2010) *თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების მოსალოდნელი დარეგულირება: გავლენა საქართველოზე ახალი გამოწვევები თუ ახალი შესაძლებლობები?* – პოლიტიკის ანგარიში, თბილისი, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, <http://cipdd.org/files/40_488_378252_5GEO.pdf>

“სომხეთი და საქართველო: შიდაპოლიტიკური განვითარების დინამიკა და საგარეო მიზიდულობის ცენტრები” (17 თებერვალი, 2014 წელი), ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო, საჯარო დისკუსია.

Abushov, K., Policing the near abroad: Russian foreign policy in the South Caucasus, *Australian Journal of International Affairs*, Volume 63, Issue 2, June, 2009, pp. 187-212.

Aydin M., Turkey’s Caucasus Policy; *UNISCI Discussion Papers*, N° 23, (May/2010).

Aydin M., Geopolitics of Central Asia and The Caucasus: Continuity and Change since the end of the cold war, *The Turkish Yearbook*, vol. XXXII, 2001, s.167-217.

Aydin M., Turkish Foreign Policy at the end of the cold war: roots and Dynamics, *The Turkish Yearbook*, Vol. XXXI, 2005, s.2-36.

Aydin M., Turkey’s Policies toward the South Caucasus and its Integration in the EU, Geopolitical Changes in the Post-Soviet Caucasus, *Quaderni di Relazioni Internazionali*, n. 1/2006, pp. 69-84.

Aydin, M., Schmidt, A., Huseynov, H., Iskandaryan, A., Zagorski, A. (October, 2009). *After Soccer Diplomacy: The Turkish-Armenian Relations*.

Ankara's Caucasus initiative to gain impetus this week, <www.Today'sZaman19.08.2008.>

Armenia-Turkey: “football diplomacy” over, 15.10.2009, <http://news.am/eng/news/6568.html>

Ankara's Caucasus initiative to gain impetus this week, available online at: <http://www.Today'sZaman.com>, ზოგადი ნახვა: 19.08.2016.

Asatryan, G., Armenia and Security Issues in the South Caucasus, *Connections*, Vol. 1, No. 3 (September 02), pp. 20-30.

Ayman, G., Turkey and Iran: Between Friendly Competition and Fierce Rivalry, *Arab Studies Quarterly*, Vol. 36, No. 1 (Winter 2014), pp. 6-26.

Aybet, G., and Meltem Müftüleri-Bac, Transformations in Security and Identity after the Cold War: Turkey's Problematic Relationship with Europe, *International Journal*, Vol. 55, No. 4 (Autumn, 2000), pp. 567-582.

Baev, P., ...The South Caucasus: A challenge for the EU, *Challot Papers*, 65, December, 2003.

Baghdasaryan, S., Armenia-Iran: From Close Neighborhood to Closer Cooperation, *STAFF ANALYSIS*, Vol. 5 No. 3 | February 2016, pp.1-6.

Begoyan, A., *United States Policy in the South Caucasus: Securitisation of the Baku: Ceyhan Project, Iran & the Caucasus*, Vol. 8, No. 1 (2004), pp. 141-155.

BAZOGLU S.D., Ukraine, Turkey and the Black Sea Region, *Harvard Ukrainian Studies*, Vol. 20, UKRAINE IN THE WORLD: Studies in the International Relations and Security Structure of a Newly Independent State, 1996, pp. 79-101.

COHEN, A., Paving the Silk Road: US Interests in Central Asia and the Caucasus, *Harvard International Review*, Vol. 22, No. 1 (WINTER/SPRING 2000), pp. 70-74.

Celikpala, M., Turkey as a Regional Power and the Caucasus, *INSIGHT TURKEY*, Vol. 9, Number/2.2010. pp. 25-30.

Celikpala, M., 2014, *Security in the Black Sea region, policy report II*, available online at: <<http://www.blackseacom.eu>>

Chang, C.P., Berdiev A.N., Lee C.C., Energy exports, globalization and economic growth: The case of South Caucasus, *Economic Modelling*, Volume 33, July 2013, pp. 333-346.

Champion, M., *Armenia Scraps a Border Deal With Turkey*, 20.04.2010, <<http://www.wsj.com/articles/SB10001424052748704830404575200191373628642>>

Chislett, W., Turkey and Armenia Move to Bury the Hatchet (ARI), 72/2009.

Chenoy, A., The Russian-Georgian Confrontation, *Economic and Political Weekly*,

Vol. 43, No. 34 (Aug. 23 - 29, 2008), pp. 17-18.

Craig, R., Nation, Russia and the Caucasus, *Connections*, Vol. 14, No. 2 (Spring 2015), pp. 1-12.

Davutoğlu Ah., Turkish-Armenian Relations in the Process of De-ottomanization or “Dehistorization”, Is a “Just Memory” possible? *Turkish Policy Quarterly*, Vol.13, No:1/Spring 2014, pp. 21-32.

Efremenko, V.D., NEW RUSSIAN GOVERNMENT'S FOREIGN POLICY TOWARDS EAST ASIA AND THE PACIFIC, *The Journal of East Asian Affairs*, Vol. 26, No. 2, (Fall/Winter 2012), pp. 77-102.

Eissler, E., Can Turkey De-Isolate Abkhazia? *Turkish Policy Quarterly*, Vol.12, No:3/Fall 2013, s.125-136.

Efe H., TURKISH POLICY TOWARDS SOUTH CAUCASIAN REGION AND STABILITY IN THE SOUTH CAUCASUS, *INTERNATIONAL JOURNAL Of ACADEMIC RESEARCH*, Vol. 3. No.4. July, 2011, II Part, pp. 432-440.

ENTINA, E., Russia's return to the international arena. How the Eurasian Economic Union should be estimated? *Rivista di Studi Politici Internazionali*, Vol. 81, No. 4 (324)(OTTOBRE-DICEMBRE 2014), pp. 527-544.

Elaheh Koolae and Mohammad Hossein Hafezian, The Islamic Republic of Iran and the South Caucasus Republics, *Iranian Studies*, Vol. 43, No. 3 (JUNE 2010), pp. 391-409.

Fotiou, E. (2009). “Caucasus Stability and Cooperation Platform”: What is at Stake for Regional Cooperation? https://www.files.ethz.ch/isn/104737/PB_16.pdf

“Football diplomacy” ended: Who will first ratify protocols? 15.10.2009, <<http://www.panorama.am/en/news/2009/10/15/diplomacy/1198895>>

Garnett, Sh., Russia's Illusory Ambitions, *Foreign Affairs*, Vol. 76, No. 2 (Mar.-Apr., 1997), pp. 61-76.

German, T., Regional Cooperation in the South Caucasus: Good Neighbours or Distant Relatives? *Mountain Research and Development*, Vol. 33, No. 4 (Nov 2013), pp. 476-484.

Gomart, T., Russia Alone Forever? The Kremlin's Strategic Solitude, *Politique étrangère*, Vol. 73, *Special Issue: World Policy Conference 2008* (Autumn 2008), pp. 23-33.

Gvosdev, N., Moscow Nights, Eurasian Dreams, *The National Interest*, No. 68, (Summer 2002), pp. 155-160.

Grigoryan, M., Armenia: Yerevan Growing More Cautious on Reconciliation with

<<http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav010610.shtml>>

GILLES, B., Turkish Diplomacy since 2003: Transition from Realpolitik to a Liberal Foreign Policy? *Perspectives*, Vol. 21, No. 2, Special Issue: The Changing Role of Diplomacy in the 21st Century (2013), pp. 63-82.

Gurbanov, I., EU-Azerbaijan Relations Set for Bright Future, <https://emerging-europe.com/voices/eu-azerbaijan-relations-set-bright-future/>

Göksel, N.S., (June, 2013). *Turkey and Georgia: Zero-Problems?* The German Marshall Fund of the United States, Strengthening Transatlantic Cooperation.

Hancock, K., RUSSIA: GREAT POWER IMAGE VERSUS ECONOMIC REALITY, *Asian Perspective*, Vol. 31, No. 4, Special Issue on "The BRICs Countries (Brazil, Russia, India, and China) in the Global System" (2007), pp. 71-98.

Helly, D., The Role of the EU in the Security of the South Caucasus A Compromised Specificity? *Connections*, Vol. 1, No. 3 (September 02), pp. 67-76.

Hakura, F., TURKEY: Moving East, or West?, *The World Today*, Vol. 66, No. 3 (March, 2010), pp. 24-26.

Iskandaryan, A., Minasyan, S., Pragmatic Policies vs. Historical Constraints: Analyzing Armenia-Turkey Relations, *Caucasus Institute Research Papers*, #1, January, 2010.

Kakachia, K. & Cecire M. (Eds.) (2013). *Georgian Foreign Policy*, The Quest for Sustainable Security, Konrad Adenauer Stiftung.

Kakachia, K., Challenges to the South Caucasus regional security aftermath of Russian-Georgian conflict: Hegemonic stability or new partnership? *Journal of Eurasian Studies*, 2 (2011), p.15–20.

Kardaş, S., Turkey-Russia energy relations: The limits of forging cooperation through economic interdependence, *International Journal*, Vol. 67, No. 1, Charting the new Turkish foreign policy (Winter 2011-12), pp. 81-100.

Kluge, P., Turkish Views on Christians: Implications for Armenian-Turkish Relations, *Iran & the Caucasus*, Vol. 12, No. 2 (2008), pp. 363-376.

Langerak I., Regime Stability In Azerbaijan, *Turkish Policy Quarterly*, Vol.12, No:4/Winter 2014, s.125-136.

Lynch D., Why Georgia Matters?, *Challot Papers*, 86, February, 2006.

LUKÁŠ TICHÝ and PETR KRATOCHVÍL, The EU-Russia Energy Relations under the Prism of the Political Discourse, *Perspectives*, Vol. 22, No. 1 (2014), pp. 5-32. Published by: Institute of International Relations, NGO, Stable <URL <http://www.jstor.org/stable/24624579>>

LARRABEE, S., (2008). Security Challenges, Book Title: Turkey as a U.S. Security Partner, RAND Corporation.

Lasocki, J., ARMENIA AND TURKEY: Political Football, *The World Today*, Vol. 65, No.10 (October 2009), pp. 22-23.

Laqueur, W., STATE OF MIND: A Future Russia, *World Affairs*, Vol. 177, No. 5 (JANUARY / FEBRUARY 2015), Published by: Sage Publications, Inc. pp. 54-60.

Lech Kaczynski Speeches: Tbilisi, Capital of Georgia, (2008),
<https://www.youtube.com/watch?v=Ls0fTk9HZ-c>

Manucharyan M., Armenia; Caught Between Russia and Europe, *Turkish Policy Quarterly*, Vol.12, No:4/Winter 2014, s.109-114.

Manchkhavili, M., Turkey and security in the Southern Caucasus: The Caucasus Stability and Cooperation Platform, *Central Azia and the Caucasus*, Vol. 11, issue IV, 2010, pp. 87-93.

Mihalka D.M., Wilcos M., Unintended Strategic Consequences of Security Assistance in the South Caucasus, *JFQ / issue 57.2* quarter 2010, s.24-33.

Murinson, A., The Strategic Depth Doctrine of Turkish Foreign Policy, *Middle Eastern Studies*, Vol. 42, No. 6 (Nov., 2006), pp. 945-964.

Nalbandian, E., *Serzh Sargsyan's 'football diplomacy' is a wise and justified initiative*, <<http://www.arminfo.am/index.cfm?objectid=513A8AE0-84BE-11E2-B4B7F63272>>

Naumann, K., Security without the United States? Europe's Perception of NATO, *Strategic Studies Quarterly*, Vol. 3, No. 3 (FALL 2009), pp., 50-64.

Novikova, G., The South Caucasus Between Russia and the West How Pragmatic are the Stakeholders' Approaches? *Connections*, Vol. 14, No. 2 (Spring 2015), pp. 37-50.

Özpek, B.B., Demirağ, Y., The Davutoğlu Effect in Turkish Foreign Policy: What if the Bowstring is Broken? *Iran & the Caucasus*, Vol. 16, No. 1 (2012), pp. 117-128.

Owen, E., *Talking Turkey in the South Caucasus*, 04.03.2012, <<http://www.eurasianet.org/node/65081>

Oguzlu, T., Kibaroglu, M., Incompatibilities in Turkish and European Security

Cultures Diminish Turkey's Prospects for EU Membership, *Middle Eastern Studies*, Vol. 44, No. 6 (Nov., 2008), pp. 945-962.

Oguzlu, T., Turkey and Europeanization of Foreign Policy? *Political Science Quarterly*, Vol. 125, No. 4 (Winter 2010-11), pp. 657-683.

Phillips, D. L., (2012). *DIPLOMATIC HISTORY: The Turkey-Armenia Protocols*, New York, Columbia University.

Sakwa, R., Conspiracy Narratives as a Mode of Engagement in International Politics: The Case of the 2008 Russo-Georgian War, *The Russian Review*, Vol. 71, No. 4, (OCTOBER 2012), pp. 581-609.

Sakwa, R., "New Cold War" or "Twenty Years" Crisis? Russia and International Politics, *International Affairs*, Vol. 84, No. 2 (Mar., 2008), pp. 241-267.

Studzińska, S., How Russia, Step by Step, Wants to Regain an Imperial Role in the Global and European Security System, *Connections*, Vol. 14, No. 4 (Fall 2015), pp. 21-42.

Shahnazaryan, D., The South Caucasus: problems of stability and regional security, Volume 14, Issue 3, 2006, Pages 355-360.

Stuck in a tight spot, Ankara calls for Caucasus pact, <www.Today'sZaman12.08.2008>

Svante, E. Cornell, Turkey and the Conflict in Nagorno Karabakh: A Delicate Balance, *Middle Eastern Studies*, Vol. 34, No. 1 (Jan., 1998), pp. 51-72.

Suvari, C., Kanca, E., Turkey and Azerbaijan: On the Myth of Sharing the same Origin and Culture, *Iran & the Caucasus*, Vol. 16, No. 2 (2012), pp. 247-256.

Stent, E.A. (Aug., 2008). Restoration and Revolution in Putin's Foreign Policy, *Europe-Asia Studies*, Vol. 60, No. 6, Power and Policy in Putin's Russia, pp. 1089-1106.

Sherr, J., A Dangerous Game, *The World Today*, Vol. 64, No. 10 (Oct., 2008), pp. 8-10.

Tirman, L., Improving Turkey's "Bad Neighborhood" Pressing Ankara for Rights and Democracy, *World Policy Journal*, Vol. 15, No. 1 (Spring, 1998), pp. 60-67.

Tocci, M., Turkey's neighbourhood policy and EU membership: Squaring the circle of Turkish foreign policy, *International Journal*, Vol. 67, No. 1, Charting the new Turkish foreign policy (Winter 2011-12), pp. 65-80.

Turkey may resume football diplomacy _ Armenian expert, 26.01.2012, <http://www.tert.am/en/news/2012/01/26/richard/428007>

Turkish Military Cooperation Prompts Russian Military Moves in the Caucasus,

<https://worldview.stratfor.com/article/turkish-military-cooperation-prompts-russian-military-moves-caucasus>.

Tsygankov, P.A. (Nov., 2006). If Not by Tanks, Then by Banks? The Role of Soft Power in Putin's Foreign Policy, *Europe-Asia Studies*, Vol. 58, No. 7, pp. 1079-1099.

The Caucasus Cauldron, 27.07.2010,

< https://www.stratfor.com/weekly/20100706_caucasus_cauldron>

US President Obama reaffirms support for Turkey's regional role, <[www.TodayZaman](http://www.TodayZaman.com), 09.12.2009.>

US must share power in new world order, says Turkey's controversial president, www.guardian.co.uk / 2008/aug/

Valinakis, Y. The Black Sea Region: Challenges and Opportunities for Europe, *Chaillot Papers*, 36, July, 1999.

Waal, T., South Caucasus: (Almost) Grown up at 20, 27.11.2011, <<http://carnegieendowment.org/2011/11/27/south-caucasus-almost-grown-up-at-20/7tqy>>

Wilson, R., (2003). *Building Security and Stability in the Caucasus and Central Asia*, NATO and Caucasus Regional Security, Baku.

Weinberger, K., Russian Hard Power in the South Caucasus, *STAFF ANALYSIS*, Vol. 4 No. 5, September 2015, pp. 1-7.

ZONOVA, T., REINHARDT, R., Main vectors of Russia's foreign policy (1991-2014), *Rivista di Studi Politici Internazionali*, NUOVA SERIE, Vol. 81, No.4, (324)(OTTOBRE-DICEMBRE 2014), pp. 501-516.

Ахмедоглу, М., Подписание «дорожной карты» показывает слабость Армении: <https://az.sputniknews.ru/karabakh/20090423/42830727.html>

"Дорожная карта", "большая резня" и внедорожье Карабаха, 01.05.2009, <<http://regionplus.az/ru/articles/view/4125>>

Сергей Лавров рассказал об Армении, Азербайджане, Турции и США, www.rg.ru/ ბოლო ნახვა: 7.10.2008.

Иван, С., Дорожные карты Россия рискует навсегда "уехать" из Закавказья, 24.04.2009,

<<http://www.memo.ru/hr/hotpoints/caucas1/msg/2009/04/m177746.htm>>

Кусов, О., Соглашение "дорожная карта" между Турцией и Арменией и реакция Азербайджана, 02.05.2009, <<http://www.svoboda.org/content/transcript/1620488.html>>

Куртов, А., «Дорожная карта» Турции и Армении: прорыв в будущее или пренебрежение к прошлому? ბოლო ნახვა: <http://www.perspektivy.info/print.php?ID=35837> 03.05.2019.

Мусабеков, Р., <https://m.az.sputniknews.ru/karabakh/20101011/43552667.html>

Mamedov, R., Что касается позиции России по решению Каспийской проблематики, то она, по мнению политолога, в последнее время является конструктивной, <https://m.az.sputniknews.ru/news/20090819/42995868.html>

Тарасов, С.: Турция вводит Иран в “кавказское уравнение”, 2009, <https://regnum.ru/news/1223237.html>

Челикпала, М., Дорожная карта процесса сближения Турции и Армении, 28.04.2009, <<http://www.vestiturkey.com/dorozna-karta-processa-sblizeni-turcii-i-armenii-206h.htm>>

ЮНУСОВ, Р., ТУРЦИЯ И АРМЕНИЯ: ГРАНИЦЫ ИЛИ ОТКАЗ ОТ «ГЕНОЦИДА» <<http://www.kontinent.org/article.php?aid=4a0e02fc767f8>> ბოლო ნახვა: 21.03.2016.

Avrasya'da Tütk Jeopolitiği (2010). Türklere açılan geniş, Ankara, Berikan yayınevi.

Aydin, M., (2012). *Strateji ve Güvenlik*, Anadolu Üniversitesi Yayını.

Aydin, M., (2012). Kafkasya'da Değişim Dönüşüm; *Avrasya Üçlemesi; III.* 1. Basım, VI, ss. 160-235, Kaynakça vardizin yok.

Bakü'den Ankara'ya 'yolharitası' resti, 23.04.2009, <<http://t24.com.tr/haber/bakuden-ankaraya-yol-haritasi-resti,42778>>

Celikpala, M., Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik

Diplomasiye Geçiş, *Uluslararası İlişkiler*, Cilt 7, Sayı 25 s. 93-126, Bahar 2010.

Celikpala, M., Security in the Black Sea Region, *policy report II*, www.blackseacom.eu

GÖKÇE, M., YUKARI KARABAĞ SORUNU VE TÜRKİYE-ERMENİSTAN İLİŞKİLERİ ÜZERİNE BİR DEĞERLENDİRME, *Turkish Studies _ International Periodical For The Languages, Literature and History of Turkish or Turkic*, Volume 6/1 Winter 2011, pp. 1111-1126.

Davutoğlu, Ah., (2001). *Stratejik Derinlik*, Ankara, Kure Yayınları, 2001.

Imanbeyli, V., (2010). Kafkasya İstikrar ve İşbirliği Platformu, Central Eurasian Studies: Past, Present and Future, Maltepe University.

Kasim, K., (2011). *Soğuk Savaş Sonrası Kafkasya*, Ankara, USAK Yayınları.

Kafkasya'da Değişim Dönüşüm, Avrasya Üçlemesi; III, Mustafa Aydın (der.) 1. Basım, VI, NOBEL AKADEMİK YAYINCILIK, 2012.

KASIM, K., *Türkiye-Azerbaycan-Ermenistan Üçgeni*, 07.07.2009, <http://www.usak.org.tr/tr/usak-analizleri/turkiye/turkiye-azerbaycan-ermenistan-ucgeni>

Obama açılımdan memnun, 24.04.2009, <<http://www.birgun.net/haber-detay/obama-acilimdan-memnun-45816.html>>

Orta Asya ve Kafkasya, (2006). Ankara, Palme Yayıncılık.

Sonmezoğlu, F., (2006). Türk Dış Politikası, II Dünya Savaşı'ndan Günümüzde, İstanbul, Der Yayınları.

Stratejik ve Güvenlik, (2012). T.C. Anadolu Üniversitesi yayını.

TÜRKİYE-ERMENİSTAN YOL HARİTASI, <http://www.byegm.gov.tr/turkce/haber/trkye-ermenistan-yol-hartasi/13206> ბოლო ნახვა: 18.01.2017.

Fatih, O., Türkiye-Ermenistan İlişkilerinde Yol Haritası, 28.04.2009, <<http://www.bilgesam.org/incele/987/-turkiye-ermenistan-iliskilerinde-yol-haritasi/#.V3gi8vkrLDc>>

Yeni Dönemin Türk Dış Politikası, *Uluslararası IV. Türk Dış Politikası Sempozyum*, 2018.

Yaşar, A., *ERMENİ SORUNUNUN TARİHSEL GELİŞİMİ VE SON ERMENİ AÇILIMI* Ekrem, Gümüşhanem Üniversitesi, Sayı 4, 2011.

XXI Yüzyılda Türk Dış Politikasının Analizi, (2012). DER Yayınlar.

